ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით | №48 (1678) 14-20 ივლისი, 1998წ. ● ფასი 50 თეთრი

# ვინ იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტი?



მეორე გვერდი

## რამდენ მილიონ ლარს იხდის საქართველო საგარეო ვალის მომსახურებისათვის



მეორე გვერდი

## კომენტარი პრეზიდენტის ორშაბათის რადიო-ინტერვიუზე

მეოთხე გვერდი

## ვინ გაანიავა ეროვნული ქონება, ანუ კიდევ ერთხელ 102 მილიარდის შესახებ





მესამე გვერდი

## ხელისუფლება სარგებლობს ქართველთა უმრავლესობის შეგნების დაბალი დონით


Photo News

მეექვსე გვერდი

## ღია წერილი აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს


Photo News

მეშვიდე გვერდი

## ჟამი მტრობისა და ჟამი მეგობრობისა



მესამე გვერდი

## ტყუილს მართლაც მოკლე ფეხები აქვს



მეთერთმეტე გვერდი

# რამდენ მილიონ ლარს იხდის საქართველო საგარეო ვალის მომსახურებისათვის?

*დღეს საქართველოში ეკონომიკა ჩამკვდარია, არ ფუნქციონირებს თითქმის არცერთი ქარხანა, ფაბრიკა, სულს ღაფავს სოფლის მეურნეობა. არადა, ვალი ვალს ემატება და, როგორც ამბობენ, მან უკვე მილიარდნახევარს გადააჭარბა. სწორედ ამ საკითხებზე ვთხოვეთ აზრის გამოთქმა ყოფილ პრემიერს, ბ-ნ* ***თენგიზ სიგუას,*** *რომელთანაც ინტერვიუს ქვემოთ გთავაზობთ.*

**— დღევანდელი ხელისუფლება აცხადებს, რომ წარმატებით განხორციელდა ფულადი რეფორმა, მიღწეულია ლარის კურსის სტაბილურობა და ინფლაციის დაბალი დონე. რას იტყოდით ამის შესახებ?**

— ლარის სავალუტო კურსის შენარჩუნება ან მისი აწევა თვითმიზანს არ წარმოადგენს. მთავარია, მაკროეკონომიკური ეფექტი, რომელიც კურსის აწევას ან დაწევას მოჰყვება. ლარის სტაბილურობა და ინფლაციის დაბალი დონე მყარ ურთიერთკავშირში იმყოფება და რომელიმე მათგანისთვის უპირატესობის მინიჭება არ იქნებოდა სწორი. ამიტომ აღნიშნული ეკონომიკური კატეგორიები ერთობლივად უნდა განვიხილოთ.

რა განაპირობებს ქართული ეროვნული ვალუტის მყარ კურსს და ინფლაციის დაბალ დონეს? მთავარი მაჩვენებლები გახლავთ სახელმწიფოში ეკონომიკის მაღალი დონე და საბანკო სისტემაში მყოფი ოქროსა და მყარი ვალუტის რეზერვების საკმაო რაოდენობა. ჩვენთან ეკონომიკის განვითარების მაღალ სტაბილურ მაჩვენებლებზე საუბარი ნაადრევია, ამიტომ იგი, ცხადია, ლარის კურსის მდგრადობის საფუძვლად ვერ გამოდგება. არც ოქროს რაიმე მნიშვნელოვანი მარაგი გაგვაჩნია. ამიტომ ლარის სიმყარე და ინფლაციის დაბალი დონე განპირობებულია ძირითადად ორი ფაქტორით: უკიდურესად დაბალი ხელფასებით, მოსახლეობის ძალზე დაბალი მყიდველობითუნარიანობით და მე-




ორეს მხრივ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მოცემული სესხის ხარჯზე, ე. ი. აშშ დოლარებით.

ამჟამად საქართველოში გასაშუალოებული ფასების (ეროვნული ფასების) მიხედვით, საარსებო მინიმუმმა შრომისუნარიანი მამაკაცისათვის 105 ლარი შეადგინა, საშუალო მომხმარებლისათვის — 90 ლარი, ხოლო საშუალო (ოთხსულიანი) ოჯახისათვის — 180 ლარი.

1997 წ. დასაქმებულთა 60%-ის ხელფასი 30 ლარს არ აღემატებოდა მაშინ, როცა ნორმატული მინიმალური ხელფასი, რომელიც უზრუნველყოფდა საარსებო მინიმუმის დონეზე საშუალო ე. ი. ოთხსულიანი ოჯახის ბიუჯეტის არადეფიციტურობას, ასეთი ოჯახის ერთი დასაქმებულისათვის შეადგინა დაახლოებით 50 ლარი. ამრიგად, საბიუჯეტო დაწესებულებების მუშაკთა მინიმალური ხელფასის (12 ლარი თვეში) ნომინალური მინიმალური ხელფასის მხოლოდ 24%-ს შეადგენს. ამრიგად, ხელისუფლების მიერ მნიშვნელოვან წარმატებად მიჩნეული ინფლაციის დაბალი დონე (1997წ. ინფლაციამ 7,3% შეადგინა), მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შიმშილის ზღვარზე ყოფნითაა უზრუნველყოფილი.

საქართველოში, ეკონომიკის დარგებში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 1997წ. დაახლოებით 40 დოლარი შეადგინა (საბიუჯეტოში — 31 ლარი) და ამ მაჩვენებლით ჩვენ, ყოფილი სოციალისტური ბანაკის 24 სახელმწიფოს შორის ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე ვიმყოფებით. შედარებისათვის: ყოფილი აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში (ჩეხეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი) საშუალო თვიური ხელფასი 300-400 დოლარის ტოლფასია, ხოლო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმეტესობაში — 100-200 დოლარის ტოლფასი.

ასეთ პირობებში საქართველოში საშუალო ფენის შექმნაზე ოცნებაც კი ნაადრევია. ნორმალურ სახელმწიფოებში მოსახლეობის 70-80% სწორედ საშუალო ფენას განეკუთვნება და იგი სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად დასაყრდენს წარმოადგენს.

**— რას გულისხმობს ცნება „საშუალო ფენა“ და რა შემოსავალი უნდა ჰქონდეს საშუალო ოჯახს (ოთხსულიანს), რომ იგი საშუალო ფენას მივაკუთვნოთ?**

*გაგრძელება მე-5 გვერდზე*

## პრობლემა: გადასახადები




## დროა... „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“!

ერთი და იგივე ეკონომიკური სურათია შექმნილი ყოფილი საბჭოთა კავშირის იმ ქვეყნებში, სადაც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა შეაღწია, რადგანაც მათი ზეგავლენით ყველგან ეკონომიკის განვითარების ერთი და იგივე ტრაფარეტული სქემა მოქმედებს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის (რომელსაც ასე „ხავსივით ეჭიდება ჩვენი წყალწაღებული ქვეყანა“) ზეგავლენით ჩანასახშივე ისპობა და ნადგურდება ადგილობრივი მრეწველობა. მათივე კარნახითაა დაჩქარებული ქონების პრივატიზაციის პროცესები ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროში.

ენერგოკომპლექსის, კავშირგაბმულობის, რკინიგზის, ნავთობმრეწვის და სხვა მრავალი დარგების აქციათა საკონტროლო პაკეტების მთლიანად კერძო პირებზე და განსაკუთრებით უცხოელებზე გადაცემა ოდესმე ქვეყნის დამოუკიდებლობასაც კი შეუქმნის საფრთხეს. ყველაფერს „ქართულს“ ვასხვისებთ...

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციებითაა ძირითადად შექმნილი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას და ხელს უწყობს ჩრდილოვანი ეკონომიკის „გაფურჩქვნას“.

* * *

**დღევანდელი საგადასახადო პოლიტიკა ძირფესვიანად შესაცვლელია!** — აცხადებს საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო ინსპექციის ანალიზისა და პროგნოზირების სამმართველოს უფროსის მოადგილე ბ-ნი **დავით გურგენაშვილი:**

— საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, საჭიროა დაბეგვრის რეგრესული სისტემის შემოღება. მარტივად რომ ავხსნათ, რეგრესული სისტემა ნიშნავს: რაც მეტია შემოსავალი — ნაკლებია გადასახადი, რაც ნაკლებია შემოსავალი — მეტია გადასახადი. რეგრესული სისტემა სამ გრადაციად უნდა დაიყოს: I, II და III გრადაციად. მეწარმეები რაც უფრო მეტ შემოსავალს მიიღებენ, მით მაღალ გრადაციაში გადაინაცვლებენ და ნაკლები პროცენტით დაიბეგრებიან. ეს ნაკლები პროცენტული განაკვეთი აბსოლუტურ გამოსახულებაში საკმაოდ მეტი თანხა იქნება ბიუჯეტისთვის, ვიდრე ამჟამად არსებული მაღალი საგადასახადო პროცენტული განაკვეთით, ანუ ამოღებული, ვთქვათ 5%-ის ექვივალენტური თანხა დღევანდელი 20%-ის თანხის რაოდენობაზე ბევრად მეტი იქნება. თავისთავად, თითოეული მეწარმე დაინტერესდა მესამე გრადაციაში გადასვლით და ნაკლები პროცენტის გადახდით.

როცა ბიუჯეტის შევსების „რაღაც ხელსაყრელ“ მეთოდებზე ვსაუბრობთ, ვფიქრობ, დღეს არსებული პოლიციური ზეწოლის მეთოდებით ბიუჯეტის შევსება აბსოლუტურად მიუღებელია. აქ სწორედ ეკონომიკური მართვის ბერკეტების შეცვლაა საჭირო და რეგრესული სისტემაც ამ პირობებისთვის სწორედ ის ახალი ეკონომიკური ბერკეტია.

*გაგრძელება მე-3 გვერდზე*

## ორი კითხვა — ორი პასუხი

## ანუ ვინ იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტი?



ვინ იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტი? კომუნისტ-პარტოკრატებს და მათ ნასუფრალზე გამოზრდილ წითელ ინტელიგენციას გულში ისრად ესობა ზვიად გამსახურდიას არაჩვეულებრივი პოპულარობა ქართველ ხალხში, რაც კიდევ უფრო იზრდება ამ უკანასკნელთა მიერ საქართველოს ტოტალურ ნგრევასთან დაკავშირებით. მათში ალერგიას იწვევს ამ კაცის სახელის გაგონებაც კი. წაიკითხეთ თუნდაც ვახტანგ რაზმაძის უსაზიზღრესი პასკვილი. მითუმეტეს, ვერ იტანენ იმ ფაქტს, რომ ბატონი ზვიადი იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტი. ამიტომ აღნიშნული რეალობის გასაბათილებლად თითხნიან ვერსიას ნოე ჟორდანიას პირველი პრეზიდენტობის შესახებ, რითაც მხოლოდ თავიანთ უწიგნურობას ადასტურებენ. ისინი, როგორც ჩანს, არ იცნობენ (ე. ი. არ წაუკითხავთ) იმ დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, რაც მოხდა 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნოე რამიშვილი. ხოლო გარკვეული ხნის შემდეგ — 1919 წლის 21 მარტს იგი შეცვალა, ჩვენდა სამწუხაროდ, ნოე ჟორდანიამ. სამწუხაროდო ვამბობთ, რადგან ყოვლად უსუსურ მენშევიკურ მთავრობაში, სადაც ცოტაოდენი სიმტკიცე მაინც მოეპოვებოდა, ეს იყო ნოე რამიშვილი. ისე რომ, ნოე ჟორდანია არათუ საქართველოს პირველი პრეზიდენტი, პირველი პრემიერიც არ ყოფილა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, როგორ იქნებოდა ჟორდანია პრეზიდენტი, როცა საპრეზიდენტო მმართველობა იმ დროს საერთოდ არ შექმნილა? ამიტომ, თუ გვინდა, რომ სინამდვილეს თვალი გავუსწოროთ და სულ კომუნისტური ტყუილებით არ ვიაროთ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა ითქვას: 1918 წლის 26 მაისს შექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი პრემიერი იყო ნოე რამიშვილი, ხოლო 1991 წლის 26 მაისს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული საქართველოს პირველი პრეზიდენტი გახდა ზვიად გამსახურდია.

ვინ შეიძლება გადმოვასვენოთ უცხო მიწიდან საქართველოში ქართველ მოღვაწეთაგან? გასულ წლებში ისტორიკოსი ლევან სანიკიძე პირველი იყო, ვინც მოსკოვის კრემლიდან სტალინის გადმოსვენება მოითხოვა საქართველოში. საკვირველია, როგორ შეიძლება

*გაგრძელება მე-3 გვერდზე*

# ახალი პოლიტიკური ლექსიკონი

## ილია ბარამიძის რედაქციით

**აფსუა** — აჯუბეის (ხრუშჩოვის სიძე) ძმა და თანმხლები. აკუ-აკუს მკვიდრივით ყვირის: „ჯვარს აცუ ეგე (ქართველი).“

**ბუმერანგი** — იარაღია ერთგვარი. რუსეთმა აფხაზეთიდან გვესროლა და ჩეჩნეთის გავლით დაუბრუნდა უკან (ე. შ).

**გაერო** — აფხაზეთში ბავშვთა, ქალთა და მოხუცთა ხოცვა-ულეტის მთავარი დამკვირვებელი.

**გრიგოედოვი** — რუსი პოლიტიკოსის ეტალონი. ტკბებოდა ქართული მიწით და ქართველი ცოლით. ცოლის ნათესავები სძულდა ფრიად.

**დოვლათი** — იხ. ხელისუფალთა ოჯახებში.

**ემანსიპაცია** — მდედრთა გაპოლიტიკოსება.

**ვიოლინო** — საკრავია ერთგვარი. ყოველ ორკესტრში პირველ ვიოლინოზე მედროვენი ანუ მედაფდაფენი უკრავენ.

**ზავი** — მტერთან გარიგება ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით (იხ. ბრესტის ზავი).

**თემიდა** — თვალებახვეული ქალი, ცოდვა-მადლის სასწორით ხელში. ჩვენთან თვალებახვეულიცაა და ყურებმოგლეჯილიც.

**იმუნოდეფიციტი (შიდსი)** — სენია ერთგვარი, ჯერაც იშვიათი. უფრო გავრცელებულია მორალოდეფიციტი (იხ. შემდგომ).

**კორუფცია** — ხე ბოროტებისა სამეფოსა შინა. რა მეფე ბრმა იყოს — ყვავილნი მოისხას, რა მეფე ჰხედვიდეს — ჰყვაოდეს მეფეცა იგი (ილარიონ მერიელი).

**ლიძნა** — დაყუავება (სულხან-საბა). აქა ხელისუფალთა უკანალის ალოკვა, დაყვავებისა და ჯილდოს მიღების მიზნით.

**მორალოდეფიციტი** — აქა ნაძარცვით თავის მოწონება გაძარცულთა წინაშე.

**ნეგაჟოფილობა** — შენივ სურვილით, ხელისუფალთაგან თავს მოხვეული.

**ომი** — ყიდვა-გაყიდვა და ზათქი იარაღთა. ერთთათვის ჭრილობა და კონტუზია მოაქვს, სხვათათვის — ორდენები და სიკეთე ყოველი.

**ორდენი** — ჯილდოა ერთგვარი. დაჭერის წინ აძლევენ მავანთ. ხშირად ლაჩართა და უნიჭოთაც აძლევენ.

**პროსტიტუცია** — ბოზობის პოლიტიკა ანუ პოლიტიკის ბოზობა.

**ჟირინოვსკი** — ეროვნებით იურისტი, პროფესიით ებრაელი, პოლიტიკით რუსი სახელმწიფო მოღვაწე. დაჩოქილი საქართველო და ველიამინოვის ხინკალი ენატრება.

**რეანიმაცია** — აქა ლენინიზმის გაცოცხლების მცდელობა, იქა (მავზოლეუმში) — ლენინისა.

**სუფსა** — სოფელი გურიაში, მამათიდან 16 კმ. დაშორებით, ვაშინგტონის, პარიზის, ლონდონის, პეკინის, ანკარის, ტოკიოს, თბილისის და სხვა მომცრო დასახლებათა ინტერესების თავშეყრის ადგილი.

**ტრიბუნა** — მეტიჩარას პარნასი.

**უპატრონო** — იგივეა, რაც ხელისუფლებაში ნათესავის არ მყოლი.

**ფემინიზაცია** — პოლიტიკის გადედლება.

**ქვორუმი** — ის, რაც პარლამენტს ხშირად არ ჰყოფნის, იმათი გამოუცხადებლობის გამო, ვისაც ყველაფერი ჰყოფნის.

**ღავარი** — მავან პოლიტიკოსთა კუდის გასადები რამ.

**შევარდნაძე** — სამიზნე რუსთა, რომელსაც პერიოდულად უშენენ. მათს ენაზე კი ითქმის — „მიშენ.“

**ჩაილურის წყალი** — სასმელია ერთგვარი. უფასო განათლებამ და მედიცინამ დალია.

**ცივილიზაცია** — ქუჩაში ტანტალი, ნიფხვისამარა ან უნიფხვოდ.

**ძარცვა** — ხალხის დოვლათის მითვისება ძალით ან მოტყუებით, კარგი დაპირებით ან ცუდი კანონით.

**წირვა** — გამოსაყვანია ერთგვარი, ქართული მრეწველობისთვის გამოჰყავთ.

**ჭუზურხინჯი** — ბაზარი ტყვეთა.

**ხელისუფლება** — ხელს რომ უფლება აქვს და თავს კი არა, ის არის.

**ჯვარი** — სასწაულებრივი ბედის მქონე სიმბოლო ქრისტიანეთა. დღეს ჯვარცმული ჯვარცმულობს და ადრე რომ ფეხებზე ეკიდა, ახლა კისერზე ჰკიდია.

**ჰონორარი** — ძველად მწერალთა და ჟურნალისტთა ლოთობის მიზეზი. ახლა მექრთამეობაში შუამავლის გასამრჯელოზე იტყვიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ გაანიავა ეროვნული ქონება, ანუ კიდევ ერთხელ 102 მილიარდის შესახებ

1992 წელს, როდესაც საქართველოს ეროვნული ბანკი ახლად არჩეული პარლამენტისა და სახელმწიფო მეთაურის დაქვემდებარებაში გადავიდა, მის პრეზიდენტად დვალიშვილი დანიშნეს. ეს გახლდათ ოქტომბრის თვე. იგი დანიშვნის მეორე დღესვე გამოვიდა პარლამენტის სხდომაზე და განაცხადა, რომ ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მომხრე იყო. ამაში მას შევარდნაძეც უჭერდა მხარს. დვალიშვილის დანიშვნის დღესვე ეროვნულმა ბანკმა დიდი რაოდენობის კრედიტების გაცემა დაიწყო. როგორც ცნობილია, სახელმწიფოს მიერ ყოველთვის წესდება ემისია ანუ სესხების ის რაოდენობა, რომლის გადამეტებაც ეკონომიკურ დანაშაულს წარმოადგენს. დვალიშვილის დანიშვნის დროს ეროვნული ბანკისათვის დაწესებული ემისია ას ორმოც მილიონ მანეთს შეადგენდა, ექვს თვეში კი მან კატასტროფულ მაჩვენებელს სამას ოცდაექვს მილიონ მანეთს მიაღწია. ბატონი თენგიზ სიგუა კატეგორიული წინააღმდეგი იყო ასეთი პოლიტიკის გატარების. შევარდნაძემ მოიწვია თათბირი ბანკირების თანდასწრებით. ბატონი თენგიზი კი პირდაპირ ითხოვდა დვალიშვილის გადაყენებას და ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შეჩერებას. ყველა, ვინც კი ესწრებოდა თათბირს, სიგუას თანამოაზრე აღმოჩნდა, გარდა ერთი კაცისა, რომელიც ამბობდა: არა, ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკა სწორიაო, ეს შევარდნაძე გახლდათ, მაშინ, როცა 1994 წლის ივლისის თვეში მინისტრთა კაბინეტის გაფართოებულ სხდომაზე მან დაუფარავად აღიარა მისივე მოწონებული პოლიტიკის უვარგისობა და თქვა, რომ ის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელსაც ლიბერალური ეწოდა, ლიბერალური კი არა, დანაშაულებრივი პოლიტიკა იყო, რომელიც ძვირად დაუჯდა ქვეყანას. გამომდინარე აქედან, ყველაზე მეტად პასუხი პრეზიდენტს უნდა მოეთხოვოს, რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ის გახლდათ ერთ-ერთი პიროვნება, რომელიც ასეთი პოლიტიკის გატარების მომხრე იყო. მაგრამ, მოგეხსენებათ, შევარდნაძე ყოველთვის მართალია, სხვები კი ქვეყნის დამაქცევარნი.

1993 წლის 2 მარტს ეროვნულ ბანკში ფირმა „თრიალეთის" წერილი შევიდა, რომელშიც ფირმის პრეზიდენტი ას ორ მილიარდ შვიდასი მილიონ სესხს ითხოვდა. საქმე ის გახლავთ, რომ ეროვნული ბანკი კრედიტებს არ გასცემდა. იგი ბანკებს აძლევდა სესხებს, შემდეგ ეს უკანასკნელნი გასცემდნენ მას. ეროვნულმა ბანკმა წერილი აგრობანკს დააწერა. როგორც ბატონი თენგიზ სიგუა აღნიშნავს, აფიორა ის გახლდათ, რომ საქართველოს ას სამი მილიარდი მანეთი მიეცა ფირმა „თრიალეთისათვის" წარმოუდგენელი იყო. ფირმის მიერ მიწერილ წერილში ისიც იყო აღნიშნული, რომ თანხა რუსეთის ცენტრალურ ბანკში უნდა გადარიცხულიყო, სადაც კონვენტირებას გააკეთებდნენ და უკან დააბრუნებდნენ. ეს წარმოუდგენელი იყო, რადგანაც ოქტომბრიდან ყოველგვარი გადარიცხვების გაკეთება აიკრძალა.

ეს აფიორა შემდეგნაირად იქნა გამომჟღავნებული. შინაგან საქმეთა სამინისტრომ „мур"-ის ტელეფონოგრამა მიიღო, რომელშიც იყო შეტყობინება იმის შესახებ, რომ რუსეთის ცენტრალურ ბანკში გამოჩნდა ორი აფერისტი: „Гомосексуалист в очках и Московская шлюха...", რომელთაც ჰქონდათ საქართველოს ეროვნული ბანკის ავიზო ას სამ მილიარდ მანეთზე. მოსკოველი კოლეგები ჩვენს სამართალდამცავებს თანამშრომლობას სთავაზობდნენ.

როგორც ბატონი თენგიზ სიგუა აცხადებს: „ღამის ორ საათზე ჩემთან მოდიან შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. მე ვაძლევ დავალებას, რომ დილის რვა საათზე ორი ოპერმუშაკი გაგზავნონ მოსკოვში. მე დარწმუნებული ვარ, რომ ავიზო ყალბია. დილის შვიდ საათზე ვურეკავ დემურ დვალიშვილს, ვიბარებ ჩემთან და ვუყვები, რაც ხდება. ის უხერხულად იშმუშნება და მეუბნება, ავიზო მე გავეციო. მე უხეშად შევუტიე. ის ანერვიულდა. კედელთან დადგა და თქვა: - ბატონო თენგიზ, თქვენ არ იცით, მე რა პრესის ქვეშ ვარ. ვინ გაკეთებინებს-მეთქი, ვეუბნები. ის ხვდება, რომ ზედმეტი თქვა და ჩუმდება. მპირდება, თანხას ორ დღეში დავაბრუნებო, აბრუნებს კიდეც", ოღონდ შვიდასი მილიონი სადღაც უკვალოდ გაქრა. შემდეგ კი, როგორც გაირკვა, აღნიშნული თანხა მოსკოველ ჰომოსექსუალისტისა და მეძავი ქალისათვის „მწვანეებს" მიუციათ, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ეს საქმე დღემდე ბნელითაა მოცული.

ამის შემდეგ გაისმის საეჭვო გასროლა — დვალიშვილმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

ფირმა „თრიალეთის" მიერ მოწყობილ მაქინაციებში მონაწილეობისათვის ხშირად ადანაშაულებდნენ ბარამიძესა და ჟვანიას, თუმცა 1993 წლის 10 ივნისს პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას თენგიზ სიგუამ განაცხადა: „არასწორია, „თრიალეთის" მიერ გატანილი კრედიტი კონკრეტულად ბარამიძეს მიეწეროს. ცხადია, რომ დვალიშვილზე ზეგავლენა უფრო ზემოდან მოახდინეს, რა გავლენა ექნებოდა მაშინ ჟვანიასა და ბარამიძეს. ისინი ხომ ჩვეულებრივი დეპუტატები იყვნენ და ამას ვერ შესძლებდნენ. აფიორას უფრო დიდი მფარველი ჰყავდა", მაგრამ, სამწუხაროდ, ბატონი თენგიზი არ ასახელებს, ვინ იყვნენ ეს პიროვნებები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით კომისიის ანგარიში პარლამენტის სხდომაზე არ მოუსმენიათ, რადგანაც მაშინ ეს თემა დახურულად მიიჩნიეს. გამომდინარე აქედან, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ საკითხის მიფუჩეჩება შემდეგ კი იმ კაცის ჩამოცილება (ვგულისხმობ დვალიშვილს), ვინც ყველაზე მეტი იცოდა ამ საკითხზე, ვილაცის ინტერესებში პირდაპირ ჯდებოდა, მაგრამ ჩემის აზრით, ეს პიროვნებები მთლად უბრალო, ანუ „ვიღაცა" პოლიტიკოსები არ უნდა იყვნენ. მათ შეიძლება დღესაც ძალიან დიდი თანამდებობები ეკავოთ სახელმწიფოს სამსახურში.

მოკლედ, რამდენიც არ უნდა დაფაროს შევარდნაძემ და ყოფილმა „მწვანეებმა", ანუ იგივე მმართველი პარტიის დღევანდელმა ბირთვმა მაშინდელი ეკონომიკური მაქინაციები, რამდენი კაციც არ უნდა გაიქცეს საქართველოდან, ან კიდევ „მოკვდეს", საბოლოოდ, ყველა ძაფი მაინც მაშინდელი ხელისუფლების პირველ პირთან მივა.

ბოლოს, იმასაც გეტყვით, საზოგადოებაში დღესაც არსებობს ეჭვი იმის შესახებ, რომ დვალიშვილი მოკლეს და, ჩემის აზრით, ეს ეჭვი არცთუ უსაფუძვლოა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „ტტ" სისტემის რევოლვერი კოსტუმის ჯიბეში ნამდვილად არ ჩაეტეოდა.

**კობა კაპანაძე**

# ორი კითხვა — ორი პასუხი

# ანუ ვინ იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტი?

*მეორე გვერდიდან*

მთელი რიგი ისტორიული ნაშრომების ავტორმა საქართველოს ისტორიაში, არ იცოდეს, თუ რა ბოროტება მიუძღვის სტალინს საქართველოს მიმართ სხვა რესპუბლიკებიდან გამორჩევით ჯერ ქართული მიწა-წყლის გაჩუქებით და მერე ქართველი ერის გენოციდით, მაგრამ მან ეს მოთხოვნა საჯაროდ წამოაყენა ტვინთხელა სტალინელების თვალში პირადი სიმპათიის მოსაპოვებლად.

სტალინი იყო უსამშობლო და უეროვნებო კონდოტიერი, რომელსაც პირადი კარიერის იქით სხვა არაფერი ამოძრავებდა და ვინც ამისათვის მთელი საქართველო შეიწირა. ამის გარდა, სტალინი ხომ აშკარად რუსოფილობდა და თვით მშობლიურ ენადაც რუსულს მიიჩნევდა. მაშ, რა საფუძველი გვაქვს, რომ სტალინი მისთვის სათაყვანებელი ქვეყნის მიწიდან საქართველოში გადმოვასვენოთ? განა ღმერთი კი გვაპატიებს ასეთ ცოდვას, რომ სტალინი დავმარხოთ იმ მიწაში, რომელიც მის მიერ ქართველ მამულიშვილთა სისხლითაა მორწყული? ამგვარად, სტალინი, რამდენადაც თავს რუსად თვლიდა, იყო რუსული საბჭოთა იმპერიის რუსი სახელმწიფო მოღვაწე და გამგრძელებელი იმ ტირანული რეჟიმისა, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე ეწეოდნენ ივანე მრისხანე, პეტრე I, არაკჩეევი, ნიკოლოზ I და ბოლოს ლენინი, სავსებით კანონზომიერია, რომ სტალინი რუსულ მიწაში განისვენებს. მართალია, იგი შეიძლება რუსის შოვინისტებმა ისევე ამოთხარონ საფლავიდან და მოისროლონ, როგორც ამოთხარეს და მოისროლეს ვახტანგ მეექვსე, თეიმურაზ მეორე, სულხან-საბა, ვახუშტი ბატონიშვილი და ბოლოს პეტრე ბაგრატიონი, მაგრამ არავითარი მორალი და ზნეობა ჩვენ არ გვავალდებულებს, რომ საქართველოს მოძულე და მისი დამაქცევარი სტალინი სა-



ქართველოში გადმოვასვენოთ. საყოველთაოდ მიღებული მორალია — არც ერთ კონდოტიერს არ უნდა ეღირსოს მიწა, არც საკუთარ ქვეყანაში და არც — სხვათა ქვეყანაში. ეს ეხებათ საქართველოს დღევანდელ დამაქცევრებსაც.

მე მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილო, აგრეთვე, ზოგიერთის თვალში საქართველოს პატრიოტად მიჩნეულ ნოე ჟორდანიაზე, რომლის საქართველოში გადმოსვენებას და თანაც მთაწმინდაზე დასაფლავებას ითხოვს არაერთი ქართველი ინტელიგენტი და მათ შორის საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფალი, ზვიად გამსახურდიას გადმოსვენების პარალელურად. ამ შემთხვევაში ზოგი გულუბრყვილოდ ირჯება, ხელისუფალს კი ზვიადისტების მიმხრობა სურს.

აქედანვე დავსვათ საკითხი: ვინ იყო ნოე ჟორდანია თავისი პოლიტიკური მრწამსით და იმ ეგრეთ წოდებული ღვაწლით, რაც მას მიუძღვის საქართველოს წინაშე? უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ქართველ ხალხს მასზე ძალიან ზერელე წარმოდგენა აქვს და მიაჩნია, რომ რადგან იგი იყო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე და რამდენადაც გარეწარმა ბოლშევიკებმა უცხო ძალის დახმარებით დაამხეს და სამშობლოდან გააძევეს, აუცილებლად საქართველოს გულდამწვარი პატრიოტი იქნებოდაო. სინამდვილეში ნოე ჟორდანია თავისი პოლიტიკური და იდეური მრწამსით იყო ისეთივე მარქსისტი-კოსმოპოლიტი, როგორც სტალინი, ოღონდ არა მასავით ტირანი და ჯალათი. ნოე ჟორდანიას და მის გუნდს — კარლო ჩხეიძეს, კაკი წერეთელს, ჩხენკელს და სხვებს, სიტყვის გაგონებაც კი არ უნდოდათ რუსეთის იმპერიიდან საქართველოს გამოყოფაზე და დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენაზე. აი, რას აცხადებდა ბატონი ჟორდანია ილიასთან კამათში: არც ერთ ხალხს ისე ნაკლებად არ აინტერესებს ნაციონალური საკითხი, როგორც ქართველ ხალხსო. და მისი ჭკუით ისე „ამაღლებულა" თურმე იმ დროს, ანუ გადაგვარებულა ქართველი ხალხი ნოე ჟორდანიას სასიხარულოდ, რომ ახლა ხონჩითაც რომ მიართვა დამოუკიდებლობა ქართველებს, ხელისკვრით უკან დაგიბრუნებენო. ნოე ჟორდანია იყო ის პიროვნება, რომელიც პირველი დაუპირისპირდა ილიას მისი ეროვნული

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

პრობლემა: გადასახადები

# დროა... „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები"!

*მეორე გვერდიდან*

რეგრესულ სისტემაზე საუბრისას აუცილებლად ცალკე უნდა გამოვყოთ მცირე და საშუალო



ბიზნესი. მათი ამ კატეგორიებად დაყოფა უნდა მოხდეს შემოსავლის რაოდენობის, მუშათა რიცხოვნობის და სხვა სპეციფიკური კრიტერიუმების საფუძველზე.

ბუნებრივია, ცხოვრების დინამიურობიდან გამომდინარე, როცა ეს შემოსავლები დაგროვდება, ელემენტალური ეკონომიკური კანონზომიერების საფუძველზე, შედარებით ძლიერი შთანთქამს შედარებით სუსტს-კარგი გაგებით და შეიქმნება მსხვილი კორპორაციები, მსხვილი საწარმოები, ასოციაციები და ა. შ. ბუნებრივია, მცირე და საშუალო საწარმოებიდან ისინი ავტომატურად მესამე გრადაციაში გადაინაცვლებენ და ნაკლებად დაიბეგრებიან. მეწარმეს დაინტერესება გაუჩნდება, შემოსავალი არ დამალოს, საკუთარი ბიუჯეტიც გაზარდოს და სახელმწიფო ბიუჯეტიც ასარგებლოს.

**— როგორ ფიქრობთ, მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი რეგრესული სისტემის დანერგვის წინააღმდეგი არ იქნება? ისინი ხომ დღეს თითქმის მთლიანად აკონტროლებენ საქართველოს ეკონომიკის „განვითარებას".**

— რა თქმა უნდა. ეს მთავარი შემაფერხებელი გარემოებაა, სამწუხაროდ, რეალობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, მათთვის აბსოლუტურად მიუღებელია ეს სისტემა და სხვა ნებისმიერი განსხვავებული მოსაზრებაც კი, რაც მათ მოდელს არ შეესაბამება.

როცა ვამბობთ, თავიდან ავიცილოთ მესამე მსოფლიო ომი, აბსოლუტურად ვცდებით, რადგანაც ეს ომი უკვე კარგა ხანია დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს რაფინირებული ფორმით, იგი ჩვენთან ეკონომიკური კატაკლიზმების სახით დაიწყო.

**— ე. ი. აფხაზეთი, სამაჩაბლო, ჩეჩნეთი და მსოფლიოში არსებული სხვა ლოკალიზებული დაჯახებები ამ მესამე მსოფლიო ომის ნაწილია?**

— რა თქმა უნდა! ეს ძირითადი ინტერესის გადატანის, უფრო სწორად, ყურადღების გადატანის ერთ-ერთი საშუალებაა, საუბარი კი მსოფლიო ეკონომიკური გავლენის სფეროების გადანაწილებაზეა.

**— აქედან გამომდინარე, ხომ არ ემუქრება საქართველოს ეკონომიკური კოლონიალიზმის საფრთხე?**

— მოგეხსენებათ, საერთაშორისო სავალუტო ფონდს უზარმაზარი ბიუჯეტი აქვს. მათი გადასახედიდან საქართველო რთული პირობების ქვეყნად ითვლება. როცა ისინი აქ სამუშაოდ მოდიან, მათი ანაზღაურება ორმაგად და სამმაგად იზრდება. ე. ი. გარდა იმისა, რომ ისინი გეგმაზომიერ ეკონომიკურ პოლიტიკას ახორციელებენ, რაც მართლაც ქმნის ეკონომიკური კოლონიალიზმის საფრთხეს, პირადი მატერიალური დაინტერესებაც დიდია. აქ მოვლინებული პირების საშუალო თვიური ანაზღაურება 20000 დოლარის ფარგლებში მერყეობს, ამას ემატება კიდევ ჩვენი იაფი მუშახელი, მაგალითად, კომპიუტერით მომსახურე პერსონალი, თარჯიმნები და ა. შ. ასეთი სამუშაოების შესრულებისთვის ისინი ქართველებს 150-200 დოლარს უხდიან, როცა მათსავე ქვეყანაში ანალოგიური მომსახურება არანაკლებ 2000 დოლარი ღირს.

მთავარი აქ მაინც ის არის, რომ მათ შეუძლებელია იცოდნენ და აინტერესებდეთ საქართველოს ისტორიული განვითარების, გნებავთ გეოგრაფიული საკითხი, ქართველების განსხვავებული ტრადიციების, ხასიათის თავისებურება და პირდაპირ გადმოაქვთ თავიანთი ეკონომიკური მოდელი, რამეთუ ამერიკელებს ფაქტიურად „სამშობლო" არ გააჩნიათ.

**— ე. წ. ინვესტიციებზე რას გვეტყოდით, წარმოების გაშლის ხელშეკრულებით რომ იწყება და მერე ნედლეულის დატაცებით მთავრდება, როგორც ეს მრავალი ქართული სიმდიდრის, ოზურგეთის „ასკანიტის მიწის", ზესტაფონის „ფეროს" და სხვათა მაგალითზე მოხდა?**

— ინვესტორები არა მარტო პირობებს გვახვევენ თავს, არამედ იმ კრედიტების, ინვესტიციების, თუ ტრანშების სახით გამოყოფილი თანხები ისევ და ისევ თავიანთ ქვეყნებში, ან მათ დაინტერესებულ ქვეყნებში წარმოებული პროდუქციის გასაღებას ხმარდება, გასაღების ბაზარი — ისევ საქართველოა. ამდენად ისინი პრინციპულად ვერ იქნებიან დაინტერესებული ქართული წარმოების განვითარებითა და აღორძინებით. პირდაპირ იყო მათგან ნათქვამი — რა წარმოება, რის წარმოება, საქართველო ერთადერთი ტრანზიტის ქვეყანაა და ევროპისა და აზიის დერეფანი უნდა გახდესო. თუ მაინცდამაინც, პერსპექტივაში ტურიზმის განვითარების „ნება დაგრთეს". მართალია, ჩვენი დღევანდელი საბანკო სტრუქტურები დღეს ამის საშუალებას არ გვაძლევენ, მაგრამ შორეულ პერსპექტივაშიც კი არ შეიძლება თურმე საქართველოში შვეიცარიის მსგავსი საბანკო მომსახურების ქვეყნის მშენებლობა.

**— თქვენ ეკონომიკური მართვის ბერკეტების შეცვლაზე გაამახვილეთ აქცენტი, როგორ ფიქრობთ, ქართველები რომ ასე ადვილად ასხვისებენ საქართველოს, მათი ცნობიერების შეცვლაც ხომ არ არის ამასთანავე საჭირო? იქნებ მიძინებული ქართული პატრიოტული სულის და ქრისტიანული რწმენის გაღვიძების დროც დადგა, რაც ეკლესიებში სანთლების დანთებითა და პირჯვრის გადაწერით არ უნდა გამოიხატებოდეს მხოლოდ.**

— ალბათ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით საქართველო ყოველთვის ისტორიულად ვიღაცის ინტერესების ქვეშ მყოფი ქვეყანა იყო. ჩვენ მას ჩაკეტილ ქვეყნად ვერ ვაქცევთ და ზომიერების ფარგლებში უნდა გვეყოს ის გამჭრიახობა, რომელიც ტრადიციულად იყო საქართველოში ჩვენი სახელოვანი მეფეების სახით. ამდენად, საქართველოს ამ სიდუხჭირიდან გამოყვანის გზა უნდა იყოს სულიერებისა და ეკონომიკური ბერკეტების შეწონასწორებული პრინციპი, რაც თავისთავად გულისხმობს პატრიოტული და ქრისტიანული სულის წინა პლანზე წამოწევას.

**ნატა სალუქვაძე**

**P.S. დიდი ილიასი არ იყოს, „ჩვენი ქვეყნის თაფლს" ასე საკუთარი ნებით რომ უდებენ წინ „ბალდადიდან მოსულ ბუზს" ქართველები, ნუთუ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა?!**

**„ქართული თაფლის" გადარჩენაზე არა მარტო პრესამ, მეწარმეებმა, თვით საგადასახადო სტრუქტურებმაც რომ დაიწყეს ხმამაღლა საუბარი, იქნებ ეს რაღაც ახლის, ქართველების რწმენისაკენ მობრუნების ნიშანია?!**

**დროა... „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები!"**

# კომენტარი პრეზიდენტის ორშაბათის რადიოინტერვიუზე

### პრეზიდენტი მართალს ბრძანებს

პრეზიდენტი მართალია, როცა „აბრეშუმის გზის" პერსპექტივაზე ლაპარაკობს ან როცა ამბობს, რომ რუმინეთთან საქართველოს დიდი საერთო ინტერესები აქვს და ამ ქვეყანასთან მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება უნდა იყოს. ასევე მართალს ამბობს იგი ალბათ მაშინ, როცა სოციალური საჭიროებებისათვის სახელმწიფოს მიერ გაღებულ თანხებს ასახელებს.

*„1998 წელს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდისათვის ბიუჯეტით სულ 189 მილიონი ლარი გამოიყო"*

და

*„ლტოლვილთა დასახმარებლად საქართველო ყოველწლიურად 70 მილიონზე მეტ ლარს გაიღებს."*

აგრეთვე

*„1998 წლის ბიუჯეტით მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის (მარტო ჯანმრთელობის დაცვისათვის) 54 მილიონი ლარია გამოყოფილი"*

და ა. შ. ამ ციფრებში ეჭვის შეტანის უფლება, მით უმეტეს — სოციალური საჭიროებისათვის სახელმწიფოს მიერ თანხების გამოყოფის არმისალმების უფლება ჩვენ არ გვაქვს. მაგრამ საჭირბოროტო კითხვა მაინც კითხვად რჩება: ამ თანხის წილ იმ დაახლოებით 40 ლარიდან წელიწადში, რომელიც თითო სულ მოსახლეზე მოდის, რამდენი მივიდა დანიშნულების ადგილამდე? ხალხი ფიქრობს, რომ მივიდა ძალიან მცირე პროცენტი. რატომ? იმიტომ, რომ მმართველ-აღმასრულებელი გუნდი კორუმპირებულია. მაშინ რატომ არ ცვლის პრეზიდენტი ამ გუნდს? იმიტომ, რომ იგი პოლიტიკურად სჭირდება. პრეზიდენტი, როგორც ხელისუფლება, ამ კორუმპირებული გუნდის მხრებზეა შემომჯდარი და უყოყმანო მხარდაჭერას — კანონიერი და უკანონო საარჩევნო მხარდაჭერის ჩათვლით — მხოლოდ მისგან ელის. რატომ სხვებისგან არა? იმიტომ, რომ ისეთ ადმინისტრაციაში, რომელიც სახელმწიფოებრივ-ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო პოლიტიკას ატარებს (საქართველო „ესენგეში" შეჰყავს, „ოსეთს" ქმნის, არძინბას ეშეგობრება, ომებს აგებს, პასტუხოვ-ბერეზოვსკის თავს ატყუებინებს და ა. შ. და ა. შ.), მხოლოდ ძარცვა-გლეჯის იმედითა და მიზნით მისული ელემენტი იყრის თავს და არა სხვა. ეს კითხვა-პასუხები კოლაბორაციონისტული (ოკუპანტთან თანამშრომელი) დიქტატურის მარადიული ლოგიკის გამომხატველია და საქართველოს პრეზიდენტი, რაც უნდა ე. წ. „კეთილი ნებისა" იყოს, მას ვერ შეცვლის. ასე რომ პრეზიდენტის ვაჟკაცური „მოთხოვნა" გუბერნატორებისადმი, „გააძლიერონ მუშაობა" ხალხის სოცდაცვის მიმართულებით, დიდი ვერაფრის მომცემია: ის გუბერნატორები თუმცა მისივე დანიშნულნი არიან, მაგრამ მათი ძირითადი ფუნქცია სხვაა — ესაა პრეზიდენტისა და მისი პარტიის დახმარება და მათი პირადი ხელისუფლების (და არა სახელმწიფო ინტერესების) უზრუნველყოფა, — რის გამოც გუბერნატორს თავისუფლად შეუძლია, თუკი გული ჰუმანიზმისაკენ არ მიუწევს, ჯანდაცვის ამოცანა მეორე და მეათეხარისხოვან საქმედ ჩათვალოს.

ასევე გულუბრყვილოა (თუმცა, ალბათ, გულწრფელია) პრეზიდენტის დარდი იმის გამო, რომ 1992-93 წელს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში რამდენიმე ასეული კაცი შიმშილით დაიღუპა (თუმცა სწორია თუ არა ამ თარიღებზე 1991 წლის მითვლაც, როცა საქართველოში შიმშილით არავინ კვდებოდა, არ ვიცით.) კითხვა იბადება: რა პასუხი მოსთხოვა პრეზიდენტმა თავისი გუნდის ქურდბაცაცებს, რომლებმაც სწორედ იმ წლებში სახელმწიფოსაგან მილიარდობით დოლარი გაიტაცეს და ამით ძირი გამოუთხარეს ყველა შესაძლო სახელმწიფო პროგრამებს, სულით ავადმყოფთა კვების ჩათვლით?

ის, რომ პრეზიდენტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ჯანდაცვის პროგრამებს (აცრები, პროფილაქტიკა და სხვა), ძალიან კარგია (ინდივიდის მკურნალობა, ცხადია, ამისგან დამოუკიდებელი ამოცანაა). მაგრამ ჯამში შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეუნიღბავი კომუნისტების („გიორგაძეებისეული კომპარტიის" კომუნისტების) წამოძახილი, შენიღბული კომუნისტების ანუ შევარდნაძისეული კომუნისტების ხელში „სახელმწიფომ მოქალაქე ბედის ანაბარად მიაგდოო", პრეზიდენტის მიერ დამოწმებული ფაქტებით მაინც მოგერიებული არ არის. შევარდნაძის ხელისუფლებამ გაფლანგა ანუ მძარცველ-მგლეჯავებს მათი პოლიტიკური მომხრობის მიზნით და ხალხის თვალში დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის დისკრედიტაციის მიზნით გაატანა საქართველოს მთელი სიმდიდრე, რაც კი მოახერხა, და ამით უმწეო მოქალაქის ბედის ფეხებზე არდაკიდების მატერიალური შესაძლებლობა მოსპო. ხოლო ცოტა უფრო ღრმად რომ შევაბიჯოთ კრიმინალისტური ანალიზის ზღვაში, შენიღბული და შეუნიღბავი კომუნისტების როლების განაწილება ასე უნდა დავინახოთ: შენიღბულების დავალება იყო, საქართველო დაენგრიათ და ხალხისთვის სამმანეთიანი კარაქისა და ორმანეთიანი ხორცის ეპოქის კომუნისტური „სამოთხე" მოენატრებინათ. მათ ეს დავალება პირნათლად შეასრულეს. შეუნიღბავთა ფუნქცია კი დღეს ისაა, რომ ამ




ბაზაზე საქართველოში სოციალური „აფეთქების" ორგანიზება მოახდინონ, ქვეყანაში ხელისუფლების ყოველგვარი ნიშან-წყალი გააქრონ და, ორ-სამწლიანი ქაოსის შემდეგ, „გუბერნიად" ქცეულ საქართველოში რუსეთის ახალი ნაცვალი დასვან. ვერ მოესწრებიან, მართალია, მაგრამ ეს არ გვაძლევს საფუძველს ეჭვი შევიტანოთ ან პირველთა, ან მეორეთა გულწრფელობაში ერთობლივი სცენარის მიმართ.

### პრეზიდენტი ცდება

პრეზიდენტის გარეგნულად უწყინარი შეცდომაა დოსტოევსკის სიტყვების „სილამაზე იხსნის კაცობრიობას, იხსნის სამყაროს" ციტირება ქართული კულტურის ბედზე მსჯელობის კონტექსტში (სინამდვილეში იქ ლაპარაკია, არა „სილამაზეზე", არამედ „მშვენიერებაზე", მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს.) რატომ? იმიტომ, რომ „კულტურაში", რომელმაც, პრეზიდენტის სიტყვით, საქართველოს ხსნის ამოცანა უნდა იტვირთოს, იგულისხმება არა მხოლოდ „მშვენიერება", როგორც ასეთი, ანუ შემოქმედების საკუთრივ ესთეტიკური ფუნქცია, არამედ მრავალმხრივი ამოსავალი რწმენების, ზრახვების, სულიერი მოთხოვნილებებისა და სხვადასხვა პოსტულატების — მათ შორის, ზნეობრივი პოსტულატების მთელი ის რთული კომპლექსიც, რომელსაც თაობები ქმნიან და რომლითაც თაობები ცხოვრობენ. ბატონი გოგუაძე, რომელსაც პრეზიდენტი ახსენებს და რომელიც მას, როგორც ჩანს, ამ რიგის საკითხებში მრჩევლად ჰყოლია მათი „თანამებრძოლობის" ეპოქაში (ეს ეპოქა, საფიქრებელია, ახლაც გრძელდება), ვერ შეახსენებდა მას (რადგან თვითონ ნაკლებად მოეხსენება) ვერც იმას, რომ „კულტურა" არა მხოლოდ კულტურის მუშაკთა პროფკავშირში გაერთიანებული პიროვნებებისაგან შედგება, და ვერც იმას, რომ კულტურული პოლიტიკა, რომელიც დღეს საქართველოში ტარდება (თუკი ასეთი პოლიტიკა არსებობს), კულტურის ნგრევის და მის ნანგრევებზე ე. წ. „მარგინალური" (ანუ განაპირა) ცივილიზაციის დამკვიდრების პოლიტიკაა. დასავლური კულტურული პროდუქციის ოკეანიდან შემთხვევით ამოკრეფილი ქმნილებების წამოღება და საქართველოში დემონსტრირება არ არის კულტურტრეგერობა, თუკი ეს არ ხდება ხალხის კულტურული ინფორმირების (არ გვინდა ვიხმაროთ სიტყვა „აღზრდის") ოდნავ მაინც გააზრებული პროგრამის ფონზე, რომელიც ჩვენში დღეს აუცილებელია იმის გამო, რომ ჩვენი ერი — დასავლური კლასიკური და მოდერნული კულტურისკენ საოცარი ძალით მიდრეკილი და მისი საოცრად კარგად მცოდნე ერი — მეტ-ნაკლებად მოსწყდა არაერთ ნაკლებ ფუნდამენტურ (ამას ხაზს ვუსვამთ) სიახლეს თანამედროვე კულტურის განვითარებაში. დღეს ტელევიზია **ატყუებს** ქართველ ახალგაზრდა მაყურებელს, თითქოს დასავლური ხელოვნების ყურადღების ცენტრში სქესობრივი გადახრები და სხვა პათოლოგიები დგას, და შესაბამისი, ცალმხრივი კომენტარებით სთავაზობს ფილმებს, რომელთა ძირითადი მხატვრული ღერძი და ჩანაფიქრი კომენტატორებს **არ ესმით.** ძნელი სათქმელია, რომ თანამედროვე ხელოვნების ასეთი „მარგინალურად" ათვისება მაინცდამაინც პოსტკომუნისტური საზოგადოებების თვისება იყოს (რადგან სხვაგან მხატვრული პროდუქციის სხვა შერჩევას და სხვა ხარისხის კომენტარებს ვხედავთ). ასე რომ იძულებულნი ვართ ვიფიქროთ, რომ ეს არა მხოლოდ კომენტატორთა და ტელეკომპანიების რეალურ მფლობელთა (მათ შორის — ყოფილ ცეკას მდივანთა) პირადი გემოვნების შედეგია, არამედ ქართველი ახალგაზრდობის სულიერი დეფორმირების განზრახვის გამოვლინებაც.

ის, რომ პრეზიდენტი ახსენებს „საოცარ ზეიმს" „სტუდენტურ გაზაფხულთა" სახით, მოგვიტევოს მკითხველმა, ე. წ. „აქსიოლოგიური (ღირებულებრივი) დალტონიზმის" შთაბეჭდილებას ტოვებს. განა შეიძლება დღევანდელ საქართველოში სიტყვა „ზეიმის" ხსენება? და განა ნათელი არ არის, რომ „კულტურას", რომელიც ისეა დაშორებული ფუნდამენტურ ეროვნულ რეალობას, როგორც დღევანდელი საქართველოს მდგომარეობა — ზეიმს, განვითარების პერსპექტივა არა აქვს?

პრეზიდენტი უკეთეს შემთხვევაში ცდება (თუკი გულწრფელია), როცა მტერთან მლიქვნელობის, უნიჭო მიკიბ-მოკიბვის, ერის მოტყუებისა და მის ზურგს უკან მისი ინტერესების გაჩუქების იმ მრავალწლიან პროცესს, რომელსაც „აფხაზებთან მოლაპარაკების" სახელით ვიცნობთ, კიდევ „მუშაობას" უწოდებს. ეს ეტაპი აფხაზეთის დათმობისა, რომელსაც პრეზიდენტი ახლა ახორციელებს, მას, როგორც ჩანს, საბოლოოდ მიაჩნია და ამიტომ დაპირებებით ამჯერად მაინცდამაინც თავს არ იწუხებს. ამ პრობლემის გადაჭრა საქართველოსთვის ხვალინდელი, კოლაბორაციონისტთაგან თავისუფალი დღის ამოცანად რჩება.

### ეკონომიკის დარგში

პრეზიდენტი არა თუ ცდება, არამედ ოცნების ბროლის კოშკში მცხოვრების შთაბეჭდილებას ტოვებს, როდესაც საქართველოს ეკონომიკის მიღწევებზე ლაპარაკობს. აი მისი ციფრები. 1996 წელს ბიუჯეტის საერთო შემოსავალი იყო 271 მილიონი ლარი (ე. ი. თითო სულ მოსახლეზე დაახლოებით 60 ლარი), 1999 წელს კი 2.203 მილიონი (ე. ი. რვაჯერ მეტი) გახდება (ამაში შედის კრედიტებიც, რომელთა გადახდა მოგვიხდება). დასკვნა: თანხები თუმცა მცირეა, მაგრამ „ტემპი მაინც ტემპია". დავსვათ ორი კითხვა. პირველი: ის წლიურად 500 ლარი, რომელიც თითო ადამიანზე მოვა სახელმწიფოს ამ შემოსავლიდან, შეიძლება თუ არა ეყოს მის ყველა საჭიროებათა დაკმაყოფილებას, თავდაცვითისა, წესრიგის დაცვისა, მედდაცვისა, სახელმწიფო აპარატის შენახვისა და სხვათა ჩათვლით?

*გაგრძელება მე-9 გვერდზე*

---

*მესამე გვერდიდან*

# ორი კითხვა — ორი პასუხი

## ანუ ვინ იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტი?

მრწამსის გამო და თავისი ცილისმწამებლური წერილებით მან გადმოიბირა ბრიყვი მასა და მანვე შეამზადა ილიას მკვლელობა, რაც შემდეგ მესამედასელებმა (მახარაძე-ორჯონიკიძე...) განახორციელეს.

ბუნებრივია, ილია თავისი ერუდიციითა და ლოგიკით ჯობნიდა ჟორდანიას ყოველგვარ პოლემიკაში. ჟორდანია კი ცდილობდა მარქსისტისათვის დამახასიათებელი დემაგოგობით გაემტყუნებინა ილია. მოგიყვანთ ერთ ასეთ მაგალითს: ჟორდანიამ რომ ვერაფერი გააწყო ლოგიკით ილიასთან კამათში, 100 მომხრის გვარები ჩამოწერა საგაზეთო წერილში და კითხვა დაუსვა ილიას: ახლა მაინც არ ჩათვლი თავს მტყუანად, როცა მე 100 კაცი მიჭერს მხარს და შენ კი ერთი ილია ხარო?! ილიამ ამაზე უპასუხა: ციფრებს რა მნიშვნელობა აქვს, ასჯერ ნული მაინც ნულიაო. ახლა ამაზე აუტეხეს დავა ჟორდანიამ და მისმა მარქსისტმა ძმაკაცებმა. კვლავ მარქსისტული დემაგოგიით — ილიამ მშრომელ მასებს ნულები უწოდაო. მოდი და ელაპარაკე თაღლითს!

ეს, რაც შეეხება ჟორდანიას როლს ილიას დაღუპვაში. მეორე და უმთავრესი როლი, რომელიც ჟორდანიამ შეასრულა საქართველოს დაღუპვაში თავისი აბდაუბდა თეორიებითა და ბეცი პოლიტიკით. საგაზეთო წერილში ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია, ამიტომ რამოდენიმე ფაქტს მაინც წარვუდგენ მკითხველს მისი ანტიეროვნულობისა და უვიცობის დასადასტურებლად. აი, რას გვიყვება თავის მემუარებში მაშინდელი პარლამენტის წევრი ნაციონალ-დემოკრატიული პარტიიდან რევაზ გაბაშვილი იმ ინდიფერენტულობის, უვიცობის თუ ბოროტების შესახებ, რასაც ჟორდანია იჩენდა რუსულ-შოვინისტური „ინტერნაციონალიზმის" პოზიციებიდან გამომდინარე, თავისი სამშობლოს უაღრესად სასიცოცხლო პრობლემების მიმართ: 1. „1912 წელს მოხდა საშინელი ჩვენი (ე.ი. საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრიობის) მორალური მარცხი უდიდესი მასშტაბით: კიევში მომხდარ „რუსეთის არასახელმწიფოებრივ ერთა კონფერენციაზე", რომელიც ხდებოდა საიდუმლოდ, — კოოპერაციის კონფერენციის" კამუფლაჟით, — საქართველოს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა — სოციალ-დემოკრატებმა და სოციალ-ფედერალისტებმა თავიანთი პარტიების სახელით ბოროტება ჩაიდინეს: მომავალ ტერიტორიალურ-ეროვნულ განსაზღვრებაში, — საინგილო მორალურად მიაკუთვნეს აზერბაიჯანს, აფხაზეთი — ჩრდილო კავკასიას და ახალციხე, ახალქალაქი და ბორჩალოს მაზრა ნავთლუღამდის — სომხებს... „რეალური მოსახლეობის" მოტივით. ეს თეორიულ-მორალური გაცემა სახელმწიფოებრივ ტერიტორიის მთელი პროვინციებისა დადასტურებული იყო ჩვენი ზემოაღნიშნული „სოციალისტების არა მარტო ხელის მოწერით, არამედ კიევიდან ჩამოტანილ რუკაზედაც აღნიშნული". მაშ, რაღას ვერჩით უფრო გვიანდელ კოსმოპოლიტ-ხელისუფალთ — სტალინსა და ორჯონიკიძეს? მათ თურმე სისრულეში მოუყვანიათ ქართული მიწაწყლის გაცემის ის გადაწყვეტილება, რომელიც ჯერ კიდევ მენშევიკებს მიუღიათ 1912 წელს კიევის კონფერენციაზე.

2. „იმავე დარბაზში... მთელი საათის განმავლობაში ბატონი ნოე ჟორდანია გვიმტკიცებდა, რომ თბილისი საქართველოს დედაქალაქი კი არ არის, არამედ ინტერნაციონა-



ლური ცენტრია, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი და იმის იქით მდებარე ტერიტორია — ეკუთვნის სომხებსა და აზერბაიჯანელებს და მხოლოდ დასავლეთი მესამედი — „ვერა" — და აქეთ მდებარე ტერიტორია გვეკუთვნის ქართველებსაო".

3. ჯერ კიდევ კავკასიის სეიმის არსებობისას, სადაც ქართველი სოციალ-დემოკრატები ლიდერობდნენ მთავრობაში, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის ხელმოწერამდე იქ მიიწვიეს „საქართველოსი და კავკასიის წარმომადგენელნი, მათი მხარეების ინტერესების დასაცველად, — გეგეჭკორმა ასეთი დეპეშით უპასუხა საზავო კონფერენციის ორგანიზატორებს: „რადგან კავკასია (და საქართველოც) შეადგენს რუსეთის ნაწილს, ზავის საკითხი რუსების კომპეტენციას შეადგენსო". მაშინ ლენინმა, სტალინის სრული მხარდაჭერით, ამ ზავით იმ დროს საქართველოს კუთვნილი ტაო-კლარჯეთი თურქეთს გადასცა, რის სამაგიეროდაც ათათურქის სიმპათია და მხარდაჭერა მოიპოვა საბჭოთა რუსეთის მიმართ.

4. „ინგლისელი გენერალი თავაზიანად მიმართავს ჟორდანიას: „ამჟამად ინგლისის სამხედრო ძალებს კავკასიაში დიდი მოვალეობა გვაწევს, რათა ხელი შევუწყოთ ამ მხარეში მშვიდობიანი ცხოვრების დამყარებას, ყარსის ციხე და მთლად ყარსის ოლქიც მოითხოვენ განსაკუთრებულ ყურადღებას. მოვედი თქვენთან, რათა გთხოვოთ შეიყვანოთ თქვენი ჯარი იმ ოლქებში და დაადგინოთ თქვენი მთავრობა". ჟორდანია პასუხობს: „გენერალო, — ჩვენ, ქართველები, ავანტიურისტები არა ვართ, ჩვენი სურვილია საქართველოს სახელმწიფოება (?) გავამაგროთ ჩვენი ქვეყნის საზღვრებში. ჩვენსას არავის დავუთმობთ, მაგრამ არც სხვისას მივითვისებთ — ამიტომ თქვენს წინადადებას ვერ მივიღებთ". — მაშ, თქვენი აზრით, ვის უნდა მიეცეს ის ოლქი? — შეეკითხა გენერალი. „ამ ოლქს სომხებმა უნდა უპატრონოსო" — პასუხობს „დიდი დიპლომატი და მამულიშვილი" ნოე ჩანჩურეთელი.

5. ჯერ გერმანელებმა, ხოლო შემდეგ ინგლისელებმა შესთავაზეს ნოე ჟორდანიას მთავრობას: „ჩვენ მოგცემთ ფულს, იარაღს, ინსტრუქტორებს, — შეჰქმენით თქვენი საკუთარი ორი რკინის დივიზია, რაც საკმარისია საქართველოსათვის მშვიდობიანობის დროს, და, ომის დროს შეგიძლიათ 300000-მდეც აიყვანოთ"-ო. ამ უაღრესად კეთილშობილურ წინადადებაზეც უარი განუცხადა ორივე მხარეს ბატონმა ნოემ იმ მოტივით, რომ ჩვენ ნეიტრალური ქვეყანა ვართ, არავის არ ვეომებით და ჯარი არათ გვინდაო. რაც შეეხება დამოუკიდებლობის გამოცხადებას, რასაც დადებით მომენტად უთვლიან მენშევიკურ ხელისუფლებას, ეს, როგორც ზემოთაც ითქვა, იყო იძულებითი ღონისძიება ოსმალთა მოწოლის გამო. მენშევიკები, პირიქით, ამ აქტს დიდ „უბედურებად" თვლიდნენ. აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ რევაზ გაბაშვილი ერთ-ერთი ცნობილი მენშევიკის კაკი წერეთლის პოზიციაზე: „25 მაისის კრებაზედ, გულშეწუხებული ჩავარდა სავარძელში კაკი წერეთელი და გაპკიოდა ისტერიულად — „რას შვრებით, თქვენ ღუპავთ რუსეთის დემოკრატიას!"-აო.

აი, ასეთი ანტიქართველი ოჩოპეტრეების (რ.გაბაშვილის გამოთქმაა) გადმოსვენებას და მთაწმინდაზე დაკრძალვას მოითხოვენ თანამედროვე ოჩოპეტრეები, — სამაგიეროდ კი ივიწყებენ უდიდეს ინტელექტუალებს, დიდ მამულიშვილებს — გრიგოლ რობაქიძეს, მიხეილ წერეთელს და მათ შორის ეროვნულ გმირებს — ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს და ალექსანდრე ბატონიშვილს. მე კი ვფიქრობ, ჟორდანიასა და ძმათა მისთათვის ლევილის მიწაც ზედმეტია, რადგან ისიც ქართველ პატრიოტთა სავანეა. ამიტომ, თუ ჟორდანიას, ჩხეიძის, წერეთლის და სხვა მისთანების გადმოსვენებაზე დადგა საკითხი, უფრო მართებული იქნება რუსეთში გადაასვენონ ისინი და პლეხანოვის გვერდით დაკრძალონ. რაც შეეხება საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ბ-ნ ზვიად გამსახურდიას, ყოვლად გაუმართლებელი იქნება, რომ ამჟამად მის წმინდა ნეშტს ბინძური ხელი შეეხოს, მოვა ზვიადის თაყვანისმცემელი ეროვნული მთავრობა და ის ითავებს ზვიად გამსახურდიას მთაწმინდაზე გადმოსვენების საშვილიშვილო საქმეს.

**მიხეილ მჭედლიშვილი** —
ისტორიკოსი
ზვიად განმანთავისუფლებელის პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრი.

# რამდენ მილიონ ლარს იხდის საქართველო საგარეო ვალის მომსახურებისათვის?

მეორე გვერდიდან

— ყველასათვის გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, საშუალო ფენას შეიძლება მიეკუთვნოს ის ოჯახი, რომელსაც აქვს კომფორტაბელური ბინა, ჰყავს ავტომანქანა, ხელი მიუწვდება თანამედროვე ტელე-რადიო აპარატურაზე და კომუნიკაციის საშუალებებზე, საშუალო დონეზე იკმაყოფილებს სასურსათო, საგანმანათლებლო და კულტურულ მოთხოვნილებებს, სამედიცინო მომსახურებას. ჩემი გაანგარიშებით, საქართველოში დღეს არსებული პირობების გათვალისწინებით, საშუალო ფენას შეიძლება მიეკუთვნოს ის ოთხსულიანი ოჯახი, რომლის თვიური შემოსავალი 1000-1200 აშშ დოლარის ტოლფასია.

**— შეგიძლიათ გვითხრათ, რამდენი ასეთი ოჯახია საქართველოში?**

— თუ დავეყრდნობით ოფიციალურ მონაცემებს,. 1997 წელს, მომუშავეთა რაოდენობა, რომელთა თვიური ხელფასი აღემატებოდა 250 ლარს (ე. ი. დაახლოებით 190 დოლარი) შეადგენდა სულ 0,7%-ს, ხოლო მათ შორის 500 ლარზე (ე. ი. 380 აშშ დოლარი) მეტი ჰქონდა მხოლოდ 0,1%-ს. ასეთ ოჯახებს შეიძლება მივაკუთვნოთ, სხვა შემოსავლების გათვალისწინებითაც, ოჯახების მთელი რაოდენობის არაუმეტეს 0,3%. საქართველოში 1,25 მილიონი ოჯახია, ე. ი. მდიდარ და საშუალო ფენას შეიძლება მივაკუთვნოთ მხოლოდ 3750 ოჯახი. საქართველოში უახლოეს პერსპექტივაში, საშუალო ფენის შექმნის პერსპექტივას ვერ ვხედავთ.

**— როგორც თქვენი საუბრიდან ირკვევა, ეკონომიკურ რეფორმებს რაიმე მნიშვნელოვანი, ხელშესახები შედეგები ჯერ არ მოუტანია.**

— დიახ, მე ასე ვაფასებ. პრეზიდენტის მიერ ეკონომიკური რეფორმების საფუძვლად მიჩნეულია დოკუმენტი — „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი პრინციპები (1994-1995 წლებისათვის). ამ დოკუმენტის მიხედვით მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი 1994-1995 წწ. 1993 წლის მიმართ განსაზღვრულია ორ ვარიანტად: მინიმალური და მაქსიმალური. მინიმალური ვარიანტის მიხედვით ზრდის ტემპი შესაბამისად შეადგენს 110,9 და 160,1 პროცენტს, ხოლო მაქსიმალური ვარიანტის მიხედვით 152,6 და 224,9%-ს.

წარმოების ვარდნის შეჩერების თარიღად 1995წ. გამოცხადდა. ეროვნული შიდა პროდუქტის ზრდამ ამ წელს 1994 წელთან შედარებით 102,4% შეადგინა, ხოლო 1996წ — 111,0%, 1997წელს — 111,3%. შეადარეთ ეს მონაცემები პროგნოზულ პარამეტრებს.

ისეთ პირობებში, როცა გარე და შიდა ინვესტიციების კატასტროფული უკმარისობაა, რესტრუქტურიზაცია არ ჩატარებულა, როცა იმპორტი ბევრად სჭარბობს ექსპორტს, რის შედეგადაც მკვეთრად უარესდება საგარეო-სავაჭრო ბალანსი და ხდება კაპიტალის საზღვარგარეთ გადინება — წარმოების სტაბილურობისა და მისი მნიშვნელოვანი ზრდის საპროგნოზო დოკუმენტში ასახვა უბრალოდ ბლეფია.

**— ცნობილია, რომ საქართველოს დიდი რაოდენობით დაუგროვდა საგარეო ვალი. თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა დღესდღეობით ამ მხრივ?**

— 1997 წლის ბოლოსათვის საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალმა 1,6 მილიარდ დოლარს (2,08 მილიარდი ლარი) მიაღწია. მარტო 1997 წელს სახელმწიფოს მიერ მიღებულმა ახალმა კრედიტებმა 147,4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

**— ვინ გამოგვიყო 1997წ. კრედიტები?**

— საერთაშორისო სავალუ-



ტო ფონდმა 76,5 მილიონი, მსოფლიო ბანკმა 47,8 მილიონი, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა 5,1 მილიონი, ჰოლანდიამ 10,0 და გერმანიამ 7,9 მილიონი აშშ დოლარი.

**— თქვენ მიერ მოხსენიებული 1,6 მილიარდი დოლარის ვალიდან ვინ არიან ძირითადი კრედიტორები?**

— თურქმენეთი — 395 მილიონი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი — 363,0 მილიონი, მსოფლიო ბანკი — 195,0 მილიონი, ევროგაერთიანება — 142,8 მილიონი, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი — 30,0 მილიონი. ცალკეული სახელმწიფოებიდან: რუსეთი — 179,3 მილიონი, ავსტრია — 108,0 მილიონი, გერმანია — 65,0 მილიონი, თურქეთი — 50,0 მილიონი. ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ საკრედიტო დოკუმენტების უმრავლესობა ბოლო 4 წლის განმავლობაში გაფორმდა. 1991 წელს საქართველოს არც ერთი კრედიტი არ აუღია, ხოლო 1992 წელს გაფორმდა ერთადერთი საკრედიტო ხელშეკრულება ევროგაერთიანებასთან 70 მილიონი ეკიუს (დაახლოებით 90 მილიონი დოლარი) კრედიტის გამოყოფის თაობაზე.

დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები ზოგჯერ არასწორ ინფორმაციას იძლევიან საგარეო ვალების წარმომავლობის თაობაზე. მაგალითად, შევარდნაძემ წლიური ანგარიშით გამოსვლისას პარლამენტის ტრიბუნიდან განაცხადა, რომ თურქმენეთის ვალი მოწოდებული ბუნებრივი აირისათვის მომდინარეობს 1991-1992 წლებიდან, რაც არასწორია. 1992 წელს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მიიღო მაქსიმალური რაოდენობა ბუნებრივი აირისა (5 მილიარდი კუბური მეტრი მაშინ, როცა დღესდღეობით 1 მილიარდსაც ვერ ვღებულობთ), მთლიანად გაისტუმრა მისი ღირებულება და 1993 წლის I კვარტალში თურქმენეთს ჰქონდა ჩვენი ვალი. აღნიშნული ვალის დაგროვება დაიწყო 1993 წლის მეორე კვარტლიდან. პრეზიდენტმა მკაცრად უნდა აგებინოს პასუხი იმ ჩინოვნიკებს, რომლებიც არასწორ ინფორმაციას აწვდიან მას.

რაც შეეხება რუსეთის ვალს, იგი სამი საკრედიტო ხელშეკრულებისაგან შესდგება: პირველი — 135 მილიონი დოლარი დაგროვდა 1960-1992 წლებში, ხოლო შემდგომი — ორი-12,4 მილიონი დოლარი აღებულია 1994-95 წლებში. მესამე საკრედიტო შეთანხმებით საქართველოს მხარეს გირაოდ ჩადებული აქვს სახელმწიფო ქონება საწარმოთა აქციების სახით. ჩემი აზრით, 1997 წლის 17 იანვარს ხელმოწერილი შეთანხმებით, საქართველო რუსეთს ვალს 11 წლის განმავლობაში გადაუხდის. ამ შეთანხმებას ნაჩქარევად მოეწერა ხელი, რადგან ჩემთვის ცნობილია, რომ რუსეთსაც აქვს ჩვენი ვალი. კერძოდ, ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო-ეკონომიკური ბანკის მიერ ბლოკირებულია საქართველოს იურიდიულ და ფიზიკურ პირთა, აგრეთვე საქართველოს საზღვაო სანაოსნოს სავალუტო ანგარიშებზე რიცხული თანხები, სულ 28,4 მილიონი აშშ დოლარი. ყოფილი სსრკ მრეწვმშენბანკის ანგარიშებზე გაყინულია ბათუმის სავაჭრო ნავსადგურის კუთვნილი 2,5 მილიონი აშშ დოლარი და საქართველოს სხვადასხვა ორგანიზაციების კუთვნილი 14,3 მილიონი აშშ დოლარი, ე. ი. სულ 16,8 მილიონი დოლარი. ყოფილი სსრკ „სახდაზღვევას" (რომლის მემკვიდრეცაა რუსეთის სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია) საქართველოს დაზღვევის კომპანიის მიმართ მართებს, 1992 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 167,9 მილიონი მანეთის (იმჟამინდელი ოფიციალური კურსით დაახლოებით 280 მილიონი აშშ დოლარი) დავალიანება. ამრიგად, რუსეთს ჩვენი ვალი აქვს დაახლოებით 325 მილიონი დოლარი. ქვეყნებს შორის საფინანსო ვალდებულებები უნდა განიხილებოდეს ერთიან კონტექსტში, ანუ უნდა შეჯამდეს ურთიერთდავალიანება და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს შესაბამის ხელშეკრულებაზე ხელმოწერა.

საერთოდ არ არის გამოთვლილი, თუ რამდენი აქვს გადასახდელი რუსეთს ჩვენს ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო ბაზების (ვაზიანი, ახალქალაქი, ბათუმი, ბომბორა) მიწის ნაკვეთებისა და მათზე განლაგებული უძრავი ქონების სარგებლობისათვის. ცნობისათვის, სხვა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა ასეთი პრეტენზიები რუსეთს წაუყენეს და კონკრეტული თანხებიც მოსთხოვეს. კერძოდ, ყაზახეთმა ბაიკანურის კოსმოდრომისა და სამხედრო პოლიგონის გამოყენებისათვის რუსეთს 500 მილიონი დოლარის გადახდის პრეტენზია წაუყენა, ხოლო აზერბაიჯანმა გოდელინის რადიოლოკაციური სადგურის ექსპლუატაციისათვის — 150-მდე მილიონი დოლარის საზღაური მოსთხოვა. ასევე უკრაინაც სევასტოპოლის სამხედრო-საზღვაო ბაზის ექსპლუატაციისათვის საკმაოდ სოლიდურ საზღაურს მოითხოვს. ჩვენი ხელისუფლება კი ასეთი პრეტენზიის წაყენებას აგვიანებს. ყველაფერი, რაც მე მოგახსენეთ, ჯერ კიდევ 1992 წელს იყო დათვლილი

გაგრძელება მე-8 გვერდზე

— აფხაზეთი —

# ქამი მეგობრობისა და ქამი მტრობისა

ცნობილი ფაქტია: აფხაზები ანტიკურ. ხანაში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ბინადარი ტომიდან, მოსხებიდან მომდინარეობენ (ნ. მარი, პ. ინგოროყვა). აფხაზების წარმოშობის შესახებ არის სხვა მოსაზრებებიც (დ. გულია, ნ. ლომოური და სხვა), მაგრამ ჩვენ სწორად მიგვაჩნია აფხაზების ქართველ ტომ მესხებიდან წარმოშობა, ეს ჩანს წინამდებარე სტატიიდანაც. აფხაზები თავიდანვე ქართველები იყვნენ და ქართულ-მეგრულ ენებზე მეტყველებდნენ. მე-17 საუკუნემდე აფხაზური ენა არსად არ არის მოხსენიებული. ამ დრომდე აფხაზი იგივე ქართველი იყო, როგორც ქართლელი, კახელი, იმერელი, მეგრელი. მე-12 საუკუნეში ირანელი პოეტი შარვან ხავანი წერს: „აფხაზეთში მოვედი და ქართულად ავლაპარაკდიო." „აფხაზეთი დასახლებულია ქრისტიანი ქართველებით" (მე-14 საუკუნის არაბი ავტორი იაყეთი), ესპანელი კარტოგრაფის დიეგო ჰომეგის მიერ შავი ზღვის აუზის რუკაზე (1559 წ.) თანამედროვე აფხაზეთს აქვს წარწერა: „მენგრელია." 1641 წელს თურქი მოგზაური ევლია ჩელები წერს: „ქრისტიანი აფხაზები ქართველები არიან, წარმართები კი ჩრდილო კავკასიელებიო." მასვე აღნიშნული აქვს, რომ ბზიფის აფხაზეთში მეგრულად ლაპარაკობენო.

აფხაზები, როგორც ქართველები, შუა საუკუნეებში ქართველებთან ერთად იბრძოდნენ გარეშე მტრების წინააღმდეგ. ამ დროს აფხაზები საქართველოს მეფის ლაშქრის მემარჯვენე (მარჯვენა) ფლანგს შეადგენდნენ. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით ბასიანის ომის დროს „დაანყეს რაზმი ერთ კერძო აფხაზნი და იმერნი, ერთ კერძო ამერნი და ჰერ-კახნი."

გიორგი ლაშას მიერ განძის აღების დროს „ერთ კერძო მხარგრძელნი დგეს და ერთ კერძო ჰერ-კახნი და სომხითარნი, ქართველნი (ე. ი. ქართლელნი ვ. ზ.) და თორელი, ერთ კერძო აფხაზნი, დადიან-ბედიანნი ლიხთ იქითნი." „ქართლის ცხოვრებაში" აღნიშნულია თათრებთან ბრძოლაში თუ რა გმირობა გამოიჩინა სახელოვანმა „შერვაშიძის-ძე დარდინ აფხაზთა მხედართმთავარმა." აფხაზები მონაწილეობდნენ კოხტასთავის ანტიმონღოლურ შეთქმულებაში. „დაამტკიცეს ომი და დათქვეს პაემანი ქართლის შეკრებისა და განიყარნენ. უშორეს მყოფნი აფხაზნი, დადიანი და ბედიანი და რაჭის ერისთავი, ესენი ყოველნი წავიდნენ კაზმვად." 1330 წელს მეფე გიორგი ბრწყინვალეს დასავლეთ საქართველოს მთავრებმა, მათ შორის აფხაზეთის მთავარმა შარვაშიძემ „დაულოცეს მეფობა იმერეთსა და ყოვლისა გიორგიისა. მეფე შთავიდა ოდიშს, მუნიდამ აფხაზეთს, განაგნა მუნებურნი და მისცა ცხუმის საერისთაო ბედიელს."

ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს, რომ 1553 წელს ირანსა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად „ხონთქარმან და ყაენმან საქართველო შუა გაიყვეს: სამცხე და ქართლი და კახეთი — ყაენსა, იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი და გურია და ლაზის ქვეყანა — ხონთქარსა."

მე-16 საუკუნის მეორე ნახევრამდე, ქართველები და



ქართულ (მეგრულ) ენაზე მოლაპარაკე აფხაზები ძმურ მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ. მაგრამ ამ დროიდან ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოიჭრნენ ადიღეური მოდგმის აფსუები, მათ თავიანთ ენაზე მოაქციეს ქართულ ენაზე მოლაპარაკე აფხაზები. ეს ენა კი აბაზინურ-ყაბარდოულია. აფსუები ამ ენას აფხაზურს უწოდებენ, თავიანთ თავს — აფსუებს, ქვეყანას — აფსნის, ხოლო სხვა ხალხებისათვის აფხაზებად იწოდებიან. ამიტომ მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან „ქართლის ცხოვრებაში" მოხსენიებული აფხაზები აფსუები არიან.

ისტორიულ წყაროებში არსად არ შემხვედრია, ხალხში კი გამიგონია, რომ აფხაზეთში აფსუების მომრავლებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ აფხაზეთის ერთ-ერთი მთავრის ცოლი ადიღეიდან იყო.

თუ მე-16 საუკუნის მეორე ნახევრამდე ქართველები და ქართველი მესხების შთამომავალნი, ქართულ ენაზე მოლაპარაკე ქართველი აფხაზები ძმურ-მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ, ჩრდილოეთ კავკასიიდან აფსუების შემოჭრის შემდეგ, მათ მიერ ადგილობრივ აფხაზთა აფსუებად მოქცევის შემდეგ იწყება წინააღმდეგობანი, აფხაზთა თავდასხმები დასავლეთ საქართველოში. ამ დროიდან მეგობარი მტრად იქცა, მტერია აბაზინურ ენაზე მოლაპარაკე აფსუები (რომელთა შთამომავლები ამჟამადაც ბევრია აფხაზეთში, მაგალითად გვარები: სნირ, კეპარ, დბარ, ენიკ, კიუტ, და სხვა) და აფსუებად ქცეული ქართველი აფხაზები.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით 1591 წელს „შემდგომად მიუხტნენ აფხაზნი გურიას ნავებითა. ამათ ეკუეთა გურიელის-ძე მამია, სძლია და მოსწყვიდა სრულიად." (მე-17 საუკუნის 60-იანი წლები). „გიორგი გურიელი იყო კაცი მხნე, შემმართებელი, მშვიდობიანი, მოასპარეზე, რჩეული. ამან მოსრნა მეკობრედ მოსრულნი აფხაზნი მრავალგზის" გადმოგვცემს ვახუშტი. ვახუშტის ცნობით, აფხაზები ზოგჯერ იმერეთსაც გადასწვდებოდნენ: „აფხაზთა აალაფეს ბარგი იმერთა."

აფხაზები განსაკუთრებით ემტერებოდნენ სამეგრელოს. ვახუშტის ცნობით, XVII საუკუნის მეორე ნახევარში „ჟამთა ამათთა შინა იყო კირთება ოდიშს აფხაზთაგან." აფხაზები ხშირად მარცხდებოდნენ: ლევან მეორე დადიანმა დაამარცხა აფხაზეთის მთავარი

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# გულაბერ კლარჯი: ხელისუფლება სარგებლობს ქართველთა უმრავლესობის ეროვნული შეგნების დაბალი დონით

1917 წლის სექტემბერ-ოქტომბერში თბილისში გაიმართა სომხეთა ეროვნული ყრილობა. რატომ გაიმართა ეს ყრილობა თბილისში და არა სომხეთში, ეგ ცალკე მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. აქ ორი სიტყვით უნდა ითქვას, რომ სომხებს იმჟამად თბილისი სომხეთის დედაქალაქად მიაჩნდათ და დღესაც გვაყვედრიან, ხომ წაგვართვით თბილისი, რაღა გინდათ, ჯავახეთს მაინც რა სინდისით გვეცილებითო (იმ ხანებში სტალინიც წერდა, რომ თბილისში სომხები ქართველზე მეტნი ცხოვრობენ და თბილისი არ უნდა გამოცხადდესო საქართველოს დედაქალაქად. ბელადი იმას აღარ კითხულობდა, რომ სომხები თბილისში რუსეთმა მოამრავლა და ეს უსამართლობა მართალ სამართალს ელოდა. ღმერთო დიდებულო! სანამდე შეიძლება მივიდეს საქართველოს, ქართველი ხალხის დაკნინება! ყველაფრიდან ჩანს, რომ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ეს სრულებითაც არ ადარდებს, იგი უფრო დიდ, მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკაზე ფიქრობს!

სომეხთა აღნიშნული ყრილობის მასალები 1992 წ. სომხურ ენაზე ცალკე წიგნად გამოქვეყნდა ერევანში. ჩვენთვის (პირადად ჩემთვის) საერთოდ ხელმიუწვდომელია ის სომხური გამოცემები, რომლებშიც საქართველოს ძველი თუ ახალი ისტორიის საკითხებიცაა განხილული (როგორც წესი, სინამდვილის გაყალბებით). სომეხთა ეროვნული ყრილობის მასალების გაცნობაც მხოლოდ ახლახან მოვახერხე. უარესიც ხდება. ახალქალაქში გამოდის საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების წინაალმდეგ მიმართული სომხური გაზეთი „ჯავახქ" (სომხები ჯავახეთს „ჯავახქს" ეძახიან) და თბილისის ბიბლიოთეკებში ამ გაზეთის წაკითხვაც არ შეიძლება მიუხედავად იმისა, რომ ქართულ პრესაში ეს საკითხი არაერთხელ დაისვა.

თბილისში გამართულ სომეხთა ეროვნულ ყრილობაზე ძირითადად ნაციონალისტური პარტიების (დაშნაკები და სხვა) წარმომადგენლები შეიკრიბნენ, მაგრამ მის მუშაობაში მონაწილეობდნენ მემარცხენე ძალებიც. ყოველ შემთხვევაში, პარტიების სახელწოდებების მიხედვით შეიძლება ამის თქმა, თორემ ცნობილია, რომ თვით სომეხი ბოლშევიკებიც კი დაშნაკებზე არანაკლებ ცდილობდნენ ქართული მიწა-წყლის მიტაცებას, სომხეთთან შეერთებას, ქართველი ბოლშევიკებივით სხვებს არ ჩუქნიდნენ წინაპართა სისხლით გაჟღენთილ მიწებს. ყრილობის მეთერთმეტე სხდომაზე (მთლიანად 18 სხდომა გამართულა) სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) დელეგატს, ეკლესიის მოწინააღმდეგეს სტამბოლციანს უთქვამს: „ეროვნული სასწავლებლები, რომლებიც სარგებლობენ თვითმმართველობით, საცოდავ მდგომარეობაში არიან. ქართველები, რომლებსაც არ ჰქონდათ სასკოლო თვითმმართველობა, ჩვენზე მაღლა დგანან მწიგნობრობის მხრივ." მწერლობა, მწიგნობრობა საქართველოში მართლაც მაღალ დონეზე იდგა XIX საუკუნესა და XXს-ის დასაწყისში. სომხებს არ ჰყავდათ იმ ხანებში ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, იაკობ გოგებაშვილის, ივანე ჯავახიშვილის რანგის შემოქმედნი, მოღვაწეები. ეს განაპირობა იმან, რომ ქართულმა სახელმწიფოებრიობამ გაუძლო ათას ქარცეცხლს, უბედურებას და XIX საუკუნემდე მოაღწია (სანამ მოყვრულად მოსული რუსეთის კლანჭებში აღმოხდიდნენ სულს). ამის გამო XIX ს-ის საქართველოში ძლიერი იყო ეროვნული ტრადიცია. მაგრამ თანდათან, რუსეთის საშინელი იმპერიული, კოლონიზატორული, გამარუსებელი პოლიტიკის ვითარებაში ეროვნული ქართული ტრადიციები შესუსტდა, რუსული სასწავლებლებიც მომრავლდნენ საქართველოში, იმატა რუსეთში სასწავლებლად წასული ქართველების რიცხვმაც და ყოველივე ამის შედეგადაც მოხდა, რომ პატარა, დაპყრობილი ერების სასიცოცხლო ინტერესებისათვის განსაკუთრებით მიუღებელმა მარქსიზმმა საქართველოში, ქართველთა შორის უფრო მოიკიდა ფეხი, ვიდრე სომხებში. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის სწორედ სომხურ ეროვნულ სკოლას. რუსეთის იმპერიამ საქართველოს. დაპყრობისთანავე, XIX საუკუნის დასაწყისში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაც მოსპო, ხოლო სომხურს, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, ავტოკეფალია შეუნარჩუნა. ამით სომხური სასწავლებლებიც, ეროვნული სკოლაც თვითმმართველობას ინარჩუნებდა, სომხური ეკლესიის გამგებლობაში რჩებოდა. ასე რომ, ქართველი მოღვაწეები ტყუილად არ ცდილობდნენ საქართველოში ეროვნული სკოლის დამკვიდრებას, გაძლიერებას. სახელმწიფოებრიობის ტრადიციების მქონე საქართველოში რუსეთის იმპერიას ეს უფრო დაუშვებლად მიაჩნდა, ვიდრე XI საუკუნიდან სომხურ სახელმწიფოებრიობას მოკლებულ სომხეთში და სომხებში.





ქართველი ხალხის დიდ ნაწილში მარქსიზმის იდეების შეჭრას (მარქსიზმის პროპაგანდისტები ჩვენში საშინლად მომრავლდნენ) საქართველოსთვის უბედურების მეტი რომ არაფერი მოუტანია, დღეს ამას ყველა სალად მოაზროვნე ქართველი კარგად ხედავს. მაგრამ ჩვენში ახლაც მრავლად არიან ისეთები, რომლებსაც ეროვნული დროშა არაფრად ულირთ და მარქსისტულ დროშას, კერძოდ, სტალინურ დროშას ეთაყვანებიან. ქართველი სტალინელები, მათ შორის ინტელიგენციის, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებიც, ამავე დროს, რუსოფილებიც არიან. ისინი ოცნებობენ, რომ საქართველო კვლავ მოექცეს რუსეთის შემადგენლობაში (ამას ნატრობს ქართველთა კიდევ ერთი ნაწილიც, რომელიც სტალინელობაზე თავს არ დებს, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ქართული ეროვნული შეგნება გააჩნია). რაკი სტალინმა თქვა, რომ შექმნილ მძიმე ვითარებაში რუსეთის იმპერიის მიერ XIX საუკუნის დამდეგს ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა უმცირესი ბოროტება იყო, დღესაც ქართველი სტალინელები გვიმტკიცებენ, რომ XVIII ს-ის ბოლოს ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობა დადებით კი არა, უარყოფით მოვლენას წარმოადგენდა და საქართველოს გადაქცევამ რუსეთის გუბერნიად, კოლონიად ჩვენი ქვეყანა დაღუპვას გადაარჩინაო. რუსეთის მიერ XIX-XX სს-ში საქართველოს დაპყრობის მომხრე იყო საქართველოს სომხური მოსახლეობაც. ძნელია დაბეჯითებით თქმა, ქართველი სტალინისტების და საქართველოში მცხოვრები სომხების პოზიცია შემთხვევით დაემთხვა ერთმანეთს, თუ მათ შორის მჭიდრო კავშირი არსებობს.

სტალინისტები იმასაც გვიმტკიცებენ, რომ რუსეთმა გააერთიანა ცალკე სამეფო-სამთავროებად დანაწევრებული საქართველო და დაუბრუნა მას თურქეთისაგან მიტაცებული არაერთი ქართული მხარეო. ეს შეხედულება რუსეთიდან, რუსებისგან გადმოიღეს ქართველმა სტალინისტებმა. სინამდვილეში ქართველი ხალხი თავდაუზოგავად იბრძოდა სხვადასხვა ჯურის დამპყრობთა წინააღმდეგ თვითმყოფადობის, ეროვნული მეობის, ქართული სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად და მისი მოსპობა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ ერთმორწმუნე რუსეთის ვერაგული პოლიტიკის შედეგად უნდა მივიჩნიოთ. XIII-XVIII სს-ში ქართველთა რიცხვი უთვალავი მტრის ურდოების წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლებში მკვეთრად შემცირდა. ამგვარ მსხვერპლს ქართული სახელმწიფოებრიობის გადარჩენა უნდა მოჰყოლოდა და არა მისი მოსპობა რუხეთის მიერ. სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში" მოიპოვება ასეთი მინაწერი: „ნუ-გათათრდები — ეგვიპტის ტრედია მომცრო ფრინველი, მსგავსი გვრიტისა, მისირში და შირაზში ცხოვრობს. ესენი ოდეს მგზავრს კაცს ნახვენ, იწყებენ ძახილს ქართულის ენით: ნუ გათათრდები და ამ მიზეზით თათარნი უწოდებენ გიაურყუში, ვითომც ურჯულო ფრინველი" (იხ. ლექსიკონის 1928 წ. გამოცემა). ჩიტებშიც რომ თავიანთი მშველელის დანახვას ცდილობდნენ სხვადასხვა ჯურის დამპყრობელთაგან შევიწროებული ქართველები, ეს იმის შედეგია, რომ მათ ძალიან უჭირდათ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ღმერთი არ გასწირავდა მრავალტანჯულ საქართველოს. ასეთ ვითარებაში ქართველებს ერთმორწმუნე რუსეთში რომ დაენახათ მოკავშირე, მფარველი, განა ეს მოულოდნელია? მაგრამ რუსეთმა ისარგებლა საქართველოს გაჭირვებით და შეძლო ომებში, ბრძოლებში დაღლილი ქართველი ხალხის მოტყუება.

რაც შეეხება საქართველოს გაერთიანებას, ეს საკითხი ჩვენში სერიოზულად დადგა 1790 წელს (იგი მეტნაკლებად საუკუნეების განმავლობაში მზადდებოდა), მაგრამ 1783 წ. ტრაქტატის შემდეგ, რაკი რუსეთმა ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა და ქართლ-კახეთი ტრაქტატით შეშფოთებულმა მაჰმადიანმა მეზობლებმა აიკლეს, ერეკლე II-მ, შინაური და გარეშე მტრის შიშით, ვერ გაბედა რეალური ნაბიჯები გადაედგა საქართველოს გასაერთიანებლად. იგი ჯერ კიდევ რუსეთზე ამყარებდა იმედებს (ეგონა კრწანისის ომშიც მიეშველებოდნენ რუსები) და, შესაძლოა, რუსეთის კარნახითაც თქვა უარი საქართველოს გაერთიანებაზე. ასეა თუ ისე, აშკარაა, რომ რუსეთს არ აწყობდა საქართველოს ქართულად გაერთიანება, მას საქართველოს გაერთიანება რუსულ გუბერნიად უნდოდა. საქართველოს გაერთიანება თუ რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობამდე მოხერხდებოდა, მაშინ თურქების მიერ მიტაცებულ ზოგიერთ მხარესაც დავიბრუნებდით, რადგან საკუთარი ძალით გაერთიანებული ქვეყანა აღმავლობის, გაჯანსაღების გზას დაადგებოდა, გაძლიერდებოდა, ხოლო თურქეთი იმ ეპოქაში კრიზისში იმყოფებოდა. ასე რომ, საქართველოს საქმეებში რუსეთი მზაკვრული მიზნებით რომ არ ჩარეულიყო, XVIII-XX სს-ის საქართველოს ისტორიაში შეიძლება კვლავ განმეორებულიყო დიდგორის ომი. რუსეთის ბატონობის დროს რომ ქართული მიწების დაბრუნება მოხდა, მათ ხეირი არ დაყრია. ჯავახეთში ლტოლვილ ქართველებს უარი უთხრეს დაბრუნებაზე და სომხები დაასახლეს, მაჰმადიანი ქართველები აიძულეს თურქეთში გადახვეწილიყვნენ, ვინც დარჩა, მათ ქართველები, ჩვენი მოღვაწეები არ მიაკარეს და თანდათან ქართული ცნობიერება თითქმის მთლად მოუსპეს. აჭარლებსაც უპირებდნენ აჭარიდან თურქეთში განდევნას, მაგრამ ქართველი ხალხის მედგარმა წინააღმდეგობამ და პირველი მსოფლიო ომის სირთულეებმა, რუსეთის არასტაბილურმა მდგომარეობამ ჩაშალა ეს გეგმა. აფხაზეთშიც ოლონდ ქართველები არ მომრავლებულიყვნენ და რუსეთის ხელისუფლება იქ ვის აღარ ასახლებდა. რუსეთი ხომ მეგრელებისა და სვანების ჩამოშორებასაც ცდილობდა დანარჩენი ქართველებისაგან. აჭარლებსაც, ზოგჯერ კი იმერლებსა და თუშებსაც არაქართველებად აცხადებდნენ და ა. შ. და ა. შ. რომელი ერთი ჩამოვთვალო. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ერეკლე II-მ რუსეთს დიდი სამსახური გაუწია თურქეთ-ირანის მეზობლად, საქართველოში შემოყვანით და სამაგიეროდ მისგან, უწინარეს ყოვლისა, სწორედ დაკარგული მიწების დაბრუნებაში დახმარებას ითხოვდა მოკავშირეობის ნიადაგზე.

სტალინი ერთ-ერთი ინიციატორი იყო 1921 წ. რუსეთის მიერ საქართველოს მეორედ დაპყრობისა. ამის გამო დღევანდდელი ქართველი სტალინელებიც საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს მოქცევას ქვეყნის ხსნად მიიჩნევენ და ოცნებობენ საქართველო კვლავ რუსეთის ნაწილი გახდეს. იმას კი აღარ კითხულობენ, რომ თუ დღეს დიდგორის, შამქორის, ბასიანის და სხვა დიდ ომებში გამარჯვებული ქართველების ნაშიერნი ვილაც არძინბასა და ჩიბიროვის ხროვების წინააღმდეგ ბრძოლას გაურბიან, ქართველთა ამგვარი დაკნინება ძირითადად საბჭოთა პერიოდში მოხდა. ქართველმა ხალხმა სრულად რომ გამოავლინოს თავისი ნიჭი და უნარი, შესაძლებლობები, ამისთვის აუცილებელია სრული დამოუკიდებლობა, რუსეთის უღლის საბოლოოდ მოშორება. განა შემთხვევითია, რომ საქართველოს რუსთაველის ოდენა შემოქმედი შემდგომში აღარ ჰყოლია? არ ჰყავდა იმიტომ, რომ რუსთაველის შემდეგ საქართველოს თითქმის ყოველთვის მტერი ავიწროებდა. ბ-ნ ვ. რცხილაძის წიგნში წავიკითხე, გადასახლებაში მყოფ რუს პატიმარს დედა ან და რომ ინახულებდა, პატიმარი დედასთან და დასთან სქესობრივ კავშირს ამყარებდაო. რუსებს ეგონათ, იქ მყოფი ქართველი პატიმარიც ასე იქცეოდაო. სანამდე შეიძლება ასეთი ხალხისადმი, ქვეყნისადმი დაქვემდებარებაზე იოცნებოს ქართველმა? აღარ უნდა მოვიშოროთ მონური სულისკვეთება? რუსოფილი ქართველები იქამდეც მიდიან, რომ აცხადებენ, თურქეთთან საზღვრის გახსნას არ ჯობდა რუსეთის შემადგენლობაში ყოფნა? თუ რუსის ქალებთან ქართველი მამაკაცები ატარებდნენ დროს, თურქებმა ცოლები და ქალიშვილები გაგვითახსირესო. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ველურის მორალი: თუ მე მოვტაცებ ცოლს სხვას, ეს სამართლიანობაა, ხოლო სხვა თუ მომტაცებს ცოლს, ეს უსამართლობააო. ნუთუ დღეს ქართველი ხალხი და ხელისუფლება ჩვენი დიდი წინაპრების (მტრებისგან შევიწროებულ ქართველთა წინაპრებში, განსაკუთრებით XIII-XX სს-ში, ულირსნიც საკმაოდ გამოერივნენ, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მათ კვალს უნდა გავყვეთ?) შესაფერის სიმაღლეზე რომ იდგნენ, საშველს ვერ გამოძებნიდნენ და ამდენი ქართველი ქალი გაიქცეოდა თურქეთის საროსკიპოებში გროშების საშოვნელად? საქართველოში ვერ მოიპოვებს ამ გროშებს? თუ მათ ქართველი გმირი ქალების, სოფიო ლიონიძის სულს ჩავუდგამთ, ისინი უცხოეთის საროსკიპოებში სირბილზე კი არა, საქართველოს გადარჩენაზე იფიქრებენ, ზოგი მათგანი სნაიპერიც გახდება, ქართული მიწა-წყლის მიმტაცებელ მტერს შეებრძოლება და ამით ქართველი მამაკაცების უმრავლესობის გამოფხიზლებას, გონზე მოსვლასაც ხელს შეუწყობს.

ქართველი ხალხის დაკნინების პროცესი, სამწუხაროდ, იქამდე მივიდა, რომ დღესაც შემორჩენილია ვასილ მჟავანაძის კულტი, რაც ადრე გაცილებით უფრო ძლიერი იყო (მადლობა ღმერთს, სალად მოაზროვნე ქართველები მასზე ანეკდოტებსაც თხზავდნენ). ასეთი ხალხური ლექსიც კი შეიქმნა: „სანამ იყო ვასილი, ჯიბე გვქონდა გავსილი, ახლა არის შავარდნაძე, შარვალი გვაქვს ჩავარდნაზე." აღარ ვიცი, ამ ლექსის მიხედვით, დღევანდელი გადასახედიდან, მჟავანაძეს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, თუ შევარდნაძეს. არც ერთს არ უნდა მიენიჭოს. იქ, სადაც მჟავანაძის კულტი არსებობს, სტალინის კულტის არსებობა რაღა გასაკვირია! მჟავანაძეს რომ სინდისი ჰქონოდა, 1956 წ. 9 მარტის ხოცვა-ჟლეტის შემდეგ არ უნდა გადამდგარიყო? სხვა მხრივ, რა მოგახსენოთ, მაგრამ ამგვარ გაუბედურებულ მდგომარეობაში მას ჯ. პატიაშვილმა აჯობა. მჟავანაძის ცეკას მდივნობის დროს განსაკუთრებით გაირყვნა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი და სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც. პირადად მე რამდენ ექიმთან ვყოფილვარ, მაგრამ მათ შორის ერთი სანიმუშო ქართველი მოქალაქე ვერ ვიპოვე, რომელიც უანგაროდ

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთი

# ქამი მეგობრობისა და ქამი მტრობისა

მეხუთე გვერდიდან

შერვაშიძე, ხარკი დაადო, „მაგრამ არქ. ლამბერტის თქმით, რადგანაც აფხაზებმა ფული არ იცოდნენ, არც არაფერი ჰქონდათ ხარკის გადასახდელად, დადიანმა დაუდგინა აფხაზებს სანაცვლოდ მწევარ-მაძებრების და ქორ-მიმინოთა გამოზრდა. XVII საუკუნის 80-იანი წლები „გარნა იყო ჭირს ოდიშს და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნავებითა და ხმელითა და სტყვევნიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე, დაეშენებოდნენ თვით აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქვს ეპისკოპოსნი" (ვახუშტი). აფხაზებზე ვახუშტი აგრძელებს: მე-17 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს აფხაზები სამეგრელოში „მოვიდიან ლაშქრად და აოხრებდიან ქვეყანას ავაზაკობით და ცხადად" ამიტომ წერს ვახუშტი — „აფხაზნი ავაზაკნიო." აფხაზთა შემოტევებმა აიძულა სამეგრელოს მთავარი ლევან მეორე დადიანი (XVII ს) აფხაზებისაგან თავდასაცავად აღემართა კელასურის კედელი (ამ დროს აფხაზეთის აღმოსავლეთი საზღვარი იყო მდინარე კელასური) „აფხაზთა გამოუსვლელობისათვის" (ვახუშტი). კელასურის კედლის ნაშთებმა დღემდე მოაღწია. აფხაზები კი კელასურის კედელს ბიზანტიელთა აშენებულად თვლიან.

მე-17 საუკუნის 60-იანი წლებიდან აფხაზები ძლიერდებიან, საშინელი ანარქიის გამო სამეგრელო ვერ უწევს აფხაზეთს წინააღმდეგობას, ასე რომ, აფსუები თანდათანობით გამოვიდნენ ჯერ კელასურზე, შემდეგ კოდორზე და ოციოდე წლის განმავლობაში მიაღწიეს მდინარე ღალიძგამდე, შემდეგ ენგურამდე. ამ დროს დაცარიელდა კოდორსა და ღალიძგას შორის მხარე, ვინც მახვილს, შიმშილს, ავადმყოფობას გადაურჩა, აფხაზების მიერ ტყვედ იქნა წაყვანილი და თურქებზე გაყიდული. მოსახლეობის ნაწილი სამეგრელოს აღმოსავლეთ რაიონებში გაიქცა, ნაწილი აფხაზი გახდა (კუწნია, კვიცინია, ლასურია, კოლონია, ჯინჯოლია და სხვ.)

მრავალი ქართული ტოპონიმი შეიცვალა აფხაზურით. ახალშექმნილ სამურზაყანოს სამფლობელოში სოფელ სუბეიშს ეწოდა აჩიგვარა, თილითს უწოდეს აბააუკუ, წყურგილს — აძიუბჟა, ჭალას — ჭლოუ, მოქვს, რადგან აფხაზურში „ო" და „ვ" ასოები არ არის უწოდეს მიქუა, კოდორს — კუდრი." ლევან დადიანის მიერ შემკული ქაჩის ხატი გადატანილ იქნა ობუჯში (წალენჯიხასთან). კოდორსა და ღალიძგას შორის მხარეს ისტორიული ქართული „შუა სოფლის" ნაცვლად უწოდეს აბჟუა, რაც აფხაზურად ასევე შუა სოფელს ნიშნავს. ამგვარად, სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი — თანამედროვე ოჩამჩირისა და გალის რაიონები აფხაზეთის ნაწილად იქცა. ღალიძგასა და ენგურს შორის გამოიყო სამფლობელო სამურზაყანო. მე-18 საუკუნეში ამ მხარის მფლობელის მურზაყან შერვაშიძის პატივსაცემად, რომელსაც მემატიანის სიტყვით „ალუყვავილებია" მხარე.

აფხაზთაგან აწიოკებული სამეგრელო დახმარებისათვის ხშირად მიმართავდა იმერეთს. ვახუშტის ცნობით, მე-18 საუკუნის დასაწყისში იმერეთის განმგებელმა აბაშიძემ „შემოიკრიბა სპანი იმერთა, წავიდა და შთავიდა აფხაზეთსა, ვერ წინაღუდგა შერვაშიძე, მოსტყუენეს აფხაზები."



„ქართლის ცხოვრებაში", არც სხვა წყაროებში, არსად არ არის აღნიშნული, რომ მე-16 საუკუნიდან ქართველები აფხაზებთან ერთად იბრძოდნენ გარეშე მტრების წინააღმდეგ. პირიქით, ოსმალებმა მოიმხრეს აფხაზები და გეგუთში მოკლეს სამეგრელოს მთავარი ბეჟან დადიანი. შეიძლება ვინმე შემოგვედავოს, 1757 წელს ხრესილის ომში აფხაზები ოსმალების წინააღმდეგ ხომ ეხმარებოდნენ იმერეთის მეფე სოლომონ პირველსო, არა, აქ აფხაზები კი არ იყვნენ, არამედ სამურზაყანოელი ქართველები. ე. თაყაიშვილს შრომაში „არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში" აღნიშნული აქვს, რომ მე-18 საუკუნეში აფხაზებს გაუძარცვიათ და აუოხრებიათ ცაიშისა და წალენჯიხის ტაძრები.

1779 წელს აფხაზეთის მთავარი ოსმალებთან და ჩრდილოეთ კავკასიელებთან (ჯიქნი და ალანნი) ერთად 11 ათასიანი ჯარით მიადგა მდინარე ენგურს. სამეგრელოს მთავარმა კაცია დადიანმა შეკრიბა ჯარი და დახმარება სთხოვა სოლომონ მეფეს. მეფე დაეხმარა იმერთა ჯარით და ომი მოხდა სოფელ რუხთან. ომი დასრულდა აფხაზთა სრული დამარცხებით.

მე-19 საუკუნეში რუსეთის მმართველობის ქვეშ მყოფი აფხაზები ვერ ბედავდნენ ქართველების წინააღმდეგ გალაშქრებას, მაგრამ რევოლუციის შემდეგ, 1918-21 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში აფხაზები აუმხედრდნენ ქართველებს, იყო ბრძოლები, შეტაკებანი, თავდასხმები, მაგრამ აფხაზები დამარცხდნენ. ამიტომაა, რომ აფხაზი ისტორიკოსები თავიანთ შრომებში შეურაცხყოფენ ქართველ მხედართმთავრებს გ. მაზნიაშვილსა და ვ. ჯუღელს, რომლებმაც ჩაშალეს აფხაზთა სეპარატისტული ზრახვანი. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში იყო ცდები საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფისა, მაგრამ დამარცხდნენ: 1942 წელს, როდესაც გერმანელები სოხუმს ბომბავდნენ, დაიკავეს მაღალმთიანი სოფელი ფსხუ და საქართველო დადგა საშიშროების წინაშე, აფხაზმა სეპარატისტებმა თავი გამოჰყვეს, მოინდომეს საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფა-ჩამოცილება, მაგრამ მათი განზრახვანი გამომჟღავნდა, ხელმძღვანელები ს. ბასარია, მ. პატეიფა რეპრესირებულნი იქნენ და შეთქმულება ჩაიშალა და აი ახლა ჩვენს პირობებში, როგორც კი მოიპოვა საქართველომ დამოუკიდებლობა, აფხაზმა სეპარატისტებმა ქართველ ხალხს მოახვიეს ომი. თუ როგორ დამთავრდა ეს ომი, ყველასათვის ცნობილია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ იგი საბოლოოდ აფხაზ სეპარატისტთა დამარცხებით დამთავრდება.

გამართლდა ნესტორ ლაკობას გაფრთხილება: თქვენ აფხაზებს დედამიწაზე ისეთი ლამაზი კუთხე გიჭირავთ, რომ თუ ჭკვიანად არ იქნებით, დაკარგავთო. აფხაზი ხალხი არა, აფხაზი სეპარატისტები ნამდვილად კარგავენ აფხაზეთს.

აფხაზური ინტელიგენციის მაღალი ფენა ქართველებისადმი კეთილად იყო განწყობილი, ყველას ვერ დავასახელებთ, ამის საშუალება არ არის, მაგრამ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ინტელიგენციის წარმომადგენლები: ანდრია ჭოჭუა, გიორგი ძიძარია, ხუხუტი ბლაჟბა, მიხეილ დელბა, სოკრატ არშბა, გიორგი ამიჩბა და სხვ. სიკვდილის წინა წლებში მათ მიემხრო დიმიტრი გულია.

მოვიყვანთ მაგალითს აფხაზის ქართველთან დამოკიდებულების შესახებ. აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი ერთ-ერთ თავის შრომაში წერს: მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, მუჰაჯირობის დროს, ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოს ალექსანდრესთან (ოქროპირიძე) მივიდა ერთი აფხაზი და განუცხადა, რომ ჩვენი ახლობლები ყველანი წავიდნენ, ჩვენც უნდა წავიდეთო. შვილები დაგველუპა, დაგვრჩა ერთი ვაჟი, არ გვინდა ის წავიყვანოთ უცხო ქვეყანაში. გადავწყვიტეთ დაგიტოვოთ თქვენ. ბავშვი ეპისკოპოსმა გაზარდა. აი, როგორი ნდობა და სიყვარული ჰქონდათ ჭეშმარიტ ადამიანებს. ახლა კი ადილეური წარმოშობის ვინმე სმირი წერს: ქართველები კი არ უნდა ცხოვრობდნენ აფხაზეთში, ისინი აქ უნდა კვდებოდნენო. რა მწარე სიტყვებია. აფხაზები და ქართველები საუკუნეების მანძილზე მეგობრები იყვნენ. მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან მტრები გახდნენ ქართველთა, პატიოსან აფხაზთა სურვილია ისინი კვლავ მეგობრები იყვნენ.

**ვალერიან ზუხბაია**
**საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი**

# ღია წერილი აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს

ბატონო თამაზ! გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" დაიბეჭდა თქვენი სიტყვა, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის დაარსების მე-80 წლისთავზე ამა წლის 25 მაისს წარმოთქვით. თქვენ აღნიშნავდით, რომ „დღესაც ქართული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ძირითად საყრდენს უძველესი ჩვენი კულტურა, ჩვენი მეცნიერება და განათლება წარმოადგენს", რომ საერთოდაც „საზოგადოებრივი მოწყობა სრულიად წარმოუდგენელია ქვეყანაში ეროვნული უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების გარეშე." რა თქმა უნდა, ამაში მართალი ბრძანდებით და, ცხადია, ვერ შეგეკამათებით. მხოლოდ ვისურვებდი, რომ დღევანდელი საქართველოს ხელისუფლებას სათანადო სიღრმით გაეცნობიერებინოს ეს გარემოება და ემართოს შესაბამისი სფეროები, განსაკუთრებით კი მეცნიერება, რისგანაც დღესდღეობით შორსა დგას. თუმცა აღნიშნული ფუნქციის აღსასრულებლად ჩვენში არსებობენ სათანადო ბიუროკრატიული დაწესებულებანი, მაგრამ ოდენ საქმისადმი უსულგულო, ფორმალური დამოკიდებულებით მდგომარეობა დიდად არასახარბიელო რჩება.

ამავე სიტყვაში თქვენ აღნიშნავთ, თითქოს დღევანდელი ქართული მეცნიერების მრავალი დარგი „საერთაშორისო სტანდარტებს აღწევს და ზოგ შემთხვევაში აჭარბებს კიდეც ამ სტანდარტებს და თვით განსაზღვრავს გარკვეულ სფეროებში მსოფლიო მეცნიერული განვითარების დონეს." (მახსოვს რამდენიმე წლის წინათ იგივენაირი აზრი გამოთქვით გაზეთ „თბილისის" ფურცლებზე). მე ნაკლები პრეტენზია მაქვს გავიზიარო და შევაფასო ქართული ბუნებათმეცნიერების დღევანდელი ვითარება, მაგრამ, ვფიქრობ, რაღაც საფუძველი გამაჩნია ქართულ ჰუმანიტარულ (ფართო მნიშვნელობით) მეცნიერებათა გაგება-გააზრებისა და შეფასებისათვის. დიდად სამწუხაროდ. მე ვერ გავიზიარებ თქვენს ამგვარ მაჟორულ განწყობილებას. ჯერ ერთი, თუ ისტორიზმის პრინციპიდან გამოვალთ და ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დღევანდელ მდგომარეობას, მაშინ ბევრი რამ სხვანაირად წარმოგვიდგება. მოგეხსენებათ, საერთოდ ქართულმა საზოგადოებამ, კერძოდ, მეცნიერებამ, მითუმეტეს ჰუმანიტარულმა დარგმა, საბჭოური ტოტალიტარიზმის პირობებში ისეთი მძიმე გზა გამოიარა, რომ შეუძლებელია ეს ძნელბედობა არ ასახულიყო მათს ბედ-იღბალზე.



სამწუხაროა, მაგრამ ფაქტი გახლავთ, რომ დღემდე ჩვენში არ ფუნქციონირებს სპეციალური და დიდად საჭირო დარგი — მეცნიერებათმცოდნეობა, რომელიც არსებობს სამოც წელს მოითვლის და რომელიც მსოფლიოს მრავალ საშუალოდ განვითარებულ ქვეყანაშიც კი ვითარდება. ჩანს, მის აუცილებლობის საჭიროებას სათანადოდ აცნობიერებენ, მაგრამ, დიდად სამწუხაროდ, ვიმეორებ, დღეს საქართველოს მეცნიერებას აღნიშნული დარგი არ სჭირდება. ასეთი მდგომარეობა მე, გულწრფელად ვაღიარებ, აუტანლად მეჩვენება იმის გამოც, რომ თუ ქართულ მეცნიერებასაც კი არ შეუძლია საკუთარი მდგომარეობის გაცნობიერება, მაშინ რაღა უნდა ვილაპარაკოთ საერთოდ ქართული საზოგადოების თვითშეგნებაზე. ასევე, სამწუხაროდ, დღესდღეობით ქართული ფილოსოფია ძალიან გაურბის მეცნიერებას, რატომღაც ქართველ ფილოსოფოსებს მიაჩნიათ, რომ მთავარია ფილოსოფიის ისტორიის შემეცნება, მაგრამ ფილოსოფიის არსი მეცნიერების გარეშე დიდად ნაკლულოვნად წარმოჩინდება, ამიტომაცაა, რომ დღეს ჩვენში თითქმის არ არსებობს მეცნიერების ლოგიკა და მეთოდოლოგია. რომ არსებობდნენ, მაშინ შესაბამის ვითარებას სულ სხვანაირად დავინახავდით.

უხერხულად ვთვლი თქვენი რანგის მეცნიერთან დავიწყო მტკიცება მეცნიერებისათვის თეორიის, კერძოდ, მეთოდოლოგიის აუცილებლობის თაობაზე მაგრამ ურყევი რეალობაა, რომ ამ მხრივ დღევანდელ ქართულ მეცნიერებაში ძალიან უმწეო მდგომარეობა სუფევს. და ეს მაშინ, როდესაც ჩვენი მეცნიერების „ოქროს ხანაში" დამკვიდრებული გახლდათ ტრადიცია თეორიული, კერძოდ, მეთოდოლოგიური საკითხების კვლევა-ძიებისა. რასაკვირველია, ოდენ მსგავსი პრეტენზიების მქონე მეცნიერები დიდ ვერაფერს ვერ მიაღწევენ და მეცნიერებას, ცხადია, სათანადო ერუდიცია და ინტუიციაც ესაჭიროება. მაგრამ, ვიმეორებ, თეორიის, მეთოდოლოგიის გარეშე ნამდვილი მეცნიერება ფეხზე ვერ დადგება და ამ შემთხვევაში „საერთაშორისო სტანდარტების დონეზე" ლაპარაკი აბსოლუტურად გამორიცხულია. აქ უპრიანი იქნებოდა დიდი ივანე ჯავახიშვილის შესაბამისი აზრი მოვიხმოთ: „უკვე ქართულისა და ქართველური, ისევე როგორც ე. წ. კავკასიის ენებზე დაწერილი გამოკვლევების გულდასმითმა შესწავლამ ბევრი რამის გათვალისწინების საშუალება მომცა: მათი ღირსება-ნაკლიც დამანახვა და ისიც გამაგებინა, თუ რატომ გამოდგა უნაყოფო ყოველივე ცდა ქართულ-ქართველური და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის გამოსარკვევად. ცხადი შეიქმნა, რომ ამ უნაყოფობის ერთ მიზეზთაგანს იმ მეთოდოლოგიური პრინციპების გაუთვალისწინებლობა შეადგენდა, რომელთა გამოყენებით ეს უაღრესად რთული აგებულების ენები უნდა გამოკვლეული ყოფილიყო;" „აკად. ნ. მარრის მოღვაწეობის ზოგადი შეფასების დროს, უნდა გულახდილად აღინიშნოს, რომ ქართულის, ქართველურისა და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების, აგებულებისა და მონათესაობის, იმგვარადვე, როგორც მათი წარმოშობილო-

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

**გულაბერ კლარჯი**

# ხელისუფლება სარგებლობს ქართველთა უმრავლესობის ეროვნული შეგნების დაბალი დონით

*მეექვსე გვერდიდან*

ემსახურებოდეს თავის ხალხს, ქვეყანას, ისეთები, როგორებიც იყვნენ ილიას და აკაკის ეპოქაში თუ მომდევნო ხანაშიც. იქნებ, თითო-ოროლა ექიმი ჩვენს დროშიც არის ასეთი და მე მათი არსებობა არ ვიცი. ღმერთმა ინებოს, ასე იყოს. ან განსვენებულმა პროფესორმა, გიორგი პაიჭაძემ მიამბო: ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარი, განსვენებული ისიდორე დოლიძე (ძირითადად ქართულ საბუთებს, სიგელ-გუჯრებს აქვეყნებდა), როცა ცეკაში მუშაობდა, მან ვ. მჟავანაძეს თავისი წიგნები მიართვაო საჩუქრად. როგორც კი ი. დოლიძე გასულა მჟავანაძის კაბინეტიდან, ჩვენი დროის ყვარყვარეს გამოუძახებია მდივანი ქალი და უთქვამს: წეიღე ერთი ეს წიგნები და სანაგვე ყუთში გადაყარეო. ასეთი კაცი რა ხეირს დააყრიდა საქართველოს, თუნდაც რუსეთის სატრაპი არ ყოფილიყო?

არაერთხელ დამტკიცდა, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებაც არ არის ეროვნული ხელისუფლება. ყოფილი კომუნისტებისგან ამას არც უნდა ველოდეთ. ამჟამად ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების ასამაღლებლად განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო. ამ მხრივ შველა სჭირდება საქართველოს თითოეულ სოფელს, დაბას, ქალაქს და თვით დედაქალაქსაც. კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანიო, ამბობდა ჩვენი ხალხი. სხვანაირად არაერთხელ მიწასთან გასწორებული საქართველო ვერ გაცოცხლდებოდა. ამჟამინდელი ხელისუფლება რას აკეთებს განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში დაკნინებული ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების ასამაღლებლად, საქართველოში მგლის ლეკვების კვლავაც აღსაზრდელად, საქართველოს გასაცოცხლებლად, მის გამოსაყვანად სამარცხვინო მდგომარეობიდან? არ ჩანს, რომ ქართული ეროვნული სულის აღზევებისათვის, ბნელეთიდან, მაფიის კლანჭებისგან მის სახსნელად რაიმე კეთდებოდეს. უფრო მეტიც, რჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს ხელისუფლება შეგნებულად სარგებლობს ათასგვარი ჟამთა სიავით გამოწვეული ქართველთა უმრავლესობის ეროვნული შეგნების დღევანდელი დაბალი დონით, რის შედეგადაც მას უადვილდება არაეროვნული, საბოლოო ჯამში ანტიქართული პოლიტიკის განხორციელება. ამასთანავე, ხელისუფლება წარმატებით იყენებს ახლანდელი ქართული, საქართველოს საზოგადოებრიობის ერთი ნაწილისათვის ნასუფრალის გადაყრის მეთოდს, რათა ამით თავისი ანტიეროვნული პოლიტიკის ტაშისდამკვრელად, დასაყრდენად აქციოს იგი. ამ მიზნით ხელისუფლება ახალ-ახალი ვალების აღებასაც არ ერიდება. ქართული საზოგადოებრიობის მოზრდილი ნაწილი სტალინის და მჟავანაძის კულტით ინუგეშებს თავს (ამას დავუმატოთ სულელური ტელესერიალები და ფეხბურთი). ყოველივე ამის წყალობით საქართველოს არაქართული სულის ხელისუფლება ჩვენს გაუბედურებულ ქვეყანაში თავს ისე ლაღად გრძნობს, როგორც თევზი წყალში, თითქმის ისევე, როგორც სტალინი გრძნობდა თავს რუსეთში, სანამ მოკლავდნენ და მის მიერ აშენებულ ყაზარმას დაანგრევდნენ.

# რამდენ მილიონ ლარს იხდის საქართველო საგარეო ვალის მომსახურებისათვის?

*მეხუთე გვერდიდან*

და დასაბუთებული. გაკვირვებას იწვევს ჩვენი საგარეო საქმეთა უწყებისა და საფინანსო ინსტიტუტების პასიურობა. ჩემი აზრით, ეს საკითხი საპარლამენტო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, დეზავუირებულ უნდა იქნეს 1997 წლის 17 იანვრის ხელმოწერილი შეთანხმება და შესდგეს ახალი ურთიერთდავალიანებების შეჯერების შედეგად მიღწეული შეთანხმება. როგორც ზემოთ მოყვანილი მასალებიდან ირკვევა, სალდო ჩვენს სასარგებლოდ უნდა იყოს, სულ მცირე 150 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

— **რა ეშველება ამხელა საგარეო ვალს? რას ვუტოვებთ შვილებს და შვილიშვილებს? როგორც თქვენ ბრძანეთ, საგარეო ვალმა 1,6 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია და ამ ვალზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთები და ჯარიმები უთუოდ განუხრელად იზრდება.**

— დეფიციტური ბიუჯეტისა და მთვლემარე ეკონომიკის პირობებში, ვალების გასტუმრებას საქართველო ჯერჯერობით ვერ შესძლებს. ერთადერთი გამოსავალია ვალების რესტრუქტურიზაცია, ე. ი. საკრედიტო შეთანხმებების პარამეტრების იმდაგვარად შეცვლა, რომ არსებული ფინანსური რესურსები საკმარისი იყოს დავალიანების მომსახურებისათვის.

რესტრუქტურიზაციის პროცესში აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომლის თაოსნობითაც შეიკრიბნენ საქართველოს ყველა კრედიტორები და მათ შესთავაზეს ჩვენი ქვეყნის საგარეო ვალის რესტრუქტურიზაცია. პრინციპული თანხმობა ამ საკითხზე მიღწეულ იქნა. საქართველოს მიზანია მიაღწიოს იმას, რომ ყველა კრედიტორ სახელმწიფოსთან რესტრუქტურიზაცია და მისი განხორციელების ვადები იყოს იდენტური და შეძლებისდაგვარად რეალური.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ასეთი შეთანხმებები უკვე მიღწეულია მთელ რიგ კრედიტორ სახელმწიფოებთან, კერძოდ, ავსტრიასთან, თურქმენეთთან რესტრუქტურიზაციის სქემა ითვალისწინებს ვალების გადახდის ათწლიან პერიოდს: პირველ ხუთ წელიწადში პროცენტული დანარიცხების გადახდას (წლიური 4%-ის ოდენობით), ხოლო მომდევნო ხუთ წელიწადში ძირითადი დავალიანებების გასტუმრებას. ვალების რესტრუქტურიზაციამ საქართველოს მართალია ამოსუნთქვის საშუალება მისცა, თუმცა საერთო მდგომარეობა მაინც მძიმეა. ქვეყნის საგარეო ვალი საქართველოში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის (6,2 მილიარდი ლარი) 33%-ს შეადგენს. გაცილებით უარესი მდგომარეობაა საგარეო ვალის ექსპორტთან თანაფარდობაში (ექსპორტმა 1997წ. 250 მილიონი შეადგინა) და ეს მაჩვენებელი 600%-ს აღწევს. ნორმალურად ჩაითვლება, როდესაც საგარეო ვალი წლიური ექსპორტის 25-30%-ს არ ასცილდება. ამის მისაღწევად კი საქართველოს კიდევ დიდხანს დასჭირდება საზღვარგარეთელი დონორების დახმარება.

ამრიგად, საქართველოს ძირითადი ვალის კი არა, საპროცენტო განაკვეთების გადახდაც კი უჭირს. ძირითადი ვალი კი ჩვენი შემდგომი თაობების გადასახდელი იქნება.

— **რამდენ მილიონ ლარს იხდის ყოველწლიურად საქართველო საგარეო ვალის მომსახურებისათვის?**

— 1997 წ. ცენტრალურ ბიუჯეტში საერთაშორისო ვალდებულებათა მომსახურებისათვის გათვალისწინებული იყო 68,2 მილიონი ლარი, ხოლო 1998წ. ბიუჯეტში გათვალისწინებულია 49,8 მილიონი ლარი. მაგრამ, თუ თურქმენეთიდან მიღებულ კრედიტის



რესტრუქტურიზაცია ვერ იქნება მიღწეული და ვალის გადახდის ვადა არ გაგრძელდა, ძირითადი ვალის ანგარიშში გადასახდელი იქნება დაახლოებით 80 მილიონი დოლარი, ე. ი. 108 მილიონი ლარი, რაც უკიდურესად გაამწვავებს ქვეყანაში არსებულ ისედაც რთულ სიტუაციას.

— **აქამდე ჩვენ ვსაუბრობდით საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალზე. რა მდგომარეობაა კერძო ინვესტიციების თვალსაზრისით?**

— 1998წ. ივნისამდე საქართველოში სულ შემოსულია 134,2 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციები. კერძო ინვესტიციების შემოსვლა საქართველოში 1996 წლიდან დაიწყო და ამ წელს მან 98,2 მილიონი დოლარი შეადგინა, შემდგომ პერიოდში კი, ე. ი. წელიწადნახევრის განმავლობაში სულ 36,0 მილიონი დოლარი შემოვიდა. ამრიგად, ხელისუფლებისა და პირადად პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადებები იმის თაობაზე, რომ საქართველო კერძო ინვესტიციებისათვის მიმზიდველი ქვეყანა გახდაო, წმინდა წყლის ბლეფია. ნათელია, რომ უცხოური კერძო კაპიტალი საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ „სტაბილიზაციას“ ეჭვის თვალით უყურებს და კაპიტალის ჩვენთან დაბანდებისაგან თავს იკავებს. შედარებისათვის ერთ სულზე გადაანგარიშებით კერძო (პირდაპირი) უცხოურმა ინვესტიციებმა 1997წ. დასასრულისათვის შეადგინა: უნგრეთში-1400 დოლარი, ჩეხეთში-700, ესტონეთში-500, სლოვენიაში-400, ლატვიაში-300, ყაზახეთში და აზერბაიჯანში-250, ხორვატიაში, სლოვენიაში და პოლონეთში-200, რუმინეთში, თურქმენეთში, ლიტვაში და ალბანეთში-100-ზე მეტი, მოლდოვას, ყირგიზეთსა და რუსეთში-50-ზე მეტი მაშინ, როცა საქართველოში ეს მაჩვენებელი 27 დოლარს შეადგენს.

— **ეკონომიკის რომელ დარგებშია ძირითადად დაბანდებული კერძო ინვესტიციები?**

— მრეწველობაში — 43,6 მილიონი (32,5%), სადაც შექმნილია 35 ერთობლივი საწარმო, კავშირგაბმულობაში — 30,5 მილიონი (22,7%), შექმნილია 10 ერთობლივი საწარმო და კვების მრეწველობაში — 19,1 მილიონი (14,3%), შექმნილია 43 ერთობლივი საწარმო. შედარებით ნაკლები ინვესტიციებია გამოყენებული საბანკო საქმიანობაში, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობის სფეროში, მშენებლობაში, ტრანსპორტში და მედიცინის სფეროში.

ესაუბრა
**კობა კაპანაძე**

# ღია წერილი აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს

*მეშვიდე გვერდიდან*

ბისა და სადაურობის პრობლემა ისევე გადაუწყვეტელია, როგორც წინათ იყო. აკად. ნ. მარრმა მას დიდი ენერგიაც შეალია და თავისი არაჩვეულებრივი ნიჭი, ისევე, როგორც ამისთვის თავისი იშვიათი გონებამხვილობაც არ დაუზოგია... ამ სფეროში მისი დაუცხრომელი ცდის უნაყოფობა მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ სამეცნიერო მეთოდოლოგიის უგულებელყოფით დასახული მიზნის მიღწევა არ შეუძლიან ისეთი არაჩვეულებრივი ნიჭისა და დაუშრეტელი ენერგიის პატრონს და მრავალ ენათა მცოდნესაც კი, როგორც უცილობლად აკად. ნ. მარია.“

რა თქმა უნდა, მეცნიერებაში უამრავი პრობლემა არსებობს, რომლებიც შეიძლება ასე თუ ისე თეორიის, მეთოდოლოგიის გარეშე გადაიჭრას, მაგრამ არის ისეთი (დიდი) საკითხები, რომელთა გადაწყვეტა მეცნიერის სათანადო თეორიული აზროვნების გარეშე წარმოუდგენელია.

ბატონო თამაზ! თქვენი, როგორც აღმოსავლეთმცოდნეობის დირექტორის ყურადღებას მივაპყრობ ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის დღევანდელ მდგომარეობაზე, კერძოდ, ისტორიოგრაფიის (საისტორიო მეცნიერების) თვალთახედვით. ვიცი, რომ ამ სფეროში ჩვენს ისტორიკოსებს აქვთ გარკვეული დონე, მაგრამ იგი ხომ ძირითადად ემპირიზმის ფარგლებს ვერ სცილდება. ნუთუ არ დადგა დრო, ქართველმა აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსებმა იფიქრონ ირანის, არაბული ქვეყნების, თურქეთის (აღარას ვამბობ ინდოეთის, ჩინეთის, იაპონიის და სხვათა) ისტორიის კარდინალურ საკითხებზე. აღნიშნული თვალსაზრისით ხომ ისინი შარლ ლუი მონტესკიეს დონეზეც ვერ დგანან.

ჩვენს წინაშე დროდადრო, პერიოდულად წამოიჭრება ხოლმე დიდი პრობლემა: საქართველო აღმოსავლეთია თუ დასავლეთი და მის გადაწყვეტას, რაგინდ პარადოქსულიც უნდა იყოს, „ეჭიდებიან“ ძირითადად ქართველი მწერლები და პოეტები, მაშინ, როდესაც, კერძოდ, ქართველი აღმოსავლეთმცოდნეები (ისტორიკოსები) ამ საკითხზე, ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ მსჯელობისაგან თავს იკავებენ. მოგმართავთ, როგორც ამასთანავე „დასავლეთ-აღმოსავლეთის“ ცენტრის ხელმძღვანელს, იქნებ ამ მხრივ ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა ტრადიციული ინერტულობა დაძლეულ იქნეს.

ჩემთვის მაინც ყველაზე მძიმე ასატანი გახლავთ ქართული ისტორიოგრაფიის დღევანდელი მძიმე მდგომარეობა. ეს დარგი, მოგეხსენებათ, ქართულ მეცნიერებაში უძველესი გახლავთ და მას მაღალი რანგის ისტორიკოსები განასახიერებენ. მაგრამ დიდებული ტრადიციები ბევრ მხრივ დაიკარგა. მაგალითად, დღეს ახალმა სინამდვილემ, სოციალურმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ ქართული ეკონომიკური და იურიდიული მეცნიერებანი, რბილად რომ ვთქვათ, მართლა ვერ დგანან მოწოდების სიმაღლეზე. მაგრამ ისტორიკოსები, განსაკუთრებით კი მისი ბობოლა წარმომადგენლები, საზოგადოებას თვალებში ნაცარს აყრიან და უმტკიცებენ დარგის აყვავებულ მდგომარეობას, მაგრამ ახალმა სოციალურმა სინამდვილემ აჩვენა, რომ ისტორიკოსების რიხიანი განცხადებისათვის, რომ წარსულის ცოდნა გვეხმარება აწმყოს გასაგებად და მომავლის კონტურების მაინც დასანახად, დიდი არაფერი საფუძველი არსებულა და ამ თვალსაზრისით მათ ქართველი მწერლები სჯობიან.

სხვას რომ თავი დავანებოთ, ცნობილია, რომ თავის დროზე (1943 წელს) გამოვიდა სამი ცნობილი ქართველი ისტორიკოსის საქართველოს ისტორიის დიდებული სახელმძღვანელო. მაგრამ გარკვეული პოლიტიკური მიზეზების გამო იგი სკოლებიდან ამოღებულ იქნა. მაგრამ დღევანდელი შესაბამისი სასკოლო სახელმძღვანელო დიდ ვერაფერს შენაძენს წარმოადგენს. არა გვაქვს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის. გვჭირდება სახელმძღვანელოები მეზობელი ქვეყნების ისტორიის შესახებ. აღარას ვამბობ მსოფლიოს ისტორიის ჩვენეული გააზრების თაობაზე, რომელიც ნულს უტოლდება; ქართველმა ისტორიკოსებმა არათუ რაიმე პოზიტიური იციან ამ მიმართულებით, არამედ ცნობილ ევროპელ მოაზროვნეთა შეხედულებანიც კი ვერ გაუთავისებიათ. რაღა უნდა გაგვიკვირდეს, რომ დღევანდელ საქართველოში საისტორიო უწიგნურობას ასე ფართოდ, მტკიცედ აქვს ფეხი მოკიდებული. მაგრამ ამაზე საუბარს აღარ გავაგრძელებ.

და ბოლოს, ასეთ კითხვას დავსვამ: რა სჯობს — ეიფორიულად, ტრადიციული ქართული სადღეგრძელოების სტილში ვუყუროთ შესაბამის სინამდვილეს, ე. ი. ქართული მეცნიერების დღევანდელ მძიმე მდგომარეობას (ცხადია, არა მხოლოდ ეკონომიკური და ფინანსური თვალსაზრისით) თუ მას კრიტიკული თვალით შევხედოთ, და აქედან გამომდინარე, დავსახოთ შესაბამისი გზები და გამოვიჩინოთ სათანადო ძალისხმევა?

თუ ჩვენ რაიმე პრეტენზია გვაქვს ილიასა და ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეებად ყოფნაზე, რასაკვირველია, მეორე გზა უნდა ავირჩიოთ.

ბატონო თამაზ! იმედია, რომ თქვენ არ გამოიჩენთ ქართული მეცნიერების ბიუროკრატიისათვის დიდად დამახასიათებელ წაყრუების პოლიტიკას და სათანადოდ გამოეხმაურებით აქ წამოჭრილ ჩვენი საზოგადოებისათვის ძალზე მტკივნეულ საკითხს. მაშ ასე, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს შორის დიალოგი სათანადოდ წარიმართება.

**გურამ ყორანაშვილი**

# კომენტარი პრეზიდენტის ორშაბათის რადიოინტერვიუზე

/მე-4 გვერდიდან/

ცხადია, არა! მეორე კითხვა: რით შეიძლება ზრდის ამ ტემპის (ან თუნდაც მისი ნახევრის) გაგრძელება, როცა სახელმწიფოს მატერიალური საფუძველი თითქმის მთლიანად განიავებულია და რაც დარჩა (მიწა), ისიც გასანიავებლად არის გამზადებული? ცხადია, ვერაფრით. ამგვარად, პრეზიდენტის მიერ ციტირებული მიღწევები, მართალიც თუ არის, სხვა არაფერია თუ არ მოქალაქის ტვირთის სულ ოდნავი კოსმეტიკური შემსუბუქება მისი „აფეთქების" არდაშვების მიზნით, და არა ევოლუციის მდგრადი ტენდენცია. მოქალაქეს არსებული მაფიური მმართველობის პირობებში მხოლოდ იმდენი მიეცემა, რომ არ „აფეთქდეს" (უფრო ზუსტად — ვერ „აფეთქდეს"), და არავითარ შემთხვევაში — იმაზე მეტი.

### პრეზიდენტი მართალს არ ამბობს

უფრო კონკრეტულად: იგი იძულებულია ციფრები შეათხზვევინოს, რათა თავისი და თავისი პარტიის საარჩევნო დაპირებათა შესრულების ილუზია შექმნას, ეს ციფრებია: 1997 წლიდან დღემდე დასაქმებულთა რაოდენობა 200 ათასით გაიზარდა და 2400 ათასს მიაღწია. მაშასადამე, მისმა ზრდამ 5 წლის მანძილზე მილიონი უნდა შეადგინოს და „მოქალაქეთა კავშირის" პირობაც, მილიონ სამუშაო ადგილს „შევქმნითო", შესრულებული ყოფილა! ვთქვათ, დავიჯერეთ ეს რიცხვები. რა გამოდის? მათი მიხედვით ხომ საქართველოს თვითმოქმედ მოსახლეობაში „დასაქმებული" ლამის 80 პროცენტი ყოფილა! რაკი რადიომსმენელს — საბედნიეროდ თუ საუბედუროდ — მოსმენილისა და ნახულის ურთიერთშეჯერების უნარი აქვს, იგი ბუნებრივად დაასკვნის: რეფორმა მომხდარა არა დასაქმების სფეროში, არამედ მხოლოდ დასაქმებულთა და დაუსაქმებელთა აღრიცხვაში. „მოქალაქეთა კავშირს" თვით დასაქმების ცნების შინაარსი გაუფართოებია და ამჟამად დიასახლისიც, რომელიც ხელჩანთით ბაზარში მიდის ან თავის ბინაში მტვერს წმენდს, „დასაქმებულად" ითვლება.

### პრეზიდენტი წონასწორობიდან გამოდის

ამჯერად ინტერვიუში ერთიორი მკვეთრი გამოთქმაც გამოერია იმათ მისამართით, ვისაც არ სურს პრეზიდენტის ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებები დაინახოს. პრეზიდენტი ამბობს:

*„ალმავლობის გზაზეა პერსპექტიული მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მომსახურების სფერო, შემოდის ინვესტიციები, ტრანსპორტი განვითარდა. დავუშვათ, გძულს ხელისუფლება ან პიროვნება, რომელიც ამ ხელისუფლებას განასახიერებს, ან გაწრჩობს ამბიცია და ბოლოს, — უბრალო მოქალაქეს რას ერჩი, მას რატომ უკლავ იმედს და რატომ გინდა რომ ისიც დააბრმავო? რატომ უსპობ საკუთარი ქვეყნის, დამოუკიდებლობის რწმენას, რატომ უნერგავ იმის განცდას, რომ საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა არ შესძლებია. და ჩვენ ხომ ვიცით, საიდან მოდის ეს ყველაფერი, ვის სჭირდება, რომ მოსახლეობაში ასეთი განწყობილება დამკვიდრდეს. დამოუკიდებლობა თუ გვინდოდა (ამ აზრს კვლავ და კვლავ ვიმეორებთ), ისიც უნდა გვცოდნოდა, რომ ეს ძალიან ძნელი საქმეა და იმავდროულად დიდი ნიჭი და დიდი ღირსებაცაა. და, ამავე დროს, ისიც უნდა გვცოდნოდა, რომ საკუთარი ქვეყანა არ დაგვენგრია. ამას ვიმკით ახლა, მაგრამ დაიწყო აღმასვლა და მაინცდამაინც ახლა უნდათ, რომ ჩაქუჩი ჩაგვარტყან თავში."*

ინტერვიუს ამ ნაწყვეტს მხოლოდ შემდეგი კომენტარი სჭირდება. საქართველო ვინ დაანგრია, ყველამ ვიცით. (ყოველ შემთხვევაში, ეროვნული ხელისუფლების დროს საქართველოს ვალი არ დასდებია, ქვეყანა არ გაძარცვულა და ქუჩაში ხალხის ხვრეტა და ქართველი ხალხის გენოციდი არ ყოფილა). ვის სჭირდება ხალხის თვალში ქვეყნის დამოუკიდებლობის დისკრედიტაცია, ამაზეც უკვე ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. ხოლო თუ შენიღბულ კომუნისტთა ეკონომიკურ უუნარობას შეუნიღბავი კომუნისტები იხსენიებენ აუგად, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ უუნარობის ხსენება მათი მონოპოლია გამხდარა!

**შემატკივარი**

## პრობლემა: გადასახადები

# ისე სწრაფად იცვლება ჩვენში კანონები, რომ მას არათუ მეწარმე, თვით საგადასახადო ინსპექციაც კი ვერ ეწევა.

მსოფლიოში საგადასახადო ინსპექციას გადასახადის ამკრეფის როლი როდი აკისრია, ის უბრალოდ მაკონტროლებელი გახლავთ, თვალყურის მადევნებელი, თუ როგორ იხდის ამა თუ იმ გადასახადს ესა თუ ის გადამხდელი.

ჩვენს სინამდვილეში, როგორც ქართველებს გვჩვევია საერთოდ, ყველაფერს უკუღმა და რთულად აღვიქვამთ, ნემსს აქლემად ვაქცევთ ხოლმე.

პოლიციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, საგადასახადო ინსპექცია ისეთი საშინელი სამსახურია, რომლის ხსენებაზეც კი მეწარმეს თუ ინდივიდუალურ პირს ცივად გააჟრჟოლებს ხოლმე...

ბოლო ხანს როგორღაც შეეჩვია ხალხი, რომ გადასახადი უნდა გადაიხადოს და ასე თუ ისე შეძლებისდაგვარად შეინიშნება კიდეც სასიკეთო ტენდენცია ამ მხრივ, მაგრამ მიუხედავად გადამხდელის გულმოდგინე მცდელობისა, ყველაფერი რიგზე ჰქონდეს, მაინც კანონის დამრღვევად იქცევა ხოლმე უნებურად. (შეგნებულ დამრღვევებზე არ ვსაუბრობთ). ამას თვით საგადასახადო ინსპექციის მუშაკებიც კარგად ხედავენ. და ზოგიერთი კანონის ფარგლებში დახმარებასაც უწევს უნებურ დამნაშავეს. ჩვენი რესპოდენტი დიდუბის საგადასახადო ინსპექციის უფროსი **ვახტანგ ჩახნაშვილი** გახლავთ. ბატონი ვახტანგი პროფესიით ეკონომისტია, ახალგაზრდობის მიუხედავად უკვე შვიდი წელია საგადასახადო სისტემაში მუშაობს და ძირფესვიანად იცნობს მის სიავკარგეს. მშვენივრად ერკვევა მეწარმისა და საგადასახადო ინსპექციის ურთიერთობებში და ორივეს თანაბრად უთანაგრძნობს, ერთი მხრივ, სწუხს, რომ ბოლო პერიოდში შექმნილმა სიტუაციებმა საგადასახადო ინსპექციას გარკვეულად სახელი გაუტეხა, მეორე მხრივ კი მეწარმეთა ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგჯერ შეძლებისდაგვარად ლოიალობასაც იჩენს ხოლმე მათ მიმართ.

— არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე ორგანიზაციაში შესულიყავით და დარღვევა არ აღმოგეჩინოს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დანაშაული ყველა ორგანიზაციაში შეგნებულად არის ჩადენილი. 100%-დან 60-70% კანონმდებლობის არცოდნით მოსდით ხოლმე. ისე ხშირად იცვლება ჩვენში კანონმდებლობა, რომ თვით საგადასახადო ინსპექციის მუშაკებიც კი ვერ ეწევიან კანონს. გეგმების შესრულების მიზნით ისეთი დაძაბული მუშაობაა, სწავლება-სემინარი, რაც ყოველთვიურად, კანონმდებლობის სისტემატურ ცვლილებასთან ერთად სისტემატურად უნდა ხდებოდეს, თითქმის არ ხერხდება, ეს მექანიზმი მოშლილია.

რა უნდა მოვთხოვო გადამხდელს, რომელმაც გუშინ ერთი კანონით გააკეთა ყველაფერი, დღეს კი სხვა კანონია და გუშინდელი ნაშრომი დღეს დანაშაულად ეთვლება, — ამბობს ბატონი ვახტანგი.

მეწარმენი ჩვენში ხშირად უჩივიან გადასახადის სიდიდეს, საგადასახადო სისტემაში კი კიდევ უფრო ხშირად იმეორებენ, ეს გადასახადები მინიმალურია მსოფლიო სტანდარტებთან შედარებით. რატომღაც ყველას ავიწყდება მსოფლიო სტანდარტებით როგორი უნდა იყოს საარსებო მინიმალური პირობები და საერთოდ როგორი ვითარებაა სხვა ქვეყნებში ჩვენგან განსხვავებით. ეს პრობლემა, როგორც ჩანს, ჩვენს რესპოდენტსაც აწუხებს, მეწარმეთა პრობლემებზე ხანგრძლივი საუბრისას კი ერთი აქსიომაც ჩამოაყალიბა:

— გადასახადი მეწარმისთვის დამღუპველი არ უნდა იყოს. ზოგჯერ დათმობაზეც გვიწევს წასვლა. ნებისმიერ ორგანიზაციას მოფრთხილება უნდა, მას როგორც ხეს, ისე უნდა მოუაროთ, წყალი დაუსხათ, რომ ნაყოფი მოგვცეს. ჩვენს რაიონში მსხვილ ორგანიზაციებთან ძალზე დიპლომატიური ურთიერთობა გვაქვს, საშუალებას ვაძლევთ „ამოისუნთქონ", გაზარდონ წარმოება, მერე ხომ გადასახადს მეტსაც გადაიხდიან და უფრო ადვილადაც.

ხშირად საგადასახადო ინსპექცია კორუმპირებულთან ასოცირდება, კორუფციის ელემენტების არსებობას თვით ინსპექციის თანამშრომლებიც არ გამორიცხავენ, ამას, ალბათ, სისტემაში ხელფასების სიდაბლეც განაპირობებს.

— აუცილებელია, საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლებს ჰქონდეს ძალიან მაღალი ხელფასი, თუ გვინდა, რომ სიტუაცია გამოსწორდეს, აგრეთვე აუცილებელია ახალგაზრდა კადრებით ამ სამსახურის შევსება, ისინი მომავალზე ფიქრობენ და ნაკლებს შესცოდავენ...

კიდევ ერთიც, ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემა — საგადასახადო ტარიფების დადგენა ერთი ხელის დაკვრით არ უნდა წყდებოდეს. სტაბილური თანხის დადგენა საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით, ხალხთან მუშაობით უნდა ხდებოდეს, რის გადახდა შეუძლია მეწარმეს, ხალხს, რა თანხას „მოერევა", რას- ვერა, ბოლოსდაბოლოს ვიღაცას ხომ უნდა აფიქრებდეს მათი ბედი?

ახალგაზრდა კადრების მოზიდვის საკითხი ყველა სფეროში მწვავედ დგას. ამ ახალგაზრდა კაცთან საუბარმა კი უფრო ნათლად დაგვანახა, რომ ეს პრობლემა საგადასახადო სისტემისთვის ძალზე აქტუალურია. იქნებ, მერე მაინც შეიცვალოს სისტემა, იქნებ, დადგეს დრო, როცა ასეთი „საშიში" და „შემზარავი" აღარ იქნება ბიუჯეტის მაცოცხლებელი საგადასახადო ინსპექცია.

**მანანა ლოგჯანიძე**
**ნანა ქველაია**

# როგორ ცხოვრობენ გურულები




ჩვენი რესპოდენტი ლანჩხუთის გამგებელი, ბატონი **მიშა გვარჯალაძეა**. პიროვნება, რომელიც სულ ხუთი თვეა რაც სათავეში ჩაუდგა რაიონს და მოსახლეობის სიყვარული და პატივისცემაც დაიმსახურა.

მართალია, ბატონმა მიშამ თავის დამსახურებებზე საუბარს თავი აარიდა და თქვა, რომ სიტყვას საქმე მირჩევნიაო, მაგრამ ერთსაც გეტყვით: მან არა მარტო საქმე, სიტყვის თქმაც იცის და მისი შესრულებისაც არ ეშინია. აი, სწორედ ეს გახლავთ საფუძველი ხალხში მოპოვებული ნდობისა და სიყვარულისა.

**— ბატონო მიშა, როგორც ვიცით, თქვენ რამდენიმე თვეა რაც სათავეში ჩაუდექით ლანჩხუთის რაიონს. სანამ გამგებელი გახდებოდით, რა გზა გაქვთ განვლილი?**

— დავიბადე ლანჩხუთში, 1966 წელს დავამთავრე ლანჩხუთის №1 საშუალო სკოლა, 1972 წელს ინსტიტუტი და მუშაობა დავიწყე ლანჩხუთის რაიონის ალმასკომში ინჟინრად, ვიყავი პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი, სამი წლის განმავლობაში ვმუშაობდი ლანჩხუთის რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობაში, გამგებლის პირველ მოადგილედ, როდესაც ბატონი კარლო გუჯაბიძე გურიის გუბერნატორად გადაიყვანეს, მე დამნიშნეს გამგებლად.

**— ამ ბოლო დროს ლანჩხუთის რაიონი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა, რაც ბაქო-სუფსის ნავთობსადენისა და სუფსის ნავთობგადამტვირთავი ტერმინალის მშენებლობითაა გამოწვეული. ამასთან დაკავშირებით რას გვეტყვით?**

— მოგეხსენებათ, რომ იმ ტერიტორიით, სადაც ტერმინალი შენდება და ნავთობსადენი გადის, მოსახლეობა სარგებლობდა. მშენებლობის დაწყებისთანავე მათ ერთ კვადრატულ მეტრ მიწის ფართზე 1,6 ლარი მისცეს კომპენსაციის სახით. მინდა აღვნიშნო, რომ ადრე თანხის გაცემაზე საერთოდ არ იყო საუბარი და მხოლოდ სანაცვლო მიწების გამოყოფას გეგმავდნენ, მაგრამ ხალხმა დაჟინებით მოითხოვა თანხა და მიიღეს კიდეც. ახლა კი, როგორც იტყვიან ხოლმე, ჭამაში მადაც მოუვიდათ და თანხის გაზრდის მოთხოვნით მიმართეს ლანჩხუთის სასამართლოს. ჩემი აზრით ლანჩხუთის სასამართლომ სამართლიანი გადაწყვეტილება გამოუტანა და არ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა, ახლა საქმე უზენაეს სასამართლოშია. რაც შეეხება დასაქმების საკითხს, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტენდერში გამარჯვებული ფირმები ყოველთვის ცდილობენ ძირითადი სპეციალისტები თავისი მოიყვანონ, როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს დასაქმებულთა 78%-ს ადგილობრივი წარმოადგენენ.

ავამუშავეთ რვა ჩაის ფაბრიკა და, ალბათ, უახლოეს მომავალში დასაქმების პოლიტიკა კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

**— სტიქიის შედეგად დაზარალებულთათვის რა დახმარებებია და, საერთოდ, რამდენად აღწევს ჰუმანიტარული დახმარებები დანიშნულ ადგილამდე?**

— სტიქიასთან დაკავშირებით, ბიუჯეტის კანონში გასათვალისწინებელი მიზნობრივი ტრანსფერისთვის ჩვენ გვქონდა წარდგენილი მოთხოვნა ხუთასი ათასი ლარის ოდენობით. მე მაშინ გამგებლის პირველი მოადგილე ვიყავი და უშუალოდ ვუწევდი კოორდინაციას მასალების მოპოვებას, მაგრამ, ეტყობა, სახელმწიფომ ვერ გამონახა საშუალება და თანხა არ გამოგვიყვეს.

ჰუმანიტარული დახმარებები კი ძირითადად წითელ ჯვარს შემოაქვს და თვითონვე არიგებენ. არის მეორე სახის ჰუმანიტარული დახმარება, რომელსაც საპატრიარქო არიგებს. ეს გარკვეულ გაუგებრობას იწვევს ჩემში, რადგან მხოლოდ ქალაქის მოსახლეობაზე ნაწილდება. მე კიდეც ვთხოვე მათ, რომ იქნებ სოფლის მოსახლეობასაც გავუწიოთ დახმარება და თუ ერთხელ ქალაქში გავუნაწილებთ, მეორე სოფელში გავცეთ-მეთქი, ასე უფრო უკეთესი იქნებოდა.

**— ბატონო მიშა, რა მდგომარეობაა სასოფლო გზებზე და როგორ ხდება მოსახლეობის ელ. ენერგიით მომარაგება?**

— სოფლის გზებზე ნორმალური მდგომარეობაა. რაც შეეხება საერთაშორისო მნიშვნელობის გზას, იგი სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. მოგეხსენებათ სახელმწიფო მნიშვნელობის გზების შეკეთება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. მაგრამ არც კი მახსოვს, ბოლოს როდის იქნა ჩამორიცხული თანხა. განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობს სუფსის ყოფილი მეოცე საგზაო სარემონტო სამმართველო. ეს ორგანიზაცია თვეში ორასი-სამასი ათასი ლარის სამუშაოებს ასრულებს, მაგრამ მიუხედავად ამისა თანხების გადმორიცხვას უგვიანებენ, რაც ხშირ შემთხვევებში ხელფასების დაგვიანებით გაცემას იწვევს.

რაც შეეხება დაზიანებულ სასოფლო გზებს, მინდა ვთქვა, რომ თანდათანობით მიმდინარეობს მათი შეკეთება, გვაქვს ტექნიკა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამიზნული გვაქვს გარკვეული თანხის გამოყოფა, მაგრამ მთავარია მოსახლეობა დაგვიდგეს გვერდში. განსაკუთრებით გამოვყოფდი ერთ მეტად აქტუალურ საკითხს. თუ არ გამოცოცხლდა სოფლის კულტურული ცხოვრება, არ ამუშავდა კულტურის სახლები და ახალგაზრდობას გართობის მინიმალური საშუალება არ ექნა, ალბათ, სოფელი დაცარიელდება, რაც კონკრეტული შემთხვევებში ნეგატიურ შედეგს მოგვცემს. ამ მხრივაც ვატარებთ მიზანმიმართულ საქმიანობას. მოკლედ, ვცდილობთ ვაკეთოთ იმის მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია. ხალხიც ხვდება და გვერდში გვიდგას. მე ძალიან მიყვარს ჩემი რაიონი, ხალხიც მენდობა, ისევე როგორც მე ვენდობი მათ.

**კობა კაპანაძე**
*სპეციალურად გაზეთ „საქართველოსათვის"*
*ლანჩხუთი*

# აფხაზეთი და მუჰაჯირობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

*გაგრძელება. დას. იხ. „საქართველო“ №47*

დასავლეთ საქართველოსა და მის მიმდებარე შავი ზღვის მტკიცე დაუფლების მიზნით რუსეთმა 1845 წელს გახსნა ქერჩ-ოდესასა და ფოთს შორის საზღვაო მიმოსვლა. რამდენიმე წლის წინ მდ. ენგურზე გაიდო ხის ხიდი და სოხუმ-ყულევსა (ე. წ. რედუტკალეს) და ფოთს შორის გაიხსნა სახმელეთო-საფოსტო კავშირი. 1851 წელს სოხუმში იქნა გადატანილი შავიზღვისპირეთის სამხედრო ხაზის სამმართველოს მე-3 განყოფილება. მალე სოხუმი გახდა აფხაზეთის და საერთოდ საქართველოს შავიზღვისპირეთის მთავარი ქალაქი, თუმცა როგორც ეს წერილობითი წყაროებიდან ჩანს, ამ ქალაქში მე-19 საუკუნის 80-იან წლებამდე არცერთი აფსუა არ ცხოვრობდა, ხოლო ამ საუკუნის ბოლოს აქ მხოლოდ 3 აფსუა ცხოვრობდა (იხ. ცხრილი). აფსუების ცხოვრების მხრივ თითქმის ასეთივე სურათი იყო აფხაზეთის სხვა დაბა-ქალაქებშიც.

აფხაზეთის სამთავროს გაუქმების და მისი მთავრის მიხეილ შერვაშიძის ვორონეჟში გადასახლების (1864 წ.) შემდეგ მეფის მთავრობამ საგლეხო და ადმინისტრაციული რეფორმების გატარების, აგრეთვე მხარის კოლონიზაციის მიზნით, მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა.

პირველ რიგში აღირიცხა მოსახლეობა, რომლის რაოდენობა 1863 წ. მთელ აფხაზეთში (ჯიქების და უბიხების გამოკლებით, რომლებიც არცთუ მრავალრიცხოვანი იყვნენ) დაახლოებით 70 ათას სულს შეადგენდა. (იხ. მ. შერვაშიძის წერილი კავკასიის არმიის მთავარი შტაბისადმი სცსსა, ფ. 416, აღწ. 3, ს. 178, ფურც. 19).

აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილებისა და შემადგენლობის შესახებ არქივში ინახება გენერალ-ლეიტენანტის, თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკის მიერ 1863 წ. შედგენილი წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ აფხაზეთი საქართველოს ისტორიული პროვინციაა, რომელიც მხოლოდ თურქ-ოსმალთა ძალით გამოეყო დანარჩენ საქართველოს. წერილში აღნიშნულია აგრეთვე, რომ აფხაზეთში ისეთივე სადგილმამულო წყობილება და ურთიერთობა არსებობდა ისტორიულად, როგორიც საქართველოს სხვა პროვინციებში. ამის თაობაზე ბაგრატიონ-მუხრანსკი იმოწმებს დიუბუა დე მონპერეს, ბატონიშვილ ვახუშტის, შორენა ნოგმოვს, მ. ბროსეს და სხვა ავტორებს, აგრეთვე აფხაზეთში, სამეგრელოსა და იმერეთში გავრცელებულ ხალხურ თქმულებებს. ამავე წერილში (ფაქტობრივად ნარკვევში) ლაპარაკია აგრეთვე იმაზე, რომ აფხაზეთის ეკლესია-მონასტრების, კერძოდ ბიჭვინთის საკათალიკოსოს, მოქვის წმ. გიორგის, ილორის საეპისკოპოსოსა და სხვათა ყმამამულები ქართველ მეფეთა და მთავრობელთა (სამეგრელოს, იმერეთის, გურიის, რაჭის, ლეჩხუმისა და სხვ.) მიერ იყო ნაწყალობევი, რაც კარგად უწყის თვით გლეხობამაც. წერილში ლაპარაკია აგრეთვე „სამურზაყანოზე“. ამასთან დაკავშირებით ბაგრატიონ-მუხრანსკი აღნიშნავს, რომ ის არც თუ შორეულ წარსულში დაიპყრო და დაიჭირა შერვაშიძემ, რაც კარგად იცის აგრეთვე თვითონ აქაურმა მეგრული წარმომავლობის გლეხობამაც. (სცსსა, ფონდი 416, აღწ. 3, ს. 180, ფურც. 7-8).

როგორც აღვნიშნეთ, 1864 წ. აფხაზეთის სამთავრო გაუქმდა, ხოლო მას სოხუმის სამხედრო განყოფილება ეწოდა, რომელიც სამ ოკრუგად და ორ საბოქაულოდ დაიყო: ბზიფის, სოხუმისა და აბჟუას (შუა სოფლის) ოკრუგებად და წებელდისა და სამურზაყანოს საბოქაულოებად. ამასთან, მთელი აფხაზეთი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დაექვემდებარა. სოხუმის განყოფილების უფროსად გენერალი შატილოვი დაინიშნა.

რუსული მმართველობის შემოღებასა და საგლეხო-სადგილმამულო რეფორმის გატარებისათვის მზადებას თავად-აზნაურებისა და მათდამი აყოლილი გლეხობის მღელვარება მოჰყვა, რომელთა ზურგში თურქეთის ხელისუფლება და მაჰმადიანური სამღვდელოება იდგა. 1866 წ. გაზაფხულზე მღელვარება აჯანყებაში გადაიზარდა, რომელმაც თავდაპირველად ლიხნში იფეთქა, ხოლო შემდეგ სოხუმის ოკრუგსა და წებელდის საბოქაულოსაც მოედო.

აჯანყება ორივე მხარისათვის ტრაგედიით დამთავრდა: აჯანყებულებმა ლიხნში დახოცეს რუსეთის სამხედრო რაზმი და მისი მეთაურები, მათ შორის პოლკოვნიკი კონიარი, რასაც საკმაო მსხვერპლი მოჰყვა აჯანყებულთა მხრიდანაც, განსაკუთრებით სოხუმსა და მის მეზობელ წებელდაში.

ორივე მხრიდან მსხვერპლმა, რა თქმა უნდა, რუსეთის ხელისუფლება ვერ შეაშინა, პირიქით მან თანდათან გააძლიერა არა მხოლოდ აფხაზეთის ურჩი მოსახლეობის დათრგუნვა, არამედ მთელი იმიერ და ამიერკავკასიის საბოლოო დამორჩილება და ათვისება.



სხვათა შორის, აფხაზეთის მფლობელ შერვაშიძეებს სამუდამოდ აეკრძალათ თავის ყოფილ სამფლობელოში ფეხის დადგმა, რაც მთავარია, იმპერატორ ალექსანდრეს თანხმობითა და გადაწყვეტილებით 1866 წ. ნოემბერში დადგინდა, რომ შესაძლებლობისთანავე „აფხაზეთისა და წებელდის“ (საბუთებში ასეა დასახელებული) მაჰმადიანი მოსახლეობა დაუყოვნებლივ გადასახლებულიყო ყუბანისპირეთში (როგორც ვხედავთ, აქ აფხაზ აფსუათა თავდაპირველი საცხოვრებელი მხარეა მინიშნებული), ან თუნდაც თავისთავის სასურველ თურქეთში. (სცსსა, ფონდი 545, აღწ. 1, ს. 91, ფურც. 19.

მაჰმადიანი აფხაზები (ძირითადად აფსუები, ნაწილობრივ ის ქართველების, ვინც გამაჰმადიანებული იყვნენ) დაჟინებით მოითხოვდნენ თურქეთში წასვლას, ამიტომ რუსეთის ხელისუფლებამ თავის ელჩს თურქეთში გრაფ იგნატიევს დაავალა ამის თაობაზე თურქეთის ხელისუფლებას მოლაპარაკებოდა. მალე იგნატიევი თურქეთის საგარეო მინისტრს ალი ფაშას შეუთანხმდა აფხაზთა თურქეთში გადასახლებაზე, აგრეთვე იმაზეც, რომ გადასახლებულები (მუჰაჯირები) რუსეთის საზღვრისპირა ადგილებში არ დაესახლებინა.

მეფის ხელისუფლებამ, პირველ რიგში, მოიწადინა წებელდის და, საერთოდ, მთელი კოდორის ხეობის მოსახლეობას (მათ შორის დალის სვანებისაც) გადასახლება. როგორც ჩანს, დალელი სვანთა ნაწილი ზემო სვანეთში, ხოლო ნაწილი მეზობელ ჩრდ. კავკასიის ყუბანის სათავე ხეობებში გადასახლდა, რადგან თავისი დაუდეგარი ურჩობით მან არაერთხელ გააწბილა მეფის მოხელეები, მათ შორის კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაციაც.

წებელდა-დალის მოსახლეობის მედგარი ბრძოლით რომ ძლიერ იყო შეწუხებული ადგილობრივი და კავკასიის ადმინისტრაცია, ეს კარგად ჩანს რუსეთის საგარეო და შინაგან საქმეთა მინისტრების მიერ წარდგენილი პატაკებიდან და სამეფო კარის გადაწყვეტილებიდან, რაც კავკასიის სამხედრო სარდლობის წარმომადგენელ გენერალ კარცოვსაც ეცნობა:

**"Высочайше разрешено выслать в Турцию мусульман из Абхазии и Цебелды, пользуясь всяким удобным случаем. Приступить немедленно к исполнению".** (სცსსა, ფონდი 545, აღწ. 1, 1866 წ. ს. 91, ფ. 19.)

თავის მხრივ თურქეთის მთავრობა მოწადინებული იყო აფხაზეთიდან მიეღო 4 ათასი ოჯახი. მეფის მთავრობისა და კავკასიის ადმინისტრაციის სურვილით თურქეთში გადასახლებულთა რიცხვში, პირველ რიგში, წებელდა-დალის მოსახლეობა უნდა ყოფილიყო, რადგან სხვა მრავალ დანაშაულობასთან ერთად, მათ რეფორმის წინააღმდეგ მოძრაობაც ბრალდებოდა. ამიტომ ხელისუფლების საერთო აზრით ისინი პირველ გადასახლებულთა კოლონაში შევიდნენ.

1867 წ. ოფიციალური მონაცემებით (რომელიც საგლეხო რეფორმის მასალაში შედის), აფხაზეთის მთელი მოსახლეობა 65 ათას სულს შეადგენს (ვფიქრობ ამაში თავად-აზნაურობა არ შედის, ანდა მხოლოდ ნაწილობრივ). (ამიერკავკასიის მხარის მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემების კრებული, ტ. I. II განყ, თბილისი, გვ. 39).

მას შემდეგ, რაც ყოველივე შეთანხმებულ იქნა და ყველაფერი მომზადდა, 1867 წ. აფხაზეთიდან თურქეთში გადასახლდა სულ 19342 ადამიანი. მათ შორის წებელდა-დალიდან 2503 ოჯახი, ანუ 14740 სული, დანარჩენი 4602 სული ბზიფისა და აბჟუას ოკრუგებიდან. (ს. ს. დმიტრიევი. სსრკ-ს ისტორიის ქრესტომათია, 1948, გვ. 238, ხსენებული ნაშრომი, გვ. 216, 289).

მართალია, აფხაზეთიდან 1867 წ. თურქეთში გადასახლებულთა ამ რაოდენობას გ. ძიძარია სწორედ უჩვენებს, მაგრამ ეს იშვიათი გამონაკლისია, სხვა შემთხვევაში კი ის თითქმის ყოველთვის ზრდის, (ზოგჯერ კი საოცრად აზვიადებს) თურქეთში გადასახლებულთა თუ აფხაზთა საერთო რაოდენობას, მაგალითად გ. ძიძარიას მიხედვით ამ გადასახლებამდე აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 79190 სულს უდრიდა, რაც მხოლოდ რამდენიმე ათას ასეულით ჭარბობდა სინამდვილეს. სამაგიეროდ აქაც გაზვიადებულია აჭარაში დასახლებულ მუჰაჯირთა რაოდენობა, ვითომ მათგან მარტო ბათუმის ოლქში 20 სოფელი დაარსდა და ა. შ. (ტ. ა. ძიძარია, ხსენებ. ნაშრომი, გვ. 288-289).

კიდევ მეტიც, გ. ძიძარია ისე უსაშველოდ ზრდის და აზვიადებს მუჰაჯირების საერთო რაოდენობას, რომ თითქოს კავკასიის ომის ბოლოს დასავლეთ კავკასიიდან (აფხაზეთიდან და ადიღე-ჩერქეზეთიდან) თურქეთში 900 ათასი სული გადასახლდა და თითქოს ადიღეს მოსახლეობა იქამდე 1 მილიონ სულს შეადგენდა. (იქვე).

სინამდვილეში მთელი კავკასიიდან 800 ათას სულზე მეტი თურქეთში საერთოდ არ გადასახლებულა, ამასთან, თურქეთში დაღესტნიდან, ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან და ყაბარდოდან ერთად გაცილებით მეტი გადასახლდა, ვიდრე ადიღედან. სინამდვილე რომ ვთქვათ, ადიღეს მოსახლეობა იმის ნახევარსაც არ შეადგენდა, რამდენსაც გ. ძიძარია ასახელებს.

გ. ძიძარია ასევე ზრდის და აზვიადებს თურქეთში გადასახლებულ აფხაზების რაოდენობას. ის იმოწმებს ა. ბერჟეს მიერ დასახელებულ ციფრებს თურქეთში გადასახლებულ აბაზების, ჯიქ-სადზების, უბიხებისა და სხვა ჩერქეზული ტომების რაოდენობის შესახებ და აღნიშნავს, ვითომ მარტო 1858-1866 წლებში აფხაზეთიდან თურქეთში 4350 ოჯახი ანუ 30 ათასი ადამიანი გადასახლდა და აქვე შეპარვით დასძენს, რომ ეს გადასახლებულები აფხაზ-აბაზიანთა ჯგუფს შეადგენდნენო. გ. ძიძარიამ კარგად იცის, რომ 1858 წლიდან 1866 წლამდე აფხაზების მასობრივ გადასახლებას თურქეთში საერთოდ არ ჰქონია ადგილი და ადიღე-ჩერქეზულ ტომებს იმიტომ ასახელებს და იშველიებს, რომ შექმნას შთაბეჭდილება აფსუათა მრავალრიცხოვნობისა და ტრაგიკული წარსულის შესახებ. მუჰაჯირობასთან დაკავშირებით ასეთივე ყალბ მონაცემებს იძლევა თითქმის ყველა აფსუა ავტორი, ვინც კი საერთოდ აფხაზთა თურქეთში გადასახლებას ეხება.

როდესაც თანამედროვე აფხაზი ავტორები აფხაზთა საერთო რაოდენობასა და სხვაგან გადასახლებას ეხებიან, ისინი აფხაზ მუჰაჯირებს უყოყმანოდ მიათვლიან უბიხებს, საძ-ჯიქებს, აბაზებს, აბაძეხებს, შაფსუღებსა და სხვა ჩერქეზულ-ადიღეურ ტომთა წარმომადგენლებს, რომლებიც აფხაზები არასოდეს ყოფილან და არც თავს ითვლიდნენ ასეთად. სხვათა შორის, აფხაზ მუჰაჯირთა რაოდენობის უსაშველო გაბუქების გამო გ. ძიძარიაც იძულებულია ერთგან მაინც აღნიშნოს, რომ 1864 წლამდე აფხაზების თურქეთში მასობრივ გადასახლებას ადგილი არ ჰქონიაო. ეს, რომ უთუოდ ასეა, ამას ადასტურებს იმჟამინდელი პრესაც, მაგალითად, გაზ. „კავკაზი“ (1867 წ. 25 მაისის, №40), რომელიც პირდაპირ აღნიშნავს, რომ 1864 წლამდე აფხაზეთიდან თურქეთში მასობრივად არავინ წასულაო. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძიძარია აფხაზებს ადიღე-ჩერქეზებს უმატებს და ცრუ სურათს ხატავს.

სხვა აფხაზი (აფსუა) ავტორები არც ზემოაღნიშნულ, ისედაც გაზვიადებულ ციფრებს სჯერდებიან და თურქეთში გადასახლებულ აფხაზთა რაოდენობას (1864 წლამდე) 50 ათას სულამდე ზრდიან. კიდევ მეტი, ბოლო დროს აფხაზთა ნარკვევებში ამ მაჩვენებელმა 400 ათასს მიაღწია. მაგალითად, შ. ინალ-იფას თურქეთში გადასახლებულ მუჰაჯირთა რაოდენობა ჯერ 60 ათასი სული აქვს დასახელებული, შემდეგ 100 ათასი სული, აფხაზების (ცხადია მასში აფსუებს გულისხმობს) რაოდენობას კიდევ უფრო აბუქებს და წინასწარგანზრახულად ზრდის ბ. აშუბა, რომლის უსაფუძვლო განსჯით და განცხადებით, მე-19 ს. მეორე ნახევარში თურქეთში 200 ათასი აფხაზი იქნა გადასახლებული.

**(Абхазское долгожительство, М., 1987 с. 23. Ш. Д. Инал-Ипа, Зарубежные абхазы, Сухуми, 1990, с. 35; Б. Ашуба, К истории формирования современной этнодемографической ситуации в Абхазии, М., 1991, с. 126; его же, Население СССР, в 80-ые годы. М., 1991).**

აფხაზ მუჰაჯირთა რაოდენობის ჩვენება რომ ზერელე ვარაუდს ემყარება, ეს კარგად ჩანს გ. ლეჟავას განცხადებიდანაც, რომლის მიხედვით „აფხაზთა ყველაზე დიდი გადასახლება მოხდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს, როდესაც თითქოს თურქეთში წასულ აფხაზთა რიცხვმა 30 ათასი ადამიანი შეადგინა. (გ. ლეჟავა, აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნულ-კლასობრივი სტრუქტურის ცვლილება, სოხ., 1969, გვ. 12.)

აღნიშნული ომის დროს თურქეთში გადასახლებულ აფხაზთა რაოდენობას 30 ათასით განსაზღვრავს ზ. ანჩაბაძეც, რომელსაც აგრეთვე ამის დასამტკიცებლად არავითარი ფაქტიური მონაცემი არ გააჩნია.

კიდევ მეტი, როგორც ითქვა მუჰაჯირთა რაოდენობას უსაშველოდ ზრდის ყველა აფხაზი მკლევარი, მათ შორის გ. ძიძარიაც, რომლის ზეპირი ვარაუდით, თითქოს ხსენებულ პერიოდში თურქეთში 80 ათასი სული აფხაზი წავიდა თუ ძალით წაიყვანეს. (გ. ა. ძიძარია, მოჰაჯირობა... გვ. 198).

აფხაზეთიდან თურქეთში გადასახლებულ მუჰაჯირთა რაოდენობას უკანასკნელ ხანებში ასევე ფანტასტიკურად ზრდიან სხვა მკვლევარებიც, მათ შორის შ. ინალ-იფაც, რომელიც წერს:

**"По очеркам обшей этнографии определение всех кавказских выходцев в Турцию в количестве 70 тысяч или как написано в БСЭ - 100 тысяч (БСЭ, т. 1, 1959, с. 510), где на долю собственно абхазцев падает не более 10-15 тысяч человек, является чрезвычайно заниженным. Этому определению противоречит прежде всего то, что в XIX веке в течение десяти лет (а не только русско-турецкой войны 1877-1878 годов) было выселено всех абхазцев, хотя точной численности характеристик махаджирская эмиграция не подается."**

როგორც ვხედავთ, შ. ინალ-იფას ზუსტი მონაცემები კი არა, არამედ მიახლოებითი მონაცემებიც არ გააჩნია, მაგრამ აფხაზ მუჰაჯირთა რაოდენობას მაინც ფანტასტიკურად აზვიადებს და 10-15 ათასიდან 100 ათასამდე ზრდის. **(Ш. Инал-Ипа, Зарубежные Абхазы, 1990, с. 35)**

შ. ინალ-იფა აფხაზ მუჰაჯირთა რაოდენობას კიდევ უფრო ზრდის სხვა ნაშრომში, მას ა. ბასარიას წიგნზე (აფხაზეთი გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და ეკონომიკურ ურთიერთობებში, სოხუმი, 1923, გვ. (105) დაყრდნობით, სხვადასხვა დროს თურქეთში გადასახლებულ აფხაზთა რაოდენობა 400 ათას ადამიანამდე აჰყავს. ამ ყოვლად უსაფუძვლო რაოდენობის დასამტკიცებლად ავტორი ოფიციალურ მონაცემებს კი არ იყენებს, არამედ ვ. კუკასა და მ. ბუთბას, აგრეთვე ჯ. მარშანის („აფხაზურ-ჩერქეზული კომიტეტის“ წევრის), ასევე ვიღაც ოფიცრის ბეგანბას და ს. მარშანიას, ასევე თურქეთში მცხოვრებ ვინმე აფხაზთა მონაყოლს, თითქოს თურქეთში 200-300 ათასი აფხაზი სახლობს. **(Ш. Инал-Ипа, Зарубежные Абхазы, 1990, с. 36-37).**

აფხაზ მუჰაჯირთა რაოდენობის უსაშველო გაბუქებაში სხვა აფხაზ ავტორებს არც ნ. ლაკობა ჩამორჩება, რომლის მიხედვით, მათი რიცხვი 300-350 ათასს აღწევს.

ასევე რეალურ სინამდვილესაა მოკლებული ზ. ჭიჭინაძის მონაცემები როგორც ქართველთა, აგრეთვე აფსუათა თურქეთში გადასახლებულ მუჰაჯირთა რაოდენობის შესახებ, რომელიც მხოლოდ სხვის მონაყოლსა და ზერელე ვარაუდს ემყარება, რასაც თვითონ ავტორი პირდაპირ აღიარებს: „ბევრს ვეცადე თურქეთში გადასახლებულ მაჰმადიან ქართველთა რაოდენობის დადგენას, მაგრამ დაწვრილებით ვერაფერი აღვწერე.“ ამის მაგალითია მის მიერ თურქეთის სიღრმეში გადასახლებულ ქართველთა რაოდენობის მაჩვენებელი ციფრიც (400 ათასი), აგრეთვე თურქეთში მოსახლე ქართველთა რაოდენობაც — 3 მილიონი. (ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში, თბ., 1912, გვ. 62-63).

აღნიშნულ მონაცემებს იმიტომ ვასახელებთ საგანგებოდ, რომ აფსუა ავტორები თურქეთში გადასახლებულ აფხაზთა რაოდენობის ჩვენებისას ხშირად ეყრდნობიან ზ. ჭიჭინაძის ზეპირ ჩვენებასა და ვარაუდებს, რომლებიც არაფრით იმსახურებენ ნდობას, ვინაიდან ისინი სულ ვიღაც-ვიღაცის მონაყოლზე და ნაამბობზეა დამყარებული. ასეთივე ზეპირ ვარაუდებს ემყარება აფხაზ ავტორთა განცხადებები 1810, 1828-1854 და 1877-1878 წლებში თურქეთში „გადასახლებულ“ აფხაზთა რაოდენობის შესახებ (იხ. ზემოთ), რომლის ერთ-ერთი „წყარო“ ზ. ჭიჭინაძის მიერ დასახელებული ციფრებიცაა — თითქოს თურქეთში 100 ათასზე მეტი აფხაზი აღმოჩნდა, მაგრამ თვითონვე ზ. ჭიჭინაძე დასძენს იმასაც, რომ მე-19 საუკუნის ბოლოს იქ ამისი მეათედიც არ დარჩა. (ზ. ჭიჭინაძე, იქვე, გვ. 168).

გერონტი გასვიანი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

*/გაგრძელება იქნება/*

# მე არ მაინტერესებს პოლიტიკა, ჩემთვის მთავარია ქართველ კაცს მოვეფერო...



ზაფხულის ცხელი პოლიტიკური ამინდი ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს სიცხისაგან შეწუხებულ ადამიანებზე, რომლებიც მძიმე სოციალური თუ ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად მაინც ახერხებენ გამონახონ თანხები და დასასვენებლად შავიზღვისპირეთს მიაშურონ, პოლიტიკურად საზოგადოების უდიდეს უმრავლესობას, ეტყობა განეიტრალებული პოლიტიკურ ბატალიებზე თვალის გადევლებასა და ხელისუფლების არაფრისმომცემ, რეფორმატორულ პოლიტიკაზე საუბრის მოსმენას, საკუთარ ჯანმრთელობაზე ფიქრი და სხეულის გაკაუება უჯობს. ამის დასტურად აჭარის, განსაკუთრებით კი ქობულეთის მაგალითის მოყვანაც არ უნდა იყოს ურიგო.

თუკი ერთხელ მაინც ყოფილხართ ქობულეთში, ალბათ, დამეთანხმებით, რომ ყველაზე მეტი პოპულარობით სასტუმრო „კოლხეთი", იგივე „ინტურისტი" სარგებლობს. ამიტომაც ჩვენი მკითხველის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების მიზნით, აღნიშნული სასტუმროს დირექტორს, ბატონ **ზაზა ბოლქვაძეს** გავესაუბრე.

ბატონ ზაზას, შეიძლება ითქვას, სტანდარტული გზა აქვს გავლილი. დაწყებული მუშიდან, იყო მექანიკოსი, ქობულეთის თევზდაცვის ინსპექციის უფროსი, რესტორნის დირექტორის მოადგილე, ორი წელია სათავეში უდგას „ინტურისტს" და, როგორც თვითონ აღნიშნა, თავის გამოცდილებას მაქსიმალურად ახმარს ქობულეთსა და მთლიანად საქართველოს.

**— ბატონო ზაზა, არის თუ არა მზად სასტუმრო მიიღოს დამსვენებლები, რა სამუშაოები იქნა ჩატარებული და, საერთოდ, როგორი ჰიგიენური პირობებია?**

— შეიძლება ითქვას, რომ შესაძლებლობის ფარგლებში ვაკეთებთ მაქსიმუმს. აღსანიშნავია ჩვენი თანამშრომლების მონდომებაც, ისინი თავად არიან დაინტერესებულნი სასტუმროს კეთილმოწყობით, თავიანთ გამოცდილებას და ენერგიას აქსოვენ ამ საქმეში, ჩვენც შეძლებისდაგვარად ვეხმარებით.

სულ ახლახან ავიღეთ კრედიტი 10000 ლარის ოდენობით, რომელიც მთლიანად მოხმარდა სასტუმროს კაპიტალურ რემონტს, პლიაჟის კეთილმოწყობას და გასუფთავებას. შევაკეთეთ საცურაო აუზი, რომლითაც ჩვენი დამსვენებლები ისარგებლებენ. ასე რომ, სასტუმროში არ არის კუთხე, არ გაგვესუფთავებინოს და შეგვეკეთებინოს. მე ვთვლი, რომ ჩვენთან ნორმალური პირობებია, გვაქვს ცხელი წყალი, ელექტროენერგია, კეთილმოწყობილი პლიაჟი, რესტორანი, რომელიც, შეიძლება ითქვას, საქართველოში ერთადერთია თავისი სილამაზით და მომსახურების მაღალი დონით გამოირჩევა. ასევე ფუნქციონირებს კაფე-ბარი.

ძალიან ბევრი სტუმარი მიმიღია. რომ იტყვიან, მთელი ელიტარული საზოგადოება აქ ჩამოდის და გულნატკენი არავინ წასულა. უფრო მეტიც, ზოგიერთი ჩამოდის, ქალაქში ისვენებს და ბოლო რამდენიმე დღეს ჩვენთან დაჰყოფს, შემდეგ კი ამბობს „ინტურისტში" ვისვენებდიო.

ასევე მინდა აღვნიშნო, რომ აქ არეულობის დროს არაფერი განიავებულა და, რაც მთავარია, გვყავს პროფესიონალი თანამშრომლები.

პირველი ივნისიდან გაიხსნა სეზონი. წელს ორჯერ უფრო მეტი დამსვენებლების მიღებას ვვარაუდობთ. უკვე არის დაკვეთები: თბილისიდან, ქუთაისიდან, რუსთავიდან, სხვათა შორის, ბათუმიდანაც და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან. ასე რომ, ქობულეთის კარი ყველასთვის ღიაა, ჩვენ არ გვაინტერესებს პოლიტიკა, ჩვენთვის მთავარია კარგად მოვემსახუროთ და მოვეფეროთ ქართველ კაცს.

**— ბატონო ზაზა წელს, სასტუმრო „კოლხეთში" დასვენების საფასური რამდენს შეადგენს?**

— ივლისის თვეში, ნომერი ორი საწოლით 35 ლარი, ხოლო აგვისტოში 50 ლარი გახდება. გაძვირება დამსვენებელთა ნაკადის მომატებით არის განპირობებული. შეიძლება ცოტა ძნელიც იყოს ასეთი თანხის გადახდა, მაგრამ შესაბამისი პირობები ნამდვილად არის.

ჩემი დიდი სურვილია ნეტავი ყველას მიღებას შევძლებდე.

**— ე. ი. როგორც თქვენი საუბრიდან ირკვევა, ყველას სურვილს ვერ აკმაყოფილებთ?**

— არა, ყველას ნამდვილად ვერ დავაკმაყოფილებთ, ადგილები არ არის საკმარისი.

ძირითადად, ყველაზე მეტად დამსვენებელთა სიჭარბე არის აგვისტოში, ალბათ სიცხეს გაურბის ხალხი, მაგრამ პირადად მე ივლისში ან სექტემბერში ვარჩევდი დასვენებას, რადგან უფრო კარგია პლიაჟი, უფრო მეტი თავისუფლებაა და როგორც მოგეხსენებათ, სექტემბერი ხომ „ხავერდოვანი სეზონია."

**— განსაკუთრებული პრობლემები თუ გაქვთ, რომლის გადაწყვეტაც გიძნელდებათ?**

— უპრობლემო ადამიანი, მე მგონი, არ არსებობს, მაგრამ რაც მთავარია დამსვენებლები და საერთოდ, ჩვენი სტუმრები ამისგან დაზღვეულნი არიან. სხვანაირად არც შეიძლება, რადგან როდესაც პიროვნება იღებს საგზურს, ეუბნებიან, რომ ყველანაირი პირობები იქნება და დანაპირების არშესრულება ჩვენი პრესტიჟის დაკარგვას ნიშნავს.

**— ხომ არ დაამატებდით რაიმეს?**

— ქობულეთში კუთხურობა არასდროს ყოფილა. კიდევ მინდა გავიმეორო, რომ ჩემთვის პოლიტიკა არ არსებობს, მთავარია ყველა სტუმარს მოვემსახურო, მინისტრი იქნება ის თუ დამლაგებელი, რომ ჩემგან წასულს თბილი მოგონება დარჩეს ჩვენთან გატარებულ დღეებზე.

ჩემი დიდი სურვილია, აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და მალე ყოველმხრივ წელგამართულ საქართველოში გვეცხოვროს.

**კობა კაპანაძე**

*სპეციალურად გაზ. „საქართველოსათვის"*

**ქობულეთი**

# ტყუილს მართლაც მოკლე ფეხები აქვს

რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში „ელიზი"-„ომეგას" სასამართლო პროცესზე მოწმეთა დაკითხვა გრძელდება. ამჯერად სიტყვა ტიტულოვან მოწმეებს — შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსს თამაზ ალანიასა და მის მოადგილეს დავით ვეკუას მიეცათ. (განსასჯელები გ. დავითულიანი და ნ. ხოსიტაშვილი მათი თანამშრომლები იყვნენ). სასამართლო პროცესზე მათი მოწვევა იმიტომ გახდა საჭირო, რომ გარკვეულიყო, ხომ არ იყო რაიმე შეთანხმება განსასჯელებსა და წინასწარი გამოძიების მწარმოებელ თანამდებობის პირებს შორის. კერძოდ, განსასჯელები ფ. დავითულიანი და გ. სვანიძე აცხადებენ, თითქოს გ. დავითულიანმა მათ უთხრა, — მე ნუ გამომაჩენთ, თქვენს თავზე აიღეთ მომხდარი დანაშაული, საქმეს ჩავაწყობ და მერე თქვენც გამოგიშვებენო.



სასამართლო პროცესზე თ. ალანიამ და დ. ვეკუამ უარყვეს განსასჯელთან რაიმე გარიგების მცდელობაც კი; განსასჯელებმა თავიდანვე აღიარეს ფირმა „ომეგას" თანამშრომლებზე ბანდიტური თავდასხმის ფაქტი, მათზე არავითარი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედება არ მოგვიხდენია და წინასწარი გამოძიების მიერ საქმეზე მტკიცებულებათა მოკრების პროცესში არც პროცესუალური ნორმები დაგვირღვევიაო.

ფირმა „ომეგას" დამცველმა ადვოკატმა, თემურ გვიშიანმა, რომელიც განსასჯელთა ადვოკატებისაგან განსხვავებით, განსახილველი სისხლის სამართლის საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის საკითხების გარკვევით იფარგლება და პროცესს ხელოვნურად არ ჭიმავს, მოწმე დ. ვეკუას სთხოვა, მოეხსენებინა სასამართლოსთვის, იცოდა თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ „ელიზელებთან" ერთად მათი თანამშრომლების მონაწილეობით „ომეგასგან" (როგორც თვითონ აცხადებენ) თანხის ამოღების ოპერაციის შესახებ. მოწმე დ. ვეკუამ განმარტა: — როცა რაიმე ოპერაციაა ჩასატარებელი, შინაგან საქმეთა სამინისტროში წინასწარ მუშავდება იმ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა გეგმა, რომელშიც ყველაფერი გათვლილია ოპერაციის წარმატებით ჩასატარებლად. იქმნება ოპერატიული ჯგუფი, ნაწილდება ფუნქციები და ასე შემდეგ. ასე რომ, საუბარი იმაზე, თითქოს აეროპორტისაკენ მიმავალ ტრასაზე 1997 წ. 14 მარტს მომხდარ ფაქტთან შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიმე კავშირი აქვს, აბსურდია. განსასჯელები თავისი ინიციატივით მოქმედებდნენ და მათი მოქმედების შეფასებაც სასამართლოს საქმეა.

როგორც ხედავთ, ფირმა „ომეგას" დამცველი ადვოკატი თემურ გვიშიანი მართალი ყოფილა, როცა ამტკიცებდა, რომ 1996 წლის 5 სექტემბერს ქარელის, ხოლო 1997 წლის 14 მარტს თბილისის აეროპორტისკენ მიმავალ ტრასაზე მომხდარი თავდასხმები ფირმა „ელიზში" დაგეგმილი ბანდიტური აქციებია და არა შინაგან საქმეთა საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებანი.

სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა ფირმა „ომეგას" თანამშრომელი ბ. ჩემია, რომელსაც ამჟამად განსასჯელთა სიაში მყოფი გ. ხრიკული აფრთხილებდა — „ელიზელები" გისმენენ და გითვალთვალებენო. როგორც ბ. ჩემიამ განმარტა, მათ ჩაატარეს ფირმა „ომეგაში" დამონტაჟებული ტელეფონების შემოწმება, მაგრამ საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს, ხოლო თვით ხრიკულის ინფორმაციები ისეთი ზოგადი და არაფრისმთქმელი იყო, რომ გამონაგონს უფრო წააგავდა, ვიდრე რეალურს. 1997 წლის 14 მარტს მომხდარი ბანდიტური თავდასხმის შემდეგღა დავრწმუნდით, რომ გ. ხრიკული მართლაც ერია ჩვენს წინააღმდეგ მოწყობილ აქციაში და იგი დააკავეს კიდეც.

განსასჯელთა ადვოკატმა ია პატარავამ მოწმე ბ. ჩემიას „ბრალი" დასდო — თქვენ რომ „ელიზელთა" მიერ შექმნილ მომსმენთა ჯგუფი აღმოგეჩინათ, არც ფულს დაკარგავდით და ეს ბიჭებიც არ მოხვდებოდნენ საბრალდებო სკამზეო. ჰმ! ამ „ლოგიკით" გაქურდული ბინის პატრონის დადანაშაულებაც შეიძლება, — ისეთი საკეტი რატომ არ გეყენა კარებში, ქურდს რომ ვერ გაეღო. აფერუმ, ადვოკატო!

ძირითადი მოწმეების დაკითხვის შემდეგ სასამართლო დამატებითი მოწმეების დაკითხვას შეუდგა. განსასჯელ გ. სვანიძის თხოვნით დამატებით მოწმედ ო. მოწონელიძე დაიკითხა, რომელსაც წელიწადში მხოლოდ ერთი დღე — 13 მარტი ახსოვს დეტალებში (თუ რატომ, არ თქვა) და „ზუსტად" დაუმახსოვრებია, რომ განსასჯელ გ. სვანიძის წითელი ფერის „09" მის ავტოფარეხში ეყენა დანაშაულის ჩადენის დროს. „ალიბისთვის" მოყვანილმა მოწმემ, პროკურორის კითხვაზე — წელიწადნახევარია გამოძიება მიმდინარეობს და ახლა გაგახსენდა ეგ „ფაქტიო", დამაჯერებელი პასუხი ვერ გასცა. თუმცა, განსასჯელ გ. სვანიძის მიმართ მან მაინც მოიხადა თავისი „მეზობლური" მოვალეობა და აწითლებულმა დატოვა სასამართლო დარბაზი.

ამის შემდეგ განსასჯელმა გ. სვანიძემაც მისცა სასამართლოს „ნანატრი" ჩვენება და სულ „ბდღვირი" ადინა წინასწარ გამოძიებას. მისი განმარტებით, მასაც გ. დავითულიანის დაფარვა უნდოდა (გ. დავითულიანი მისი სიძეა) და ამიტომ აიღო თავის თავზე დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობა, არც იარაღი ჰქონია და საერთოდ ვერ გაუგია რატომ დაიჭირეს.

მოსამართლე ლენგერ ბოჭორიშვილი ყურადღებით უსმენდა განსასჯელის ჩვენებას, სადაც ხშირად ფიგურირებდა სიტყვები — „ფანტაზია" და „ილუზია." ბოლოს კი ჰკითხა:

— კაი, ბატონო, გივი დავითულიანი დაფარე, მაგრამ ფრიდონ დავითულიანი იყო ჩემთანო, რომ აღიარე, მას რას ერჩოდიო.

მოსამართლემ პროფესიული ღიმილით დააჯილდოვა „ფანტაზიორი" განსასჯელი და იმდღევანდელი პროცესი დამთავრებულად გამოაცხადა.

**თამაზ ძველაძე.**

# აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი

თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5
ტელ: 99-60-20, 93-36-93, 99-59-09, 79-50-05 (საღამოს)

## აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

თუ გსურთ:
**საერთაშორისო მოთხოვნების დონეზე დაეუფლოთ ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს;**
**მოისმინოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უცხოეთში სერთიფიცირებული პროფესორ-მასწავლებლების ლექცია-სემინარები;**
**ისწავლოთ თანამედროვე კომპიუტერული სისტემით აღჭურვილ უმაღლეს სასწავლებელში;**
**შეისწავლოთ უცხო ენები თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;**
**ისწავლოთ ქალაქის ცენტრში;**

მიმართეთ აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახ. საქართველოს ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ ინსტიტუტს, რომელიც აცხადებს მიღებას 1998-99 სასწ. წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. **სამართალმცოდნეობა** (სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, სამეურნეო სამართალი, საერთაშორისო სამართალი)
2. **ავტოტექნიკური ექსპერტი**
3. **საგარეო უწყებათა მომსახურება**
4. **ფინანსები და კრედიტი** (საგადასახადო საქმე, საბანკო საქმე, საბაჟო საქმე, სახ. ბიუჯეტი, სადაზღვევო საქმე)
5. **საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები** (საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მენეჯერი, საერთაშორისო ბიზნესი, საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობები)
6. **საბუღალტრო აღრიცხვა, აუდიტი, კონტროლი;**
7. **წარმოების ეკონომიკა და მართვა** (მარკეტინგი, მენეჯმენტი);
8. **საზღვარგარეთის ქვეყნების ენა და ლიტერატურა** (ინგლისური, გერმანული, თურქული);
9. **ჟურნალისტიკა;**
10. **ისტორია;**
11. **ქართული ენა და ლიტერატურა;**
12. **დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა;**
13. **პედაგოგის ფსიქოლოგია — სკოლამდელი**
14. **ხელოვნებათმცოდნეობა**

ინსტიტუტში სწავლის ხანგრძლივობა **ოთხი წელი.**

**საბუთები მიიღება** 2 აგვისტომდე, ყოველდღიურად (გარდა შაბათ-კვირისა) 11-დან 17-საათამდე III სართ. ოთახი 507. მისაღები გამოცდები დაიწყება 3 აგვისტოდან. II ეტაპზე საბუთები მიიღება 25 აგვისტომდე. გამოცდები 26-30 აგვისტოს.

**საბუთები** — საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ფოტოსურათი 3-4 ოთხი ცალი. ლტოლვილები და მრავალშვილიანი ოჯახის წევრები გადაიხდიან სწავლის საფასურის 80%-ს. წარჩინებული სტუდენტები განთავისუფლდებიან გადასახადისაგან და დაენიშნებათ სტიპენდია. ინსტიტუტში ფუნქციონირებს ბუღალტერიისა და უცხო ენების შემსწავლელი კურსები. მომავალში გათვალისწინებულია ბაზრის კონიუქტურის შემსწავლელი ცენტრის დაარსება და მასში ინსტიტუტის სტუდენტების დასაქმება.

**უმაღლეს დამთავრებულები გასაუბრებით ჩაირიცხებიან შესაბამის კურსზე.**

**საბუთები** — უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი და ფოტოსურათი 3-4 ოთხი ცალი.

ინსტიტუტის დამფუძნებელია **საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია.**

რექტორია ამ აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფ. **ლეო ჩიქავა.**

**შენიშვნა:** ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე იქნება სპეციალიზაცია შემდეგი განხრით: ჟურნალისტი-ეკონომისტი, ჟურნალისტი-უცხო ენების გაძლიერებული სწავლებით, ტელეჟურნალისტი, რადიოჟურნალისტი და საგაზეთო საქმე.

სტუდენტები ხელშეკრულების საფუძველზე საგაზეთო საქმეს პრაქტიკულად შეისწავლიან გაზეთ „საქართველოს" რედაქციის ბაზაზე. ტელე-რადიოჟურნალისტიკის შესაბამის ტელე-რადიოკორპორაციასთან შეთანხმების საფუძველზე.

სათანადო მონაცემების მქონე სტუდენტებს (შერჩევით) შესაძლებლობა ექნებათ იმუშაონ გაზეთ „საქართველოს" რედაქციაში. რედაქციის ტელ: 93-20-36, 93-18-41.


# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. სამსხვერპლო საკლავი; 4. ზნეობრივი ნაკლი; 6. ბიბლიური ებრაელი მღვდელი, რომელმაც იერუსალიმში ამხილა უცხო ტომიდან ცოლების მოყვანა; 8. ყანყარტოს ყელი; 10. სიზმარში ნანახი; 11. ღვთისმშობელი; 13. რაოდენობა დღეებისა, რის შემდეგაც აღდგა ქრისტე; 14. ისლამის გავრცელების ძირითადი კერა; 16. დიდი საყვირი, რომლის ხმებმაც დაანგრიეს ბიბლიური იერიქონის კედლები; 17. ბერ-მონაზონი ტიბეტსა და მონღოლეთში; 18. იალქანი; 21. მექაში ნამყოფი მუსლიმანი; 23. ძველქართული სასულიერო ჰიმნებისა და საგალობლების კრებული; 25. კლდის თხა; 27. ბიბლიური კიდობანის აღმშენებელი; 29. ბიბლიური წინასწარმეტყველი; 30. ღვთისმშობლისათვის ვარსკვლავთმრიცხველთა მიერ მირთმეული ერთ-ერთი ძღვენი; 31. შუა საუკუნეების მისტიკური მეცნიერება.

**შვეულად:** 1. მართლმადიდებული ეკლესიის მესამე საიდუმლო; 2. მიმართვა იუდეველთა კულტმსახურებისადმი; 3. კათალიკოს-პატრიარქის, მიტროპოლიტის, ეპისკოპოსის საერთო საეკლესიო წოდება; 5. ვეშაპის მუცელში ნამყოფი ბიბლიური წინასწარმეტყველი; 7. ძველინდური ეპოსის გმირი; 8. მუსლიმანთა სასულიერო მსაჯული; 9. მონასტრის წინამძღვრის ძველქართული წოდება; 10. ყვავილი; 12. ბიბლიური აბრაამის ვაჟი მძევალი აგარასაგან; 13. ჩანაწერი რისიმე ჩამონათვალით; 15. წყლის ქალი ქართულ მითოლოგიაში; 19. დაჯგუფება, რომელიც პარტიის ძირითად ხაზს არ ეთანხმება; 20. მრწამსის ბოლო სიტყვა; 21. ცხენი ძველქართულად; 22. სიკვდილით დასჯის წესი, ქრისტესათვის მისჯილი; 24. ცეცხლის ინდუსტური ღვთაება; 26. ქრისტიანობის სიმბოლოდ აღიარებული ქალაქი; 28. ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეული ძველქართული მონასტერი.


## იყიდება ან იცვლება

გორიდან თბილისში აგურით ნაშენები კეთილმოწყობილი, პრივატიზებული, ოროთახიანი ბინა, ლოჯით და ღია აივნით, სარდაფით და ტელეფონით.

რუმინული ავეჯი „მონა" იცვლება თბილისში ერთოთახიან ბინაზე.
შინდისის გზ. №32-22
ტელ. 2-35-78 2-54-02




ინგა, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიხარულს.

შენი ნანი, ლადო, ილიკო, მარი, თამუნა ბერულავები. ნიკა, ნინო ფარულავები.

ჩვენ ნიჭიერ კოლეგას, ჭეშმარიტ მამულიშვილს, სიმართლისთვის მებრძოლ ახალგაზრდა კაცს, **ხვიჩა სცეფვანიას** ვულოცავთ ვაჟკაცის დაბადებას და ვისურვებთ სასახელო მამულიშვილი გაზრდილდეს ჩვენ სამშობლოს ჰყავს მამუკას სახით.

გაზ. „საქართველოს" რედაქცია


ქირავდება 2 ოთახიანი სუფთა ბინა ვაშლიჯვარში. ფასი 100$. ტ. 22-57-72


## ახალი სამუშაო ადგილები

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში რუბრიკით „ახალი სამუშაო ადგილები" გთავაზობთ დასაქმების ერთიანი სახელმწიფოს ფონდის ქ. თბილისის მთავარ სამმართველოში არსებულ ახალ სამუშაო ადგილებს.

დასაქმების სამსახურში რეგისტრაციისათვის თან უნდა იქონიოთ პასპორტი (მოქალაქის პირადობის მოწმობა), შრომის წიგნაკი და განათლების დამადასტურებელი საბუთი.

თქვენ აქ გაგიწევენ გულისხმიერ მომსახურებას სამუშაოს შერჩევის, დასაქმების, უმუშევრის სტატუსის მინიჭების, შემწეობის დანიშვნისა და თქვენთვის საინტერესო სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

ძვირფასო მკითხველო!

ისარგებლეთ დასაქმების სამსახურის უფასო მომსახურებით.

რეგისტრაციის, შემწეობის დანიშვნისა და დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით უმუშევარმა მოქალაქეებმა უნდა მიმართონ დასაქმების სახელმწიფო ფონდის თბილისის მთ. სამმართველოს რაიონულ განყოფილებას.

მისამართი: გია გულუას ქ. №4. II სართ. ოთახი 206-207.(კრწანისის რაიონის გამგეობის შენობაში)

დამატებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ დასაქმების ფონდის თბილისის მთავარ სამმართველოს, მ. ალექსიძის ქ. №3, მე-2 სართული, ოთახი №16. მისასვლელი გმირთა მოედნიდან (11 სართულიანი სახლის უკან) და სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან.

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 7. სტრატეგია; 8. დასაქმება; 10. პარტერი; 12. სვინგი; 16. პროდუქცია; 18. ატამი; 19. მაფია; 20. კარტელი; 21. კანტორა; 25. მანგო; 26. ობოლი; 27. მივლინება; 30. ინკასო; 33. ყომარი; 34. პლატონი; 35. აბორიგენი; 36. სინტოიზმი.

**შვეულად:** 1. სტანდარტი; 2. სტარტი; 3. გირაო; 4. შაური; 5. აქტივი; 6. ობლიგაცია; 9. სტიმული; 13. პროტექცია; 14. ფინანსები; 15. ემბარგო; 17. ვაჭრობა; 22. დაბანდება; 23. კლიენტი; 24. ალგორითმი; 28. ასაბია; 29. კოვბოი; 31. კლანი; 32. უნცია.

## რა უფრო დროულია?

ა. წ. 9 ივლისს, საქართველოს ჰიმნის შეცვლასთან დაკავშირებით გამოცხადებულ დისკუსიას შეეხო ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის გაფართოებული სხდომა, რომელშიც იმსჯელა და მიჩნია, რომ ჰიმნის შეცვლის ნაცვლად ამჟამად ქვეყნისთვის ბევრად უფრო დროული და სასარგებლო იქნებოდა პრეზიდენტის ამხ. ე. შევარდნაძის შეცვლა

*ილია ჭავჭავაძის საზოგადოების პრესცენტრი*


### გამოიწერეთ გაზეთი

# „საქართველო"

ხელმოწერა შეიძლება ქ.თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნეს" ხელმოწერის რაიონულ უბნებში შემდეგ მისამართებზე:

- მოსკოვის გამზირი 18, ტელ. 71-32-87
- გლდანის რაიონი, დუმბაძის 4 (ა) კორპუსი, ტელ. 62-75-32
- დ.გურამიშვილის გამზირი 30, ტელ. 60-80-22
- ივ.ჯავახიშვილის (კალინინის) ქ.№14 ტელ. 95-87-36
- ქეთევან წამებულის გამზ. 61, ტელ. 74-14-47
- აკ.წერეთლის გამზ. 73, ტელ. 34-75-51
- რ.თაბუკაშვილის ქ. №12
- ჭავჭავაძის გამზ. 46, ტელ. 22-64-58
- ცენტრალური ოფისი, კ.გამსახურდიას გამზ. 42, ტელ. 37-47-49, 93-43-97.

ორგანიზაციებს შეუძლიათ, მიიწვიონ „მაცნე"-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად. ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა.


კობა კაპანაძე სამძიმარს უცხადებს ბატონ ტარიელ ხალვაშს ბიძის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ზაზა ალადაშვილს სიმამრის გარდაცვალების გამო


მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444

გაზეთის დირექტორი: ელგუჯა ჩხაიძე

**რედაქცია:** ანა ჯულელი (რედ. მოადგილე), ზაზა ალადაშვილი (კომერციული დირექტორი), გია თვალავაძე (პოლიტიკის განყ. რედაქტორი), კობა კაპანაძე (სამართლისა და რეგ. პოლიტიკის განყ. გამგე), ნუგზარ კოზოლაშვილი (გავრცელების სამსახური), **კორესპონდენტები:** კობა ბრეგვაძე, ქეთი ჩადუნელი, ქეთი გეჯაძე, ხათუნა ხატიაშვილი, ნათია ჭანტურია, მანანა ლობჟანიძე, ნანა ძველაია, დათო ავალიანი.
**კორექტორები:** ამალია გოგრიაშვილი, ამრიტა ჯანაშია